ბიჭი
ზოლიან
პიჟამაში

ჯონ ბოინი

ბიჭი ზოლიან პიჟამაში

ბრუნო აღმოჩენას აკეთებს

ერთხელ სკოლიდან დაბრუნებული ბრუნო ძალიან გააკვირვა თავის საძინებელში მოახლის, მარიას აღმოჩენამ. ქალს, რომელიც მუდამ თავდახრილი დააბიჯებდა და მზერას არასოდეს აშორებდა ხალიჩას, გარდერობიდან მთელი მისი ნივთები, თვით გარდერობის უკან გადამალულებიც კი, გამოჰქონდა და ხის ოთხ უზარმაზარ ყუთში ალაგებდა. არადა, ეს სამალავი ბრუნოს ეკუთვნოდა და იქ არავის არაფერი ესაქმებოდა.

— რას აკეთებ? — რამდენადაც შეძლო, ზრდილობიანად ჰკითხა ბრუნომ. მართალია, სულაც არ მოეწონა, მის ნივთებში რომ ვიღაც იქექებოდა, მაგრამ დედა ყოველთვის არიგებდა, მამას არ მიჰბაძო და მარიას პატივისცემით მოექეციო, — ხელი არ ახლო ჩემს ნივთებს!

პასუხად მარიამ მხოლოდ თავი გაიქნია და ბიჭს ზურგს უკან, კიბეზე ანიშნა, სადაც, სწორედ იმ წუთში, დედა გამოჩნდა — მაღალი ქალი, გრძელი წითური თმით, მუდამ ბადით რომ იკრავდა კეფაზე. ახლა ის ნერვიულად იმტვრევდა ხელებს, თითქოს რაღაც ისეთი მომხდარიყო, რისი თქმაც არ უნდოდა, ან უარესი — რაღაც ისეთი, რისი დაჯერებაც კი არ სურდა.

— დედა, — წამოიძახა ბრუნომ და მისკენ დაიძრა, — რა ხდება? რა ესაქმება მარიას ჩემს ნივთებთან?

— ბარგს ალაგებს, — აუხსნა დედამ.

— ბარგს? — გაიმეორა ბრუნომ და გონებაში სწრაფად გადაავლო თვალი უკანასკნელ დღეებში მომხდარ მოვლენებს, რათა გაეხსენებინა, განსაკუთრებით ხომ არ იცელქა, ან იქნებ მშობლებისგან აკრძალული სიტყვები წამოსცდა და დასასჯელად აგ-

ზავნიდნენ სადმე? ვერაფერი გაიხსენა. პირიქით, ბოლო რამდენიმე დღე ყველას წესიერად ექცეოდა და არც რაიმე ოინი მოუწყვია.

— რატომ? — იკითხა ოდნავ დამშვიდებულმა, — რა ჩავიდინე?

ამასობაში დედა თავის საძინებელში შევიდა, მაგრამ იქ ლარსი, მათი მსახურთუხუცესი დახვდა — მის ბარგსაც ალაგებდნენ. ქალმა ამოიოხრა და გაღიზიანებულმა კიბეზე დაბრუნებამდე ხელი ჩაიქნია. ბრუნო უკან მიჰყვა — ჩანდა, იოლად დანებებას არ აპირებდა.

— დედა, — ჩააცივდა ის, — რა ხდება? სადმე გადავდივართ?

— გამომყევი, — დედა ფართო სასადილო ოთახისკენ გაუძღვა, სადაც წინა კვირას მათთან ფიურიმ ისადილა, — ქვემოთ დაგელაპარაკები.

ბრუნომ კიბეზე ისე სწრაფად ჩაირბინა, რომ დედას გაასწრო და სასადილო ოთახში დალოდებაც კი მოუწია. როცა ქალი შევიდა, ბიჭმა წუთით უსიტყვოდ შეათვალიერა ის. გაიფიქრა, როგორც ჩანს, ამ დილით მაკიაჟი ვერ გაიკეთა, რადგან უპეები ჩვეულებრივზე მეტად გასწითლებიაო. თვითონაც სწორედ ასე ჩაუწითლდებოდა ხოლმე თვალები, როცა ცელქობის ან რამე ხიფათში გახვევის გამო იტირებდა.

— ნუ ღელავ, ბრუნო, — უთხრა დედამ, თან იმავე სავარძელში ჩაჯდა, რომელშიც წინა კვირას მშვენიერი ქერათმიანი ქალბატონი იჯდა, ფიურისთან ერთად რომ ესტუმრათ და სანამ მამა კარს მოხურავდა, ბრუნოს ხელიც კი დაუქნია, — სინამდვილეში, მშვენიერი თავგადასავალი გელის.

— რა ხდება? — იკითხა ბიჭმა, — სადმე მგზავნით?

— არა, მხოლოდ შენ არ მიდიხარ, — დედა თითქოს გაღიმებას აპირებდა, მაგრამ გადაიფიქრა, — ყველანი მივემგზავრებით. მამაშენი და მე, გრეტელი და შენ. ოთხივენი.

ბრუნო ნათქვამზე დაფიქრდა და მოიღუშა. სულაც არ იდარდებდა, თუ გრეტელს სადმე გაგზავნიდნენ — იგი ხომ უიმედო შემთხვევა იყო და პრობლემების მეტი არაფერი მოჰქონდა. უსამართლობად ეჩვენებოდა, რომ ყველა მას უნდა გაყოლოდა.

— კი მაგრამ, სად? — იკითხა მან, — მაინც სად მივდივართ? რატომ არ შეგვიძლია, აქ დარჩენა?

— მამაშენის სამსახურის გამო. ხომ იცი, როგორი მნიშვნელოვანი სამსახური აქვს?

— დიახ, რა თქმა უნდა, — თავი დაუქნია ბრუნომ. რასაკვირველია, იცოდა — სახლში ყოველთვის უამრავი სტუმარი ირეოდა — კაცები სამხედრო უნიფორმებით, ქალები კი საბეჭდი მანქანებით (ამ ნივთების შეხებას უკრძალავდნენ, ჭუჭყიანი ხელები გაქვსო) — და ყველანი დიდი მოწიწებით ეპყრობოდნენ მამას. ერთმანეთს ეუბნებოდნენ, „შორს წავაო“, რადგან „ფიურის მასთან დაკავშირებით დიდი გეგმები აქვსო“.

— და ზოგჯერ, როცა ვინმე ძალიან მნიშვნელოვანია, — აგრძელებდა დედა, — მისი უფროსი სხვაგან აგზავნის, იქ, სადაც განსაკუთრებული საქმეა გასაკეთებელი, რომლის შესრულებასაც ყველას ვერ ანდობ.

— რა საქმე? — დაინტერესდა ბრუნო, რადგან, სიმართლე რომ ითქვას, წარმოდგენა არ ჰქონდა, რას აკეთებდა მამამისი.

ერთხელ სკოლაში მამებზე საუბრობდნენ. კარლმა თქვა, მამაჩემი მემწვანილეაო. ეს სიმართლე იყო, ბრუნომ იცოდა, რომ მეგობრის მამას მართლაც მწვანილის მაღაზია ჰქონდა ქალაქის ცენტრში. დანიელმა თქვა, მამაჩემი მასწავლებელიაო, და ესეც მართალი იყო — ის ასწავლიდა უფროსკლასელებს, რომლებისგანაც, უმჯობესი იყო, თავი შორს დაგეჭირა. მარტინმა კი თქვა, მამა მზარეულიაო. ბრუნომ იცოდა, ესეც მართალი იყო, რადგან როდესაც შვილის წასაყვანად მოდიოდა ხოლმე, მარტინის მამას ყოველთვის თეთრი ხალათი ეცვა და კუბოკრული ნაჭრის წინსა-

ფარი ეკეთა, თითქოს ის-ის იყო, სამზარეულოდან გამოებიჯებინა.

როდესაც ბრუნოსაც ჰკითხეს, რას საქმიანობდა მამამისი, საპასუხოდ პირი გააღო, მაგრამ უცბად მიხვდა, რომ პასუხი თვითონაც არ იცოდა. მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ იგი „შორს წავიდოდა“ და „ფიურის მასთან დაკავშირებით დიდი გეგმები ჰქონდა“. და კიდევ — რომ მასაც სამხედრო უნიფორმა ეცვა.

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, — წუთით შეყოყმანდა დედა, — საქმე, რომლის შესრულებასაც განსაკუთრებული ადამიანი სჭირდება. ხომ გესმის ჩემი?

— და ყველანი უნდა გავემგზავროთ? — იკითხა ბრუნომ.

— რა თქმა უნდა. შენ რა, გინდა, რომ მამა ახალ სამსახურში მარტო წავიდეს და თავი მარტოდ იგრძნოს?

— მგონი, არა.

— თუ არ გავყვებით, მამას ყველანი საშინლად მოვენატრებით, — დაამატა დედამ.

— ვინ უფრო მოენატრება? — იკითხა ბრუნომ, — მე თუ გრეტელი?

— ორივე მოენატრებით, — უპასუხა დედამ. მას სწამდა, რომ არც ერთი შვილისთვის არ უნდა ეგრძნობინებინა უპირატესობა. ბრუნო პატივს სცემდა ამ აზრს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ სინამდვილეში დედის რჩეული თვითონ იყო.

— მაგრამ ჩვენი სახლი? — არ ცხრებოდა ბრუნო, — ვინ მიხედავს, სანამ ჩვენ აქ არ ვიქნებით?

დედამ ამოიოხრა და ოთახს თვალი ისე მოავლო, თითქოს ვეღარასოდეს ნახავდა. მათ მშვენიერი ხუთსართულიანი სახლი ჰქონდათ; გარდა ამისა, სარდაფი, რომელშიც მზარეული საღილს ამზადებდა, მაგიდასთან მიმსხდარი მარია და ლარსი კი ჩხუბობდნენ და ერთმანეთს ისეთ სიტყვებს ეძახდნენ, რომლების გამეორებასაც ბრუნოს უკრძალავდნენ; სახლის სხვენზე ჰქონ-

დათ დახრილი ფანჯრებით დამშვენებული პატარა ოთახიც, საიდანაც ბრუნოს შეეძლო თითქმის მთელი ბერლინი დაენახა, თუკი თითის წვერებზე აიწეოდა და ჩარჩოს მაგრად მოეჭიდებოდა.

— სახლი ცოტა ხნით უნდა დავკეტოთ, — თქვა დედამ, — მაგრამ ოდესმე დავბრუნდებით.

— მერე მზარეული? — იკითხა ბრუნომ, — და ლარსი? მარია? აქ აღარ იცხოვრებენ?

— ისინიც ჩვენთან ერთად მოდიან, — აუხსნა დედამ, — ახლა კი გეყოფა კითხვების დასმა. მაღლა ადი და მარიას დაეხმარე შენი ნივთების ჩალაგებაში.

ბრუნო ადგა, მაგრამ არსად წასულა. კიდევ რამდენიმე კითხვა ჰქონდა. ვითარებაში ბოლომდე უნდა გარკვეულიყო.

— შორსაა? — იკითხა მან, — მამას ახალ სამსახურს ვგულისხმობ. ერთ მილზე უფრო შორს?

— ღმერთო ჩემო, — გაეცინა დედას, მაგრამ ეს უცნაური სიცილი იყო, სიხარული არ ეტყობოდა, ზურგიც კი შეაქცია ბიჭს, თითქოს სახეს უმალავსო, — ჰო, ბრუნო, ერთ მილზე შორსაა. სინამდვილეში, ძალიან შორსაა აქედან.

ბრუნოს გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა, პირი დააღო, ხელები კი თავისით გაეშალა განზე.

— ნუთუ ბერლინიდან მივემგზავრებით? — ამოსუნთქვას ძლივს ამოაყოლა სიტყვები.

— სამწუხაროდ, ასეა, — სევდიანად დაუქნია თავი დედამ, — მამაშენის სამსახური.....

— სკოლა? — შეაწყვეტინა ბრუნომ. იცოდა, რომ ასე მოქცევა არ შეიძლებოდა, მაგრამ იმედოვნებდა, ამ შემთხვევაში აპატიებდნენ, — და კარლი, დანიელი, მარტინი? როგორ მომაგნებენ, როცა ერთად თამაში მოგვინდება?

— მეგობრებს დროებით უნდა დაემშვიდობო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ისევ შეხვდებით. და, თუ შეიძლება, ნუ მაწყვეტინებ, — თქვა დედამ.

მართალიც იყო. ახალი ამბავი კი აღმოჩნდა უცნაური და უსიამოვნო, მაგრამ ზრდილობის იმ წესების დარღვევა, რომლებსაც ბრუნოს ასწავლიდნენ, მაინც არ შეიძლებოდა.

— დავემშვიდობო? — ბრუნო გაოცებით მიაჩერდა დედას, — დავემშვიდობო? — კიდევ ერთხელ გაიმეორა, სიტყვებს ისე გაუგებრად წარმოთქვამდა, თითქოს პირი დაღეჭილი, მაგრამ ჯერ კიდევ გადაუყლაპავი ნამცხვრით აქვს გამოტენილიო, — დავემშვიდობო კარლს, დანიელს და მარტინს? — აგრძელებდა და მისი ხმა თანდათან ყვირილს ემსგავსებოდა, ყვირილის უფლებას კი სახლში არ აძლევდნენ, — სამივენი ხომ ჩემი საუკეთესო, ერთგული მეგობრები არიან, ცხოვრების ბოლომდე?!

— ახალ მეგობრებს გაიჩენ, — დაუდევრად წამოისროლა დედამ, თითქოს სამი საუკეთესო, ერთგული მეგობრის გაჩენა იოლი საქმე ყოფილიყოს.

— მაგრამ ჩვენ ხომ გეგმები გვქონდა, — გააპროტესტა ბრუნომ.

— გეგმები? — წარბი ასწია დედამ, — რა გეგმები?

— საიდუმლოა.

ბრუნო ვერ გაამხელდა ამ გეგმებს, მით უმეტეს, ისინი უამრავ ცელქობას უკავშირდებოდა, განსაკუთრებით — რამდენიმე კვირის შემდეგ, როდესაც ზაფხულის არდადეგები დაიწყებოდა და ბიჭები შეძლებდნენ, მთელი დრო მათი განხორციელებისთვის დაეთმოთ.

— ვწუხვარ, ბრუნო. გეგმების გადადება მოგიწევს. სხვა გზა არ გვაქვს.

— მაგრამ, დედა!

— გეყოფა, ბრუნო, — გააწყვეტინა დედამ და წამოდგომით ანიშნა, საუბრის დასრულების დროაო — გასულ კვირას არ წუწუნებდი, აქ ყველაფერი შეიცვალაო?

— არ მომწონს, რომ ღამით სინათლეს ვაქრობთ ხოლმე, — დაეთანხმა ის.

— ყველა ასე იქცევა, — უპასუხა დედამ, — უსაფრთხოებისთვის. და ვინ იცის, იქნებ სადაც გადავდივართ, ბევრად მშვიდად ვიყოთ. ახლა მაღლა ადი და მარიას დაეხმარე ბარგის ჩალაგებაში. ზოგიერთების გამო არც ისე ბევრი დრო გვაქვს მოსამზადებლად, რამდენსაც ვისურვებდი.

ბრუნომ თავი დაუქნია და გულდამძიმებული გაემართა თავისი ოთახისკენ. იცოდა, რომ „ზოგიერთები“ უფროსების ენაზე „მამას“ ნიშნავდა და თვითონ ასე არ უნდა ეთქვა.

კიბეებს ნელა აუყვა, ცალი ხელით მოაჯირს ეჭიდებოდა და ფიქრობდა, ნეტავ ახალ სახლში, ახალ ადგილას, სადაც მამას ახალი სამსახურია, თუ იქნება სასრიალოდ ასეთივე შესანიშნავი მოაჯირიო. ეს მოაჯირი სახლის სხვენიდან — იმ დახრილფანჯრებიანი ოთახიდან იწყებოდა, საიდანაც ბრუნოს შეეძლო თითქმის მთელი ბერლინი დაენახა, თუკი თითის წვერებზე აწეული ჩარჩოს მაგრად მოეჭიდებოდა; გრძელდებოდა პირველ სართულამდე და სწორედ სასადილოს უზარმაზარ მუხის კართან მთავრდებოდა. მას ყველაფერს ერჩივნა სახლის ბოლო სართულიდან მოაჯირზე ხმამაღალი შეძახილებით ჩამოსრიალება.

ჯერ — ზემო სართულიდან ქვედა სართულამდე ჩამოსრიალება, სადაც მშობლების ოთახი და უზარმაზარი სააბაზანო იყო, რომლებში შესვლაც მას აკრძალული ჰქონდა.

შემდეგ — ისევ ქვევით, სადაც მისი ოთახი იყო, კიდევ — გრეტელის ოთახი და მომცრო სააბაზანო, რომლითაც, წესით, უფრო ხშირად უნდა ესარგებლა, ვიდრე სარგებლობდა.

ბოლოს — პირველ სართულზე, სადაც მოაჯირიდან გადმოსკუპებული ფეხებზე მყარად უნდა დამხტარიყო, თორემ ხუთ ქულას დაკარგავდა და თამაში თავიდან უნდა დაეწყო.

ამ სახლის ღირსება მოაჯირი იყო და კიდევ ის, რომ ბებია და ბაბუა ახლოს ცხოვრობდნენ. ამის გახსენებაზე ბრუნო დაფიქრდა, ისინიც თუ მოემგზავრებიან ახალ ადგილასო და დაასკვნა, ალბათ, კი — ხომ ვერ მივატოვებთო. გრეტელზე სულ არ იდარდებდა — იგი ხომ უიმედო შემთხვევაა — უკეთესიც იქნებოდა, სახლის მოსავლელად დაეტოვებინათ — მაგრამ ბებია და ბაბუა? ეს სულ სხვა საქმე იყო!

ბრუნო თავისი ოთახისკენ ნელა აუყვა კიბეს. სანამ შიგნით შევიდოდა, დაბლა ჩაიხედა, პირველი სართულისკენ, და დაინახა, როგორ შეაბიჯა დედამ მამის კაბინეტში, სასადილო ოთახის მოპირდაპირე მხარეს რომ იყო განთავსებული და ბრუნოს ყოველთვის უკრძალავდნენ შესვლას, გამონაკლისის გარეშე. ესმოდა მშობლების ხმამაღალი კამათი, სანამ მამამ უფრო მეტად არ აუწია ხმას და დედას არ გააწყვეტინა. შემდეგ კაბინეტის კარი დაიხურა და აღარაფერი ისმოდა, ამიტომ ბრუნომ იფიქრა, ჯობია ოთახში დავბრუნდე და მარიას ნაცვლად ჩავალაგო ბარგი, თორემ შეიძლება მთელი ჩემი ქონება განურჩევლად გადმოყაროს გარდერობიდან, მათ შორის ისეთი ნივთებიც, გარდერობის უკან რომ მაქვს გადამალული, მხოლოდ მე მეკუთვნის და სხვებს მათთან არაფერი ესაქმებათო.

ახალი სახლი

ახალი სახლის პირველად დანახვისას ბრუნოს გაკვირვებისგან კიდევ ერთხელ გაუფართოვდა თვალები, პირი დააღო, ხელები კი თავისით გაეშალა განზე. ამ შენობაში ყველაფერი სრულიად განსხვავდებოდა ძველი სახლისგან და ბრუნოს ვერაფრით დაეჯერებინა, რომ აქ ცხოვრებას მართლა აპირებდნენ.

ბერლინში მათი სახლი მყუდრო ქუჩაზე იდგა რამდენიმე სხვა დიდ სახლთან ერთად, რომლებიც ძალიან ჰგავდნენ მის საკუთარს და მათი თვალიერება ყოველთვის სიამოვნებდა. ამ ლამაზ სახლებში სხვა ბიჭები ცხოვრობდნენ, რომელთაც ეთამაშებოდა (თუკი კეთილგანწყობილები იყვნენ) ან თავს არიდებდა (თუ მათგან მხოლოდ უსიამოვნება იყო მოსალოდნელი). ახალი სახლი კი განმარტოებით იდგა, დაუსახლებელ ადგილას, მოშორებითაც კი არ მოჩანდა რაიმე შენობა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ირგვლივ სხვა ოჯახები არ ცხოვრობდნენ, არ არსებობდნენ ბიჭები, ვისთან თამაშიც შესაძლებელი იყო — არც მეგობრები და არც მტრები.

ბერლინის სახლი უზარმაზარი იყო და მიუხედავად იმისა, რომ იქ თითქმის ცხრა წელი ცხოვრობდა, ბრუნოს ჯერაც შეეძლო ისეთი ბზარებისა და კუნჭულების პოვნა, რომლებიც ბოლომდე შესწავლილი არ ჰქონდა. ისეთი ოთახებიც კი ეგულებოდა, რომლებშიც თითქმის არ იყო ნამყოფი — მაგალითად, მამას კაბინეტი, სადაც მას ყოველთვის უკრძალავდნენ შესვლას, გამონაკლისის გარეშე. ახალ სახლს კი მხოლოდ სამი სართული ჰქონდა — მეორე სართული სამი საძინებლითა და ერთადერთი აბაზანით, პირველი სართული სამზარეულოთი, სასადილო ოთახითა და მამას ახალი კაბინეტით (რომელზეც იგივე აკრძალვა ვრცელდებოდა) და სარდაფი, რომელშიც მსახურებს ეძინათ.

ბერლინის სახლს ირგვლივ ერტყა უზარმაზარსახლებიანი ქუჩები, სადაც უამრავი ხალხი დასეირნობდა. ისინი საბაასოდ ჩერდებოდნენ, ან სადღაც მიქროდნენ და მოგაძახებდნენ, დღეს უამრავი საქმე გვაქვს მოსასწრები და შესაჩერებლად არ გვცალიაო. იქვე იყო გაბრდღვიალებულვიტრინებიანი მაღაზიები ხილისა და ბოსტნეულის დახლებით, რომლებზეც გორებად დაეხვავებინათ სტაფილო, ჩვეულებრივი და ყვავილოვანი კომბოსტო ან სიმინდი. ზოგი დახლი სოკოს და პრასს, თალგამს და ბრიუსელის კომბოსტოს, სალათს და მწვანე ლობიოს, ყაბაყს და ძირთეთრას დაეხუნძლა. ბრუნო ამ დახლებთან დადგებოდა ხოლმე, თვალებს დახუჭავდა და ღრმად ისუნთქავდა მათ არომატს, სანამ სიცოცხლისა და სიახლის მოტკბო სურნელების ნარევისაგან თავბრუ არ დაეხვეოდა. მაგრამ ახალი სახლის ახლომახლო არც ქუჩა იყო, არც ადამიანი, რომელიც გვერდით ჩაგისეირნებდა ან ჩაგიქროლებდა, და არც მაღაზია ხილისა თუ ბოსტნეულის დახლებით. თვალებს რომ ხუჭავდა, გარშემო ყველაფერი ცარიელი და ცივი ეჩვენებოდა, თითქოს მსოფლიოში ყველაზე უკაცრიელ ადგილას იყო —სიცარიელის შუაგულში.

ბერლინში ზოგიერთ ქუჩაზე ღია ცის ქვეშ მაგიდები იდგა და ზოგჯერ, როცა სკოლიდან ბრუნდებოდა კარლთან, დანიელსა და მარტინთან ერთად, ამ მაგიდების გარშემო ქალები და მამაკაცები ისხდნენ, ქაფიან სასმელებს სვამდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ. ალბათ, ძალიან მხიარული ხალხიაო, ფიქრობდა ყოველთვის, რადგან რაც უნდა ეთქვა რომელიმე მათგანს, ვიღაც ყოველთვის იცინოდა. ახალ სახლში ბრუნოს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს იქ არასოდეს არავის გაეცინა, აქ არაფერი იყო ისეთი, რაზეც გაიცინებდი, რის გამოც თავს ბედნიერად ჩათვლიდი.

— მგონი, აქ გადმოსვლა ცუდი აზრი იყო, — განაცხადა ბრუნომ ჩამოსვლიდან რამდენიმე საათის შემდეგ, სანამ ზედა სართულზე მარია მისი ჩემოდნიდან ნივთებს ალაგებდა. მარია ახალ სახ-

ლში ერთადერთი მოახლე არ აღმოჩნდა -კიდევ სამი გაძვალტყავებული მსახური ჰყავდათ, რომლებიც ერთმანეთს მხოლოდ ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ. და ერთიც მოხუცი კაცი, რომელსაც, როგორც ბრუნოს აუხსნეს, ბოსტნეულის გასუფთავება და მაგიდასთან მათი მომსახურება ევალებოდა. მოხუცი ძალიან უბედური და, ცოტა არ იყოს, გაჯავრებული ჩანდა.

— ჩვენი აზრი არავის უკითხავს, — თქვა დედამ, თან ყუთი გახსნა, რომელშიც სამოცდაოთხი ბროლის ბოკალი იდო, ბებიამ და ბაბუამ მამაზე დაქორწინების დღეს რომ უსახსოვრეს, — ყველაფერი უჩვენოდ გადაწყვიტეს.

ბრუნო ვერ მიხვდა, რა იგულისხმა დედამ, ამიტომ თავი ისე დაიჭირა, თითქოს არაფერი გაუგონია.

— მგონი, აქ გადმოსვლა ცუდი აზრი იყო, — გაიმეორა მან, — ჩემი აზრით, უკეთესი იქნება დავივიწყოთ ეს მოგზაურობა და უკან დავბრუნდეთ, ჩვენს სახლში. შეცდომა კი გამოცდილებას შეგვმატებს, — დაამატა ფრაზა, რომელიც ახლახან ესწავლა და ისე მოსწონდა, ცდილობდა, ყოველ შესაფერის მომენტში გამოეყენებინა.

დედამ გაიღიმა და ძალიან ფრთხილად დადო ყუთი მაგიდაზე.

— ახალ ფრაზას გასწავლი, — თქვა მან, — შესაძლებელია, ყველაზე უარესი მდგომარეობაც კი შენს სასარგებლოდ შეამოატრიალო.

— ეგ როგორ უნდა მოვახერხო, — მიუგო ბრუნომ, — მე მგონი, უბრალოდ მამას უნდა უთხრა, რომ გადაიფიქრე და, ამ საღამოს თუ აქ დარჩენა, სადილობა და დაძინება მოგვიწევს, ამას არა უშავს, რადგან მგზავრობისგან ყველა დავიღალეთ, მაგრამ დილით ადრე უნდა ავდგეთ და გავემგზავროთ, თუ გვინდა, რომ ბერლინში სადილობის დროს მივუსწროთ.

დედამ ამოიოხრა.

— ბრუნო, უბრალოდ მაღლა ადი და მარიას ბარგის ამოლაგებაში დაეხმარე.

— მაგრამ რა აზრი აქვს ამოლაგებას, თუ ხვალ წავ.....

— ბრუნო, გეყოფა! — შეაწყვეტინა დედამ. როგორც ჩანს, მისთვის შეიძლებოდა, შვილისთვის საუბარი შეეწყვეტინებინა, მაგრამ პირიქით — არავითარ შემთხვევაში, — უკვე ადგილზე ვართ, ჩამოვედით, ეს იქნება ჩვენი სახლი უახლოეს მომავალში და უბრალოდ, მდგომარეობას სხვა თვალით უნდა შევხედოთ. გესმის ჩემი?

ბრუნომ ვერ გაიგო, რას ნიშნავდა „უახლოესი მომავალი“ და დედას ჰკითხა.

— ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ახლა აქ ვცხოვრობთ, ბრუნო. მორჩა.

ბრუნოს ნერვიულობისგან მუცელი ასტკივდა. გრძნობდა, შიგნით რაღაც ეზრდებოდა, რაღაც საშინლად ძლიერი, რომელიც მისი არსების სიღრმიდან გარეთ თუ გამოაღწევდა, ან ხმამაღლა აატირებდა, ან აიძულებდა ეყვირა, რომ ეს ყველაფერი არასწორი იყო, უსამართლობა და დიდი შეცდომა, რომელზეც ვიღაცას სასწრაფოდ პასუხი უნდა ეგო. როგორ შეიძლება ეს ყველაფერი მომხდარიყო? ჯერ კიდევ გუშინ ის სრულიად კმაყოფილი იყო, სახლში თამაშობდა, ჰყავდა სამი საუკეთესო მეგობარი, მოაჯირზე დასრიალებდა, ცდილობდა, ფეხის წვერებზე აწეულს ბერლინი დაენახა, ახლა კი ამ ცივ, საზიზღარ სახლში გამოამწყვდიეს, სამი მოჩურჩულე მსახურითა და ოფიციანტით, რომელიც უბედურიც იყო და გაბრაზებულიც; სახლში, რომელშიც არავის ეტყობოდა, რომ ოდესმე გამხიარულებას შეძლებდა.

— ბრუნო, მინდა, რომ ახლავე მაღლა ახვიდე და შენი ნივთები ამოალაგო! — ცივად თქვა დედამ. ბრუნომ იცოდა — ასეთ დროს ვერაფერს გააწყობდა, ამიტომ შეტრიალდა და ხმის ამოუღებლად დაიძრა. გრძნობდა, როგორ მოადგა ცრემლი, მაგრამ თავს ძალა დაატანა და არ იტირა

ზემოთ მთელი სართული შემოიარა იმ იმედით, რომ ბავშვური აღმოჩენებისთვის გამოსადეგ პატარა კარს ან მყუდრო ადგილს იპოვიდა, მაგრამ ამაოდ. მათ სართულზე მხოლოდ ოთხი კარი იყო, თითო მხარეს ორ-ორი, ერთმანეთის მოპირდაპირედ — გრეტელის ოთახის კარი, მისი ოთახის კარი, მშობლების ოთახისა და სააბაზანოს კარები.

— ეს სახლი არ არის და არც არასოდეს იქნება, — ჩაიბურტყუნა მან, როცა ოთახში შევიდა და მთელი თავისი ტანსაცმელი საწოლზე დაყრილი დაინახა, სათამაშოებისა და წიგნების ყუთები კი — ჯერ კიდევ ამოულაგებელი. მარია აშკარად ვერ არჩევდა ერთმანეთისგან მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს.

— დედამ დასახმარებლად გამომიშვა, — წყნარად თქვა ბრუნომ.

მარიამ თავი დაუქნია და დიდი ყუთი დაანახა, რომელშიც მისი წინდები, ტრუსები და პერანგები ეყარა.

— შეგიძლია ეგენი დაახარისხო და იმ უჯრაში ჩაალაგო — მტვრიან, უსახურ კომოდზე მიუთითა, ოთახის შუაგულში, სარკის გვერდით რომ იდგა.

ბრუნომ ამოიოხრა და საცვლებით პირთამდე სავსე ყუთი გახსნა. როგორ უნდოდა, შიგნით ჩამძვრალიყო, უკან ამომძვრალს კი თავის ძველ სახლში გაეღვიძა და ეს ყველაფერი სიზმარი აღმოჩენილიყო!

— რას ფიქრობ ამ ყველაფერზე, მარია? — იკითხა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ. მას ყოველთვის მოსწონდა და ოჯახის წევრად მიაჩნდა მარია, მიუხედავად იმისა, რომ მამა ამბობდა, ის მხოლოდ მოახლეა და თანაც, საკმაოდ ძვირი მიჯდებაო.

— რაზე?

— ამაზე, — ისე უპასუხა, თითქოს ყველაზე აშკარა რამეს ეკითხებოდა დედამიწის ზურგზე, — ასეთ ადგილას გადმოსვლაზე. არ გგონია, რომ დიდი შეცდომა დავუშვით?

— ვერაფერს გეტყვი, მასტერ ბრუნო, — უპასუხა მან, — დედამ, ალბათ, გიამბოთ მამათქვენის ახალი სამსახურის შესახებ, და...

— დამღალა მამას სამსახურის ხსენებამ, — გააწყვეტინა ბრუნომ, — მე თუ მკითხავ, ამის მეტს არაფერს ამბობენ — მამას სამსახური ეს, მამას სამსახური ის;... თუ მამას სამსახური იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სახლი და ჩამოსასრიალებელი მოაჯირი უნდა მივატოვოთ და სხვაგან წავიდეთ საცხოვრებლად, სადაც აღარ მეყოლება სამი საუკეთესო მეგობარი, ჩემი აზრით, მამა კარგად უნდა დაფიქრდეს, დასთანხმდეს თუ არა ამ სამსახურს, არ მეთანხმები?

სწორედ ამ დროს დერეფანში რაღაცამ გაიჭრიალა. ბრუნო გარეთ გავარდა და დაინახა, რომ მშობლების ოთახის კარი ოდნავ შეიღო. ბიჭი ადგილს მიეყინა, განძრევას ვეღარ ბედავდა. დედა ჯერ კიდევ არ ამოსულიყო პირველი სართულიდან, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოთახში მამა იქნებოდა და ვინ იცის, იქნებ ყველაფერი გაიგონა? გაშეშებული კარს მისჩერებოდა და ძლივს სუნთქავდა — ახლა მამა გამოვა და ქვევით წაიყვანს, რომ სერიოზულად დაელაპარაკოს. კარი გაიღო და ადამიანის გამოჩენისთანავე ბრუნომ უნებურად უკან დაიხია — ეს არ იყო მამა. ბევრად ახალგაზრდა მამაკაცი იყო, მამასავით მაღალი არა, სამაგიეროდ, ზუსტად ისეთივე უნიფორმა ეცვა, ოღონდ ცოტა ნაკლები მედლებით. კაცს ძალიან სერიოზული შესახედაობა ჰქონდა და ქუდი ისე მჭიდროდ მოერგო, რომ მხოლოდ საფეთქლები უჩანდა, მაგრამ ბრუნომ მაინც შეამჩნია მისი ძალიან ქერა, თითქმის არაბუნებრივად ყვითელი თმა. უცნობს ხელში ყუთი ეჭირა და კიბისკენ მიდიოდა, მაგრამ როცა დაინახა, როგორ მისჩერებოდა ბრუნო,წუთით შედგა. მან ბიჭი თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა, თითქოს ბავშვს პირველად ხედავდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო — შეეჭამა, გულგრილად ჩაევლო გვერდით თუ კიბიდან გადაეგდო. მერე სწრაფად დაუკრა თავი და გზა განაგრძო.

— ეს ვინ იყო? — იკითხა ბრუნომ. ახალგაზრდა ისეთი სერიოზული და საქმიანი მოეჩვენა, რომ იფიქრა, ძალიან მნიშვნელოვანი ვინმე იქნებაო.

— ალბათ, მამაშენის რომელიმე ჯარისკაცი, — უპასუხა მარიამ, რომელიც მთელი ეს დრო წელში გამართული იდგა, ხელები კი მლოცველივით შეეერთებინა. ზემოთ წუთითაც არ აუხედავს, თითქოს შიშობდა, იმ კაცს სახეში რომ შევხედო, გავქვავდებიო, მხოლოდ მაშინ მოეშვა, როცა უცნობი ახალგაზრდა წავიდა, — როცა დრო მოვა, ყველას გავიცნობთ.

— არ მომეწონა, — თქვა ბრუნომ, — ძალიან სერიოზული იყო.

— მამაშენიც ძალიან სერიოზულია.

— ჰო, მაგრამ ის ხომ მამაა, — აუხსნა ბრუნომ, — მამები სერიოზულები უნდა იყვნენ. მიუხედავად იმისა, მემწვანილეები არიან, მასწავლებლები, მზარეულები თუ კომენდანტები, — ყველა ის პროფესია ჩამოთვალა, რომელიც იცოდა, საპატიოდ მიაჩნდა და რომელზეც უამრავჯერ უფიქრია, — ის კაცი ვინმეს მამას არ ჰგავდა, თუმცა, ნამდვილად ძალიან სერიოზული იყო.

— ძალიან სერიოზული სამსახური აქვთ, — ამოიოხრა მარიამ, — ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ჰგონიათ. მე კი შენს ადგილას მოვერიდებოდი ჯარისკაცებს.

— რაში მჭირდებიან? — მოიწყინა ბრუნომ, — არა მგონია, აქ გრეტელის გარდა ვინმესთან შემეძლოს თამაში, მასთან კი სულაც არ მეხალისება. ის უიმედო შემთხვევაა.

ისევ მოუნდა ტირილი, მაგრამ თავი შეიკავა — არ უნდოდა, მარიას მტირალად მიეჩნია. თავჩაღუნულმა მთელი ოთახი მოათვალიერა რაიმე საინტერესოს ძებნაში, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ან რა უნდა ეპოვა, თუმცა... კუთხეში, კარის პირდაპირ, ჭერში ფანჯარას მოჰკრა თვალი, ცოტათი იმის მსგავსს, როგორიც ბერლინში, სხვენზე იყო, მაგრამ ეს ისე დაბლა მთავრდებოდა, რომ

გარეთ გასახედად თითის წვერებზე დადგომაც კი არ დასჭირდებოდა.

ბიჭი ნელ-ნელა დაიძრა ფანჯრისკენ. იმედი ჰქონდა, იქიდან უკან, სახლისკენ მიმავალ მთელ გზას დაინახავდა, ქუჩებს, რომლებიც მის სახლს ერტყა გარშემო, ღია ცის ქვეშ გამოდგმულ მაგიდებსა და მათ გარშემო მსხდარ ხალხს, რომელიც ქაფიან სასმელებს სვამდა, მხიარულ ამბებს უყვებოდა ერთმანეთს და იცინოდა. იმედგაცრუების შიშით ნელა მიაბიჯებდა, მაგრამ პატარა ბიჭის ოთახში გზა დაუსრულებელად ხომ ვერ გაიწელებოდა. ბრუნო მალე ფანჯარასთან აღმოჩნდა, შუბლი მინას მიაბჯინა და გარეთ გაიხედა. ამჯერად, როცა გაკვირვებისგან თვალები გაუფართოვდა და პირი დააღო, ხელები აღარ გაუშლია, პირიქით, მჭიდროდ შემოიხვია სხეულზე, რადგან რატომღაც ძალიან შესცივდა და დაუცველად იგრძნო თავი.

უიმედო შემთხვევა

ბრუნო დარწმუნებული იყო, რომ ბევრად უკეთესი იქნებოდა, გრეტელი ბერლინში დაეტოვებინათ სახლის მოსავლელად, რადგან მას პრობლემების გარდა არაფერი მოჰქონდა. სხვებისგანაც გაეგონა გრეტელის შესახებ — აკვნიდანვე ხათაბალაააო.

გრეტელი ბრუნოზე სამი წლით უფროსი იყო და რაც თავი ახსოვდა, ყოველთვის ნათლად აგრძნობინებდა, რომ ყველაფერში, რაც ორივეს ეხებოდა, გადამწყვეტი სიტყვა მას ეთქმოდა. ბრუნოს სულაც არ უნდოდა, ეღიარებინა, რომ ცოტათი ეშინოდა კიდეც მისი, მაგრამ თუ საკუთარ თავთან გულახდილი იქნებოდა — რასაც ყოველთვის ცდილობდა — უნდა გამომტყდარიყო, რომ თავისი და მართლაც აშინებდა.

როგორც დებს შეეფერებათ, გრეტელს საძაგელი ჩვევები ჰქონდა. მაგალითად, დილაობით ძალიან დიდხანს რჩებოდა აბაზანაში და სულაც არ ენაღვლებოდა კართან ატუზული ბრუნო, რომელიც სიმწრისაგან ფეხებს ინაცვლებდა, რომ არ ჩაეფსა.

გრეტელს თოჯინების უზარმაზარი კოლექცია ჰქონდა. ოთახში შესვლისას ისინი თაროზე გამწკრივებულები მისჩერებოდნენ ბრუნოს და რაც უნდა ეკეთებინა, თვალს არ აშორებდნენ. ბრუნო დარწმუნებული იყო, რომ თუ გრეტელის არყოფნისას მის ოთახში შეძვრებოდა თავისი საიდუმლო კვლევა-ძიებისთვის, დაბრუნებისას მის დას თოჯინები ყველაფერს ჩაუკაკლავდნენ. გარდა ამისა, გრეტელს ბევრი ამაზრზენი მეგობარი ჰყავდა, რომლებსაც ბიჭის დაცინვა სახალისოდ ეჩვენებოდათ; ბრუნო ხშირად ფიქრობდა, მე ასე არ მოვიქცეოდი, სამი წლით უფროსი რომ ვყოფილიყავიო. გრეტელის მეგობრებს უყვარდათ მისი წვალება და სისაძაგლეების ძახილი, როდესაც დედა და მარია ახლომახლო არ ჩანდნენ.

— ბრუნო ცხრა წლის სულაც არ არის, მხოლოდ ექვსისაა, — ღიღინებდა ხოლმე ერთი განსაკუთრებული ურჩხული, მის გარშემო ცეკვავდა და ნეკნებში ურტყამდა.

— არა ვარ ექვსის, ცხრა წლისა ვარ, — აპროტესტებდა ბრუნო და თავის დაღწევას ცდილობდა.

— მაშინ რატომ ხარ ასეთი მოცუცქნული? — აჯავრებდა ურჩხული, — ყველა ცხრა წლის ბიჭი შენზე დიდია.

ეს სიმართლე ბრუნოსთვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო. ბიჭს მუდამ უიმედობა იპყრობდა იმის გამო, რომ კლასელებივით მაღალი არ იყო — სხვა ბიჭებს მხრებამდე თუ სწვდებოდა. როცა კარლთან, დანიელსა და მარტინთან ერთად ქუჩაში სეირნობდა, ხალხს ხშირად რომელიმეს უმცროსი ძმა ეგონა, არადა ის ხომ მეგობრებში ასაკით მეორე იყო!

— ესე იგი, ექვსი წლის ხარ, — არ ეშვებოდა ურჩხული, ბრუნო კი გარბოდა, რომ გაჭიმვებში ევარჯიშა და ოცნებობდა, ერთხელაც ერთი-ორი თავით მაღალს გაღვიძებოდა.

ასე რომ, ბერლინიდან წამოსვლას ერთი კარგი მხარე მაინც ჰქონდა — გრეტელის არც ერთი მავნე მეგობარი აქ არ იყო და ვეღარ აწამებდნენ. ვინ იცის, თუ ვალდებულები იყვნენ, მთელი თვით ამ სახლში დარჩენილიყვნენ, იქნებ ბერლინში დაბრუნებამდე ბრუნო ისე გამაღლებულიყო, მისთვის ვეღარ დაეცინათ. მშვენიერი აზრი იყო და კარგი იქნებოდა, დაემახსოვრებინა; დედის რჩევას უნდა მიჰყოლოდა და ცუდი მდგომარეობიდან სარგებლის მიღება ეცადა.

ბრუნო გრეტელის ოთახისკენ გაიქცა და დაუკაკუნებლად შეირბინა. მისი და დალაგებით იყო გართული — თოჯინების საზოგადოებას მთელ ოთახში თაროებზე ანაწილებდა.

— აქ რას აკეთებ? — შემოტრიალდა გრეტელი და დაუყვირა, — არ იცი, რომ ქალბატონის ოთახში დაუკაკუნებლად შესვლა არ შეიძლება?

— შენ რა, ყველა თოჯინა წამოიღე? — ბრუნოს ჩვევად ჰქონდა, დის თითქმის ყველა კითხვა უპასუხოდ დაეტოვებინა და სამაგიეროდ თვითონ დაესვა კითხვები.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა მან, — აბა რა გეგონა, სახლში დავტოვებდი? ვინ იცის, როდის დავბრუნდებით უკან.

— ვინ იცის? — იმედგაცრუებული ტონით გაიმეორა ბრუნომ, მაგრამ გულის სიღრმეში ესიამოვნა, რადგან უკვე შეეგუა აზრს აქ მთელი თვით დარჩენის შესახებ, — მართლა ასეა საქმე?

— მამას ვკითხე და მიპასუხა, უახლოეს მომავალში აქ ვიცხოვრებთო.

— შეგიძლია მითხრა, რას ნიშნავს უახლოესი მომავალი უფრო ზუსტად? — ბრუნო მისი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

— ეს ნიშნავს დღეიდან ორ კვირას, — ჭკვიანური გამომეტყველებით უპასუხა გრეტელმა, — შეიძლება, სამ კვირასაც.

— მაშინ არა უშავს, — თქვა ბრუნომ, — თუ მხოლოდ უახლოეს მომავალში დავრჩებით და არა მთელი თვით.... ვერ ვიტან აქაურობას.

გრეტელმა უმცროს ძმას შეხედა და ცხოვრებაში პირველად დაეთანხმა.

— ვიცი, რასაც გულისხმობ. არც ისე ლამაზი სახლია, არა?

— საშინელებაა.

— მართალია, — თავი დაუქნია გრეტელმა, — ახლა სწორედ საშინელებაა. მაგრამ როცა მოაწესრიგებენ, ასეთი ცუდი აღარ იქნება. გავიგონე, როგორ თქვა მამამ, რომ ვინც ჩვენამდე ცხოვრობდა აუვიცში, სამსახური ძალიან სწრაფად დაკარგა და სახლის გალამაზება ვერ მოასწრო.

— რას ნიშნავს „აუვიცი“?

— ისეთს არაფერს, ბრუნო, — ამოიოხრა გრეტელმა, — უბრალოდ აუვიცს.

— კარგი, მაშინ რაარის აუვიცი? — დაიჟინა ბრუნომ, — აუ, ვიცი — რა?

— ალბათ, ამ სახლის სახელია, — აუხსნა გრეტელმა, — აუვიცი.

ბრუნო ჩაფიქრდა. გარეთ არავითარი აბრა არ ეკიდა, რომელზეც სახლის სახელი იქნებოდა აღნიშნული, არც შემოსასვლელ კარს ეწერა რამე. არც მათ ბერლინის სახლს ჰქონია სახელი, მას უბრალოდ ნომერ ოთხს ეძახდნენ.

— მაგრამ რას ნიშნავს? — უკვე ღიზიანდებოდა.

— ალბათ, იმ ხალხს უკავშირდება, ვინც აქ ჩვენამდე ცხოვრობდა, — უპასუხა გრეტელმა, — ალბათ, იმის გამო, რომ მათ საქმე კარგად არ შეასრულეს, ვიღაცამ თქვა, აუ, ვიცი როგორც მოვიქცეთო, სხვაგან გავგზავნოთ და ისეთი ვინმე მოვიწვიოთ, ვინც თავს კარგად გაართმევსო.

— მამას გულისხმობ?

— რა თქმა უნდა.

გგრეტელი მამაზე ყოველთვის ისე ლაპარაკობდა, თითქოს არ შეიძლებოდა, მას რამე შეშლოდა. თითქოს არასოდეს გაჭბრაზებიათ და ყოველთვის კოცნიდა შუბლზე ძილის წინ და ტკბილ სიზმრებს უსურვებდა; ასეთი დადარდიანებული რომ არ ყოფილიყო ამ სახლში გადმოსვლით, ბრუნო უფრო სამართლიანად იფიქრებდა მამაზე და აღიარებდა, რომ იგი მასაც კოცნიდა ძილის წინ.

— ესე იგი, აუვიცში იმიტომ ვართ, რომ ვიღაც ჩვენამდე მცხოვრებლები სხვაგან გაგზავნეს?

— ჰო, ბრუნო. ახლა კი ადექი ჩემი ლოგინიდან, გადასაფარებელს ჭმუჭნი.

ბრუნო საწოლიდან წამოხტა და ყრუდ დახტა ხალიჩაზე. არ მოეწონა ეს ხმა, ძალიან ფუყე ხმა იყო და ბრუნომ გადაწყვიტა, აღარ ვიხტუნავებ ამ სახლში, თავზე რომ არ დაგვექცესო.

— არ მომწონს აქ, — გაიმეორა მეასეჯერ.

— ვიცი, რომ არ მოგწონს, — თქვა გრეტელმა, — მაგრამ არაფერი შეგვიძლია.

— კარლი, დანიელი და მარტინი მენატრებიან.

— მე კი ჰილდა, იზაბელი და ლუიზა, — უპასუხა გრეტელმა. ბრუნომ სცადა, გაეხსენებინა, რომელი იყო ის ურჩხული, მას რომ აწვალებდა ხოლმე.

— ჩემი აზრით, აქაური ბავშვები მეგობრულები არ უნდა იყვნენ.

გრეტელი ერთ-ერთ საშინელ თოჯინას თაროზე დებდა, მაგრამ მაშინვე შეჩერდა, ძმისკენ შემობრუნდა და შეხედა.

— რა თქვი?

— რა და, აქაური ბავშვები მეგობრულები არ უნდა იყვნენ-მეთქი.

— აქაური ბავშვები? — გრეტელს გაოცება ეწერა სახეზე, — რომელი ბავშვები? მე არავინ მინახავს.

ბრუნომ ოთახში მიიხედ-მოიხედა. ფანჯარა აქაც იყო, მაგრამ გრეტელის ოთახი მისი ოთახის პირდაპირ მდებარეობდა და, შესაბამისად, სულ სხვა მხარეს გადიოდა. თითქოს აქ არაფერიო, ბრუნომ მოკლე შარვლის ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ნაცნობი სიმღერის სტვენით ფანჯრისკენ გაემართა, თან ცდილობდა, დისთვის არ შეეხედა.

— ბრუნო, ღვთის გულისათვის, რა ჯანდაბას აკეთებ? ხომ არ გაგიჟდი? — ჰკითხა გრეტელმა

ის კი სიარულს, სტვენას და თავისი დის იგნორირებას აგრძელებდა, სანამ ფანჯარამდე არ მიაღწია, რომელიც, იღბლიანი შემთხვევის წყალობით, აქაც საკმაოდ დაბლა იყო და შესაძლებლობას აძლევდა, გარეთ გაეხედა. ბრუნომ გაიხედა და დაინახა მანქანა, რომლითაც აქ ჩამოვიდნენ, სამ სხვა მანქანასთან ერთად; ისინი იმ ჯარისკაცებს ეკუთვნოდათ, მამასთან რომ მუშაობდნენ. ზოგიერთი მათგანი ახლაც იქ იდგა. სიგარეტს ეწეოდნენ

და რაღაცაზე იცინოდნენ, ზოგჯერ კი ნერვულად გამოიხედავდნენ ხოლმე სახლისკენ. სამხედროების უკან სამანქანო გზა გადიოდა, მის გადაღმა გაწოლილი ტყე კი თითქოს თავისკენ იხმობდა და აღმოჩენებს ჰპირდებოდა.

— ბრუნო, ოდესმე ამიხსნი, რა იგულისხმე? — ჰკითხა გრეტელმა.

— იქ ტყეა... — ბრუნომ ისევ არ მიაქცია ყურადღება მის სიტყვებს.

— ბრუნო, — შეაწყვეტინა გრეტელმა და ისე სწრაფად წამოვიდა მისკენ, რომ ბიჭი უნებურად ფანჯარას მოშორდა და ზურგით კედელს აეკრა.

— რა იყო? — თავი მოიკატუნა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა.

— აქაური ბავშვები, — უპასუხა გრეტელმა, — შენ თქვი, მეგობრულები არ უნდა იყვნენო.

— ჰო, ასე მომეჩვენა, — ბრუნოს არ უნდოდა, მხოლოდ გარეგნობით განესაჯა ისინი, სანამ გაიცნობდა; დედა ყოველთვის უშლიდა ამას.

— ვინ აქაური ბავშვები-მეთქი? სად ნახე?

ბრუნომ გაიღიმა და კარისკენ წავიდა, თან გრეტელს ანიშნა, უკან გაჰყოლოდა. გოგონამ ღრმად ამოიოხრა და მიჰყვა. გასვლამდე საწოლთან შეჩერდა და თოჯინა დადო, მაგრამ უცებ გადაიფიქრა, ისევ აიღო და მკერდზე მიიხუტა. ასე მიუახლოვდა ბრუნოს ოთახს და შესვლამდე კინაღამ წააქცია იქიდან ქარიშხალივით გამოჭრილმა მარიამ, რომელსაც ხელში რაღაც მკვდარი თაგვის მსგავსი ეჭირა და მიაქანებდა.

— აი, იქ არიან, — უთხრა ბრუნომ, ამასობაში საკუთარ ფანჯარასთან მისულიყო და გარეთ იყურებოდა. არც კი მობრუნებულა, რომ შეემოწმებინა, შევიდა თუ არა გრეტელი — ბავშვების ცქერით იყო დაკავებული. ცოტა ხნით ისიც კი დაავიწყდა, უფროსი და რომ მის ოთახში იყო.

გრეტელს რამდენიმე ნაბიჯი აშორებდა ფანჯარამდე, მაგრამ უცებ ანერვიულდა — ან იმის გამო, როგორ წარმოთქვა ეს სიტყვები ბრუნომ, ანიმის, როგორ იყურებოდა ფანჯრიდან. ბრუნო ვერასოდეს ახერხებდა მის მოტყუებას და გრეტელი დარწმუნებული იყო, რომ ის ახლაც არ ცრუობდა, მაგრამ ბიჭი ისე იდგა ფანჯარასთან, რომ რატომღაც შეეყოყმანდა, უცებ საერთოდ აღარ მოუნდა იმ ბავშვების ნახვა. ნერწყვი გადაყლაპა და გულში ლოცვასავით წაიჩურჩულა: „ღმერთო, მართლაც უახლოეს მომავალში დაგვაბრუნე ბერლინში და არა ერთი თვის შემდეგ, როგორც ბრუნო ამბობს“.

— აბა? — ბრუნო შემობრუნდა და დაინახა, რომ მისი და ღია კარში შეჩერებულიყო და ნერვულად უჭერდა ხელს თოჯინას. ორი იდეალურად სწორად შეკრული კიკინა მხრებზე ეყრებოდა და თითქოს მოსაქაჩად იწვევდა, — არ გინდა მათი ნახვა?

— რა თქმა უნდა, მინდა, — უპასუხა მან და ყოყმანით გადადგა ნაბიჯი ძმისკენ, მერე კი, რადგან გადაწყვიტა, ცოტა გათამამებულმა იდაყვით გვერდზე უბიძგა, — გაიწიე, ნუ მეფარები.

„აუვიცში“ მათი პირველი დღე ნათელი და მზიანი იყო. როგორც კი გრეტელმა ფანჯარაში გაიხედა, მზე ღრუბლებიდან კიდევ ერთხელ გამოცურდა და თვალი მოსჭრა. მაგრამ მეორე წუთს თვალები კაშკაშა სინათლეს მიეჩვია, მზე კი ისევ დაიმალა და გრეტელმა დაინახა ის, რასაც ბრუნო ეუბნებოდა.

რა დაინახეს ფანჯრიდან

უპირველეს ყოვლისა, ბავშვები სულაც არ ყოფილან. ყოველ შემთხვევაში, ყველანი არა. მათ შორის ჩანდნენ დიდი და პატარა ბიჭები, მამები და ბაბუები. შეიძლება, რამდენიმე ბიძიაც. ზოგიერთი იმგვარი მარტოხელა იყო, ნათესავები რომ არ გააჩნია და ყველას ფეხებში ედება. ყველანაირები იყვნენ.

— ვინ არიან? — იკითხა გრეტელმა და ახლა მან დააღო პირი გაოცებისგან (სწორედ ისე, როგორც ბოლო რამდენიმე დღე მის ძმას დასჩემდა), — რა ადგილია ეს?

— ზუსტად ვერ გეტყვი, — უპასუხა ბრუნომ. მთელი ძალით ცდილობდა, სიმართლეს ჩასწვდომოდა, — მაგრამ სახლივით კარგი რომ არ არის, დარწმუნებული ვარ.

— სად არიან გოგონები? — ისევ იკითხა გრეტელმა, — და დედები? ან ბებიები?

— შეიძლება მეორე მხარეს ცხოვრობენ, — ივარაუდა ბრუნომ.

გრეტელი დაეთანხმა. არ უნდოდა, მიშტერებოდა, მაგრამ თვალის მოწყვეტა რთული აღმოჩნდა. აქამდე მხოლოდ საკუთარი ფანჯრის წინ გადაშლილი ტყე ენახა, რომელიც ცოტათი ბნელი კი ჩანდა, თუმცა, ალბათ, მშვენიერი იქნებოდა პიკნიკებისთვის, თუ სადმე პატარა მდელო აღმოაჩნდებოდა. მაგრამ სახლის ამ მხრიდან ხედი სრულიად განსხვავებული იყო — ის საკმაოდ სასიამოვნოდ იწყებოდა: სწორედ ბრუნოს ფანჯრის ქვეშ მოზრდილი და აკურატულად ჩარიგებული ყვავილებით სავსე ბაღი გაეშენებინათ. ჩანდა, რომ მას ვიღაც უვლიდა, ვინც იცოდა — ასეთ ადგილას ყვავილების გახარება ისეთივე სიკეთე იყო, როგორც ნისლიან ჭაობზე გაშენებული უზარმაზარი სასახლის კუთხეში ზამთრის ბნელ ღამეს ერთი ბეწო სანთლის დანთება.

ყვავილებს ძალიან კოხტა ქვაფენილი და ხის გრძელი სკამი მოსდევდა; გრეტელმა უცებ წარმოიდგინა, როგორ წაიკითხავდა

იქ წიგნს მზიან დღეს. სკამს საზურგეზე აბრა ჰქონდა მიმაგრებული, მაგრამ ამსიშორიდან გოგონას მისი წაკითხვა არ შეეძლო. სკამი ისე გაემართათ, რომ სახლს უყურებდა, რაც სხვა დროს უცნაურად მოეჩვენებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში გრეტელი მიზეზს ხვდებოდა.

ბაღიდან, ყვავილებიდან და აბრიანი სკამიდან დაახლოებით რამდენიმე მეტრში ყველაფერი იცვლებოდა. სახლის მთელ სიგრძეზე გადაჭიმული უზარმაზარი მავთულხლართი სახურავთან უხვევდა და ისე შორს იშლებოდა ყოველ მხარეს, თვალს ვერ მიაწვდენდი. მესერი ძალიან მაღალი იყო, მათ სახლზე მაღალიც კი, და მას უფრო ამყარებდა შიგ ჩატანებული უამრავი, ტელეგრაფის ბოძების მსგავსი უზარმაზარი ხის საგუშაგო. მესერს ზემოთ რამდენიმე ფენა ეკლიანი მავთული სპირალისებურად დაეეგრიხათ. ყოველ მხარეს გაფანტული ბასრი ეკლების შემხედვარე გრეტელმა მოულოდნელად თითქოს ტკივილიც კი იგრძნო.

მესერს მიღმა ბალახი არ იყო; საერთოდაც, სიმწვანის ნასახიც კი არსად ჩანდა. ქვიშისმაგვარი ნიადაგი, სადამდეც მზერა მიაწვდინა, მხოლოდ დაბალი ქოხმახებითა და ფართო ოთხკუთხედი შენობებით მოფენილიყო, მოშორებით ორი-სამი მაღალი საკვამური მოჩანდა. გრეტელმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მერე მიხვდა, გაოცებას ვერანაირი სიტყვებით გამოხატავდა, ამიტომ ისღა დარჩენოდა, ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გონივრული გამოსავალი მოენახა — პირი დახურა.

— ხედავ? — გამოსძახა ბრუნომ ოთახის კუთხიდან. სიამოვნებდა, რომ რაც უნდა ყოფილიყო გარეთ და ვინც უნდა ყოფილიყვნენ ისინი, პირველმა მან აღმოაჩინა, თანაც შეეძლო, ნებისმიერ დროს დაენახა, როცა მოესურვებოდა, ეს ხალხი ხომ მისი საწოლი ოთახის ფანჯრიდან ჩანდა და არა გრეტელის, ამიტომ ბრუნოს ეკუთვნოდა — ის იყო იმ ყოველივეს მეფე, რასაც აღმოაჩენ-

დნენ, გრეტელი კი მისი ქვეშევრდომი და მასზე დაბლა მდგომი გამოდიოდა.

— არ მესმის, — თქვა გრეტელმა, — ვის უნდა აეშენებინა ასეთი საზიზღარი შენობები?

— ჰო, მართლაც საზიზღარი შესახედაობა აქვთ, — დაეთანხმა ბრუნო, — მგონი, ეს ქოხმახები მხოლოდ ერთსართულიანებია, შეხედე, როგორი დაბლებია.

— იქნებ თანამედროვე ტიპის სახლებია? მამა ვერ იტანს თანამედროვე რაღაცებს.

— მაშინ, წესით არ უნდა მოეწონოს ეს სახლები.

— არც მოეწონება, — უპასუხა გრეტელმა. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უჩუმრად იდგა და იქაურობას შესცქეროდა. უკვე თორმეტი წლისა კლასში ყველაზე ბრწყინვალე გონების პატრონად ითვლებოდა, ამიტომ ტუჩები მაგრად მოკუმა, თვალები მოჭუტა და გონება დაძაბა, რათა მიმხვდარიყო, რას უყურებდა. საბოლოოდ ერთადერთი პასუხი მოიფიქრა.

— მგონი, ეს სოფელი უნდა იყოს, — თქვა და შებრუნდა, რომ ბრუნოსთვის საზეიმოდ შეეხედა.

— სოფელი?

— ჰო, ნუთუ ვერ ხვდები?! სხვა რით უნდა ავხსნათ. როცა ბერლინში, სახლში ვიყავით, ის ქალაქი იყო. ამიტომ იქ იმდენი ხალხი და იმდენი სახლი იყო, რომ სკოლები ბავშვებს ვერ იტევდა და შაბათ შუადღეს ქალაქის ცენტრში ისე ვერ გაივლიდი, ადამიანების ნაკადს არ გაეტაცებინე.

— ჰო, — თავი დაუქნია ბრუნომ, თან ცდილობდა, ნათქვამის აზრი გაეგო.

— სკოლაში, გეოგრაფიის გაკვეთილზე ვისწავლეთ, რომ სოფლები აქაურობის მსგავსი უზარმაზარი მიდამოებია, სადაც ფერმერებს ჰყავთ ცხოველები, რომელთა საშუალებითაც მოჰყავთ მთელი საკვები. იქ ხალხი ცხოვრობს და მუშაობს; და გვიგზავნის

პროდუქტს, ჩვენ რომ ვჭამთ, — გრეტელმა ისევ გახედა ფანჯრიდან თვალწინ გადაშლილ უზარმაზარ არემარეს და ერთმანეთისგან დაშორებულ ქოხებს, — ეს სწორედ ის უნდა იყოს — სოფელი. იქნებ, აქ ჩვენი საარდადეგებო სახლია? — დაამატა იმედიანად.

ბრუნო დაფიქრდა და თავი გაიქნია.

— არა მგონია, ეგრე იყოს, — თქვა მან ღრმა რწმენით.

— შენ მხოლოდ ცხრა წლის ხარ, — შეეკამათა გრეტელი, — საიდან უნდა იცოდე? როცა ჩემხელა გაიზრდები, უკეთ გაიგებ ასეთ რამეებს.

— შეიძლება მართალიც ხარ, — ბრუნო სულაც არ ეთანხმებოდა დის აზრს, რომ რადგან უმცროსი იყო, ნაკლებად შეიძლებოდა, მართალი აღმოჩენილიყო, — მაგრამ თუკი ეს სოფელია, როგორც შენ ამბობ, მაშინ ცხოველები სად არიან?

გრეტელმა საპასუხოდ პირი დააღო, მაგრამ შესაფერისი არგუმენტი ვერ მოიფიქრა, ამიტომ ისევ ფანჯარაში გაიხედა და დაჟინებით მიმოიხედა. ამაოდ — ცხოველები არსად ჩანდნენ.

— ეს რომ ფერმა იყოს ძროხები, ღორები, ცხვრები და ცხენები უნდა ჰყავდეთ. რომ აღარაფერი ვთქვათ წიწილებსა და იხვებზე.

— მაგრამ არ ჰყავთ, — წყნარად შენიშნა გრეტელმა.

— და აქ რომ პროდუქტები მოჰყავდეთ, როგორც ივარაუდე, — აგრძელებდა საკუთარი მიხვედრილობით გაამაყებული ბრუნო, — მიწას ცოტა უკეთესი შესახედაობა ექნებოდა. არა მგონია, ამ მტვერში რამის მოყვანა შეიძლებოდეს.

გრეტელმა ისევ გაიხედა და ბრუნოს თავი დაუქნია. სულელი კი არ იყო, ყოველთვის დაეჟინებინა, მართალი ვარო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც არგუმენტები მის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა.

— მაშინ, ალბათ, ფერმა არ არის, — თქვა მან.

— არ არის, — დაეთანხმა ბრუნო.

— რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სოფელიც ვერ იქნება, — აგრძელებდა გრეტელი.

— ჰო, არ უნდა იყოს, — უპასუხა ბრუნომ.

— ესე იგი, ეს ჩვენი არდადეგების სახლი არ გამოდის, — დაასკვნა მან.

— მეც ასე მგონია.

ბრუნო საწოლზე ჩამოჯდა და წუთით ინატრა, გრეტელი გვერდით მისჯდომოდა, ხელი გადაეხვია და დაემშვიდებინა, ყველაფერი კარგად იქნება, მალე აქ მოგვეწონება და ბერლინში დაბრუნება აღარც კი მოგვინდებაო. მაგრამ გრეტელი ისევ ფანჯრიდან იხედებოდა. ამჯერად არც ყვავილებს უყურებდა, არც ქვაფენილს, არც გრძელ, აბრიან სკამს, არც მაღალ მესერს, არც სატელეგრაფო ხის ბოძებს, არც ეკლიანი მავთულის დაგრეხილ დასტებს, არც გაქვავებულ მიწას მათ იქით, არც ქოხმახებს, არც კვადრატულ შენობებს და არც მაღალ საკვამურებს; ის ხალხს აკვირდებოდა.

— ვინ არიან ეს ადამიანები? — ხმადაბლა იკითხა, თითქოს პასუხს ბრუნოსგან კი არა, ვინმე სხვისგან ელოდა, — და რას აკეთებენ აქ?

ბრუნო წამოდგა. პირველად იდგნენ ერთად, მხარდამხარ და გაფაციცებით მისჩერებოდნენ, რა ხდებოდა მათი ახალი სახლიდან არც თუ ისე მოშორებით.

საითაც უნდა გაეხედათ, ყველგან ადამიანებს ხედავდნენ — მაღლებს, დაბლებს, მოხუცებს, ახალგაზრდებს — ყველანი მოძრაობდნენ. ზოგი მათგანი წყნარად იდგა რიგში, ჩამოშვებული ხელებით და ცდილობდა, თავაწეული მდგარიყო მწკრივის წინ მარშით მოსიარულე ჯარისკაცის წინაშე, რომელიც პირს სწრაფად აღებდა და ხურავდა, თითქოს რაღაცას უყვიროდა მათ. ზოგიერთებს ცოცხალი ჯაჭვი წარმოექმნათ და ბანაკის ერთი მხრიდან მეორისკენ ურიკებს მიაგორებდნენ; ისინი თვალს მოფარე-

ბული ადგილიდან ჩნდებოდნენ და შორს, ერთ-ერთი ქოხისკენ მიიწევდნენ, სადაც ისევ უჩინარდებოდნენ. რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი მცირე ჯგუფები ჩუმად იდგნენ ქოხმახებთან და მიწას დასცქეროდნენ, თითქოს რაღაც თამაშში ჩაართულებს არ სურდათ, ვინმეს შეემჩნია. სხვები ყავარჯნებს დაჰყრდნობოდნენ, ბევრ მათგანს კი თავი დოლბანდით შეეხვია. რამდენიმე ადამიანს, რომლებსაც ნიჩბები მოჰქონდათ, ჯარისკაცების გუნდი მიუძღვოდა ისეთი ადგილისკენ, სადაც აღარ ჩანდა, რა ხდებოდა.

ბრუნო და გრეტელი ასობით კაცს ხედავდნენ, მაგრამ მათ თვალწინ იმდენი ქოხმახი იდგა და ბანაკი ისე შორს გადაჭიმულიყო ჰორიზონტზე, რომ, ალბათ, იქ გაცილებით მეტი ადამიანი უნდა ყოფილიყო.

— და ყველანი ისე ახლოს ცხოვრობენ ჩვენთან, — შუბლი შეიჭმუხნა გრეტელმა, — ბერლინში, ჩვენს წყნარ, ლამაზ ქუჩაზე მხოლოდ ექვსი სახლი იდგა. აქ კი უამრავია. რატომ დასთანხმდა მამა სამსახურს ასეთ საზიზღარ ადგილას, ამდენი მეზობლით? ამის აზრს ვერ ვხვდები.

— იქით გაიხედე, — მიუთითა ბრუნომ. გრეტელმა თვალი გააყოლა მის თითს და მოშორებით ქოხებიდან გამომავალი ბავშვების ჯგუფი დაინახა. ისინი, ჯარისკაცების ყვირილისგან შეშინებულები, ერთმანეთისკენ იწეოდნენ. რაც უფრო მეტს უყვიროდნენ ჯარისკაცები, მით უფრო მეტად მჭიდროვდებოდა ჯგუფი. შემდეგ ერთ-ერთი ჯარისკაცი მათკენ გაიქცა.ბავშვების გუნდი დაიშალა და ერთ რიგად დალაგდა, რასაც, როგორც ჩანდა, მოითხოვდნენ მათგან ამდენ ხანს.როგორც კი ისინი გამწკრივდნენ, ჯარისკაცებმა სიცილი და ტაშის კვრა ატეხეს.

— ალბათ, რაღაცის რეპეტიციაა, — გრეტელმა აშკარად თვალი დახუჭა იმაზე, რომ ზოგიერთ ბავშვს, მათ შორის საკმაოდ მოზრდილებსაც, მის ტოლებს, ისეთი სახეები ჰქონდათ, თითქოს ტიროდნენ.

— ხომ გითხარი, აქ ბავშვებიც არიან-მეთქი, — გაახსენა ბრუნომ.

— ისეთი ბავშვები არ ჩანან, რომლებთანაც მე ვითამაშებდი, — მტკიცედ განაცხადა გრეტელმა, — ბინძურები არიან. ჰილდა, იზაბელი და ლუიზა ყოველდღე იბანენ, ისევე როგორც მე. ამ ბავშვებს თითქოს ცხოვრებაში არასოდეს უბანავიათ.

— მართლაც ბინძური ადგილი ჩანს, — დაეთანხმა ბრუნო, — მაგრამ იქნებ სულაც არ იციან ბანაობა?

— სულელი ნუ ხარ, — უთხრა გრეტელმა (მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო უბრაზდებოდნენ, ძმას სულელს ნუ ეძახიო), — რომელმა ადამიანმა არ იცის ბანაობა?

— არ ვიცი, — უპასუხა ბრუნომ, — იქნებ იმ ხალხმა, ვისაც ცხელი წყალი არ აქვს?

გრეტელმა კიდევ რამდენიმე წუთს უყურა, მერე გააჟრჟოლა და შემობრუნდა.

— ჩემს ოთახში უნდა დავბრუნდე და თოჯინები დავალაგო. იქ აშკარად უკეთესი ხედია.

ამ სიტყვებიყთ ოთახიდან გავიდა, დერეფანი გაიარა, თავის საძინებელში დაბრუნდა და ზურგს უკან კარი მოიკეტა, მაგრამ თოჯინების დალაგება არ დაუწყია. ამის მაგივრად ლოგინზე ჩამოჯდა, გონებაში უამრავი რამ უტრიალებდა.

მისი ძმა კი ისევ შესცქეროდა მოშორებით საკუთარი საქმეებით დაკავებულ ასობით ადამიანს, რომლებსაც, ყველას — პატარა და დიდ ბიჭებს, მამებს, ბაბუებს და ბიძებს, მარტოხელებსაც, ვისაც ნათესავები არ გააჩნიათ და ყველას ფეხებში ედებიან — ერთნაირი ნაცრისფერი, ზოლებიანი პიჟამები ეცვათ და თავზეც ასეთივე ნაცრისფერი, ზოლიანი კეპები ეხურათ.

— რა უცნაურია, — ჩაილუღლუღა მან და შემობრუნდა.

შესვლა აკრძალულია ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე

გამოსავალი ერთადერთი ჩანდა — მამას უნდა დალაპარაკებოდა.

მამა მათთან ერთად არ წამოსულა მანქანით ბერლინიდან. ის რამდენიმე დღით ადრე გამოემგზავრა, იმ საღამოს, როცა ბრუნო სახლში მივიდა და აღმოაჩინა, როგორ ალაგებდა მარია ყუთში მის ნივთებს, მათ შორის გარდერობის უკან გადამალულებსაც, რომლებიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა და სხვებს მათთან არაფერი ესაქმებოდათ. მომდევნო დღეებში დედა, გრეტელი, მარია, მზარეული, ლარსი და ბრუნო მთელ დროს თავ-თავიანთი ნივთების ყუთებში ჩალაგებასა და შემდეგ დიდ სატვირთო მანქანაზე დაწყობაში ატარებდნენ, რომელსაც ისინი „აუვიცში“, მათ ახალ სახლში უნდა წაეღო.

ბოლო დღეს, როდესაც სახლი სრულიად დაცარიელდა და სულაც აღარ ჰგავდა მათ ნამდვილ სახლს; როცა მათი კუთვნილი უკანასკნელი ნივთებიც ჩემოდნებში გადაანაწილეს, ხოლო სახლის წინა მხარეს შავ-წითელ დროშებდამაგრებული სამსახურეობრივი მანქანა გაჩერდა, რომ ახალ ადგილას წაეყვანა, უცნაური ამბავი მოხდა:

დედას, მარიას და ბრუნოს უკანასკნელებს უნდა დაეტოვებინათ სახლი. ბრუნო დაიფიცებდა, რომ დედა ვეღარ აცნობიერებდა, მოახლე ისევ მათთან ერთად თუ იდგა, რადგან როდესაც უკანასკნელად მოავლეს თვალი ცარიელ დერეფანს, რომელშიც ამდენი ბედნიერი დრო გაეტარებინათ, ადგილს, სადაც დეკემბერში საშობაო ნაძვის ხეს დგამდნენ, სადაც ზამთრის თვეებში სადგამზე სველ ქოლგებს ტოვებდნენ, ადგილს, სადაც წესით ბრუნოს შემოსვლისას ტალახიანი ფეხსაცმელი უნდა დაეტოვებინა ხოლ-

მე (მაგრამ ასე არასოდეს იქცეოდა), დედამ თავი გადაიქნია და უჩვეულო სიტყვები წარმოთქვა:

— არ უნდა მიგვეცა უფლება ფიურისთვის, სადილად გვწვეოდა. ოჰ, ეს ზოგიერთები და მათი დაწინაურების სურვილი!

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, შემობრუნდა და ბრუნომ შეამჩნია — დედას თვალებში ცრემლები ედგა; მოულოდნელობისგან შეხტა, როდესაც იქ მდგომი მარია დაინახა. იგი თავის ქალბატონს უყურებდა.

— მარია, — დაიწყო მან შეშინებული ხმით, — მეგონა მანქანაში იყავი.

— ახლა გავდიოდი, ქალბატონო, — უპასუხა მარიამ.

— ეს არ მიგულისხმია... — თავი გადააქნია და შეშინებული ხმით განაგრძო დედამ, — მე არ ვაპირებდი მეთქვა.....

— ახლა გავდიოდი, მადამ, — გაიმეორა მარიამ (როგორც ჩანს, არ იცოდა წესი — დედასთვის ლაპარაკი არ გაეწყვეტინებინა) სწრაფად გააბიჯა კარიდან და მანქანაში შეხტა.

დედა მოიღუშა, შემდეგ კი მხრები აიჩეჩა, თითქოს უკვე ყველაფერი სულ ერთი იყო.

— წამოდი, ბრუნო, — უთხრა მან, ხელი ჩაჰკიდა და ზურგს უკან კარი ჩაკეტა, — მოდი, უბრალოდ იმედი ვიქონიოთ, რომ ოდესმე, როცა ყველაფერი დამთავრდება, აქ დავბრუნდებით.

დროშებიანმა სამსახურეობრივმა მანქანამ ისინი რკინიგზაზე მიიყვანა, სადაც ორ ლიანდაგს ფართო ბაქანი ჰყოფდა, რომლის ორივე მხარეს მატარებლები მგზავრებს უცდიდნენ. ირგვლივ უამრავი ჯარისკაცი მარშირებდა, ლიანდაგებს შორის კი მეისრის მოგრძო ჯიხური იდგა, ამიტომ ბრუნომ მხოლოდ ერთ-ერთ მატარებელთან შეჯგუფული ბრბოს გარჩევა მოახერხა, სანამ ოჯახთან ერთად კომფორტულ ვაგონში ავიდოდა. ვაგონის ცარიელ სავარძლებში სულ რამდენიმე ადამიანი მიმოფანტულიყო, ხოლო ფანჯრების გადმოხსნისას იქაურობა სუფთა ჰაერით ივსებო-

და. მისი აზრით, ეს ყველაფერი საკვირველი სულაც არ იქნებოდა, ამ ორ მატარებელს სხვადასხვა გეზი რომ ჰქონოდა, მაგრამ არა — ორივე აღმოსავლეთისკენ მიემგზავრებოდა. თავიდან ბიჭმა ისიც კი დააპირა, ბაქანი მოერბინა და ხალხისთვის ეთქვა, რამდენი ცარიელი ადგილი იყო მათ ვაგონში, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან ივარაუდა, ამ საქციელს დედა რომც არ გაებრაზებინა, გრეტელს მაინც გააცოფებდა, რაც ბევრად უარესი იქნებოდა.

„აუვიცის“ ახალ სახლში ჩასვლის დღიდან ბრუნოს მამა აღარ ენახა. ცოტა ხნის წინ, როცა დერეფანში კარმა გაიჭრიალა, იფიქრა, ალბათ, მამა თავის საძინებელშიაო, მაგრამ ეს არაკეთილგანწყობილი ახალგაზრდა სამხედრო აღმოჩნდა, რომელიც ბრუნოს გაყინული მზერით უყურებდა. აღარსაიდან ისმოდა მამის მგრგვინავი ხმა და არც მისი ჩექმების მძიმე ჭრაჭუნი გაუგონია ხის საფეხურებზე. მაგრამ უდავოდ ბევრი ადამიანი მოდიოდა და მიდიოდა; სანამ ბრუნო მსჯელობდა, როგორ აჯობებდა მოქცეულიყო, ქვედა სართულიდან უჩვეულო ხმაური მოესმა და მოაჯირიდან გადასახედად დერეფანში გავიდა.

შეამჩნია, რომ ქვემოთ მამის კაბინეტის კარი ღია იყო და მის წინ ხუთი ადამიანი შეჯგუფებულიყო. ისინი იცინოდნენ და ერთმანეთს ხელს ართმევდნენ. მათ შუაგულში მდგომ მამას ძალიან უხდებოდა ახლად გაუთოებული უნიფორმა. მუქი, სქელი თმა აშკარად ახლახან გაელაქა და დაევარცხნა. ზემოდან მაცქერალი ბრუნო მის მიმართ ერთდროულად შიშს და სიამაყეს განიცდიდა. სხვების გარეგნობამ ნაკლებად მოხიბლა - მამასავით წარმოსადეგები ნამდვილად არ იყვნენ. მათი უნიფორმები ახალგაუთოებულს არ ჰგავდა, არც მამასავით ომახიანი ხმები ჰქონდათ და არც ჩექმებიუპრიალებდათ მასავით. ცალ ხელში ყველას კეპი ეჭირა და, როგორც ჩანდა, ერთმანეთს ეცილებოდნენ მამას ყურადღების მიპყრობაში. ბრუნომ მხოლოდ მის ყურამდე მიღწეული რამდენიმე ფრაზის გარჩევა შეძლო.

„...აქ ჩამოსვლის პირველივე წუთებიდანშეცდომებს უშვებდა. ბოლოს ფიურის არჩევანიც აღარ დარჩა, იმის გარდა, რომ...“

„...დისციპლინა! — ჩაერთო მეორე, — და უნარიანობა/მოხერხებულობა. ორმოცდაორის დასაწყისიდან უნარიანობა გვაკლია, მის გარეშე კი...“

„...მონაცემები ნათლად მეტყველებენ მდგომარეობაზე, კომენდანტო“ — არ დააცადა მესამემ.

„...კიდევ ერთი რომ აგვეშენებინა, — თქვა უკანასკნელმა, — წარმოიდგინეთ, რამდენს შევძლებდით! უბრალოდ წარმოიდგინეთ!“

მამამ ხელი აღმართა და მაშინვე ყველა გაჩუმდა. გეგონებოდათ, მოყვარულთა კვარტეტის დირიჟორი იყო.

— ბატონებო, — წარმოთქვა მან. ამჯერად ბრუნო თითოეულ სიტყვას არჩევდა, რადგან ქვეყნად არ დაბადებულა კაცი, რომელსაც ბრუნოს მამაზე უკეთესად შეეძლო ნათქვამის ოთახის ერთი ბოლოდან მეორემდე მიწვდენა, — თქვენი შემოთავაზებები და მხარდაჭერა დიდად დასაფასებელია. წარსული კი წარსულში დარჩა. ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ, მაგრამ მოდით, ხვალიდან დავიწყოთ. ახლა, უმჯობესია, ოჯახს დავეხმარო მოწყობაში, თორემ იმდენივე საზრუნავი მექნება, რამდენიც მათ, გარეთ. ხომ გესმით ჩემი?

კაცებმა გადაიხარხარეს და მამას ხელი ჩამოართვეს. წასვლამდე ყველანი სათამაშო ჯარისკაცებივით ერთ რიგად გამწკრივდნენ და ხელები წინ გამოისროლეს, სწორედ ისე, როგორც მამამ ასწავლა ბრუნოს — სწორი და გაჭიმული ხელისგულები მკვეთრი მოძრაობით აიჭრა ჰაერში და სწორედ მათი სახის წინ გაჩერდა, იმ ორ სიტყვასთან ერთად, რომელიც, როგორც ბრუნოს ასწავლეს, ყველასთვის უნდა ეპასუხა, ვინც ამ სიტყვებით მიმართავდა მას. შემდეგ კაცები წავიდნენ, მამა კი შებრუნდა კაბი-

ნეტში, რომელში შესვლაც ბიჭს ეკრძალებოდა ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე.

ბრუნომ ნელა ჩაიარა საფეხურები და კაბინეტის კართან შეყოყმანდა. გული სწყდებოდა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მამა ზემოთ არ ამოვიდა და არ მიესალმა, თუმცა იმასაც ხვდებოდა, რამდენი საქმე ჰქონდა მას და არ ეცალა, წამდაუწუმ შეეწყვიტა მუშაობა ისეთი სულელური საკითხების გამო, როგორიცაა, მაგალითად, გამარჯობის თქმა. მაგრამ ახლა ჯარისკაცები წავიდნენ და ბრუნომ გადაწყვიტა, არაფერი დაშავდება, თუ მივუკაკუნებო.

ბერლინში ცხოვრებისას მამის კაბინეტში ორიოდეჯერ თუ ყოფილა, ისიც მაშინ, როდესაც რამეს დააშავებდა და სერიოზულად უნდა დალაპარაკებოდნენ. ასე იყო თუ ისე, კაბინეტთან დაკავშირებული აკრძალვა ერთ-ერთი უპირველესი იყო ბრუნოს მიერ დასწავლილ წესებს შორის და ბიჭი ისეთი სულელი სულაც არ გახლდათ, რომ ეფიქრა, ის აქ, აუვიცში აღარ მოქმედებსო. მაგრამ მაინც, რადგან ერთმანეთი უკვე რამდენიმე დღე აღარ ენახათ, იფიქრა, დაკაკუნების წინააღმდეგი არავინ იქნებოდა.

ასე რომ, კარზე დააკაკუნა. ორჯერ და ფრთხილად.

შეიძლება, მამამ ვერ გაიგო, ან ბრუნომ დააკაკუნა ძალიან ხმადაბლა, რადგან კარი არავინ გააღო, ამიტომ ბიჭმა ისევ დაკაკუნა, ამჯერად უფრო ხმამაღლა და შეედეგად მოესმა, როგორ გამოსძახეს შიგნიდან: — შემოდით!

ბრუნომ სახელური ჩამოსწია და ოთახში შეაბიჯა თუ არა, ჩვეულ პოზაში გახევდა — თვალებდაჭყეტილი, პირდაღებული და ხელებგაშლილი. სახლის დანარჩენი ნაწილი, შესაძლოა, ბევრად ბნელი, პირქუში და აღმოჩენებისათვის სრულიად უინტერესოც იყო, მაგრამ ეს ოთახი სრულიად განსხვავდებოდა მათგან. უპირველეს ყოვლისა, კაბინეტს ძალიან მაღალი ჭერი ჰქონდა, ფეხქვეშ კი ისეთი რბილი ხალიჩა გაეშალათ, ბრუნოს ეგონა, ჩავიძი-

რებიო. კედლები თითქმის მთლიანად დაეფარა მუქი წითელი ხის თაროებს, მათზე კი სწორედ ისეთი წიგნები გამწკრივებულიყო, როგორებიც ბერლინში ჰქონდათ. ბრუნოს პირდაპირ კედლებს უზარმაზარი ფანჯრები ამშვენებდა, რომლებიც ბაღს გადაჰყურებდა, მათ შორის კი მოხერხებული სკამი იდგა. ოთახის შუაგულში, მუხის მასიურ საწერ მაგიდასთან იჯდა მამა, რომელმაც შვილს ოთახში შესვლისას საბუთებიდან ამოხედა და ფართოდ გაუღიმა.

— ბრუნო, — თქვა მან, წამოდგა, მაგიდას შემოუარა და ხელი მტკიცედ ჩამოართვა. მამა იმ ტიპის კაცებს არ განეკუთვნებოდა, ვინმეს რომ ეხუტებიან ხოლმე, დედასა და ბებიასგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად იკრავდნენ გულში და დამატებით (ბრუნოს აზრით) დორბლიან კოცნებსაც აყრიდნენ. წუთის შემდეგ კი დაამატა: — ჩემო ბიჭო.

— გამარჯობა, მამა, — წყნარად წარმოთქვა ოთახის დიდებული იერის გამო, ცოტა არ იყოს, კრძალვით აღვსილმა ბრუნომ.

— ბრუნო, რამდენიმე წუთში ვაპირებდი შენს სანახავად ამოსვლას. გეფიცები, მართლა ვაპირებდი, — უთხრა მამამ, — ოღონდ ჯერ შეხვედრა უნდა დამემთავრებინა და წერილი დამეწერა. ხომ მშვიდობიანად ჩამოხვედით?

— დიახ, მამა, — უპასუხა ბრუნომ.

— დედას და დას ეხმარებოდი ნივთების ჩალაგებაში?

— დიახ, მამა.

— მაშინ, ვამაყობ შენით, — მოუწონა მამამ, — დაჯექი, შვილო.

მან საწერი მაგიდის პირდაპირ მდგარ ფართო სავარძელზე მიუთითა, რომელზეც ბიჭი აძვრა და შედეგად იატაკს ფეხებს თითქმის ვეღარ აწვდენდა.მამა მაგიდასთან თავის ადგილს დაუბრუნდა და ბრუნოს დააკვირდა. წუთით ორივე უხმოდ შესცქეროდა ერთმანეთს, ბოლოს სიჩუმე მამამ დაარღვია.

— აბა? — თქვა მან, — რას ფიქრობ?

— რას ვფიქრობ? — იკითხაბრუნომ, — რის შესახებ რას ვფიქრობ?

— ჩვენს ახალ სახლზე. მოგწონს?

— არა, — სწრაფად უპასუხა ბრუნომ, რადგან, როგორც ყოველთვის, ცდილობდა, გულწრფელი ყოფილიყო და ახლა გრძნობდა, თუკი ოდნავ მაინც შეყოყმანდებოდა, გამბედაობა აღარ ეყოფოდა იმის სათქმელად, რასაც ფიქრობდა, — ჩემი აზრით, სახლში უნდა დავბრუნდეთ, — დაამატა გაბედულად.

მამას ღიმილი ოდნავ გაუფერმკრთალდა; მან წერილს დახედა და ცოტა ხანს შეიცადა, სანამ ისევ ამოხედავდა, თითქოს პასუხს ფრთხილად არჩევდა.

— ჩვენ უკვე სახლში ვართ, ბრუნო, — ალერსიანად თქვა მან ბოლოს, — აუვიცი ჩვენი ახალი სახლია.

— მაგრამ, როდის დავბრუნდებით ბერლინში? — იკითხა ბრუნომ. მამის პასუხმა გული ჩასწყვიტა, — იქ ბევრად უკეთესია.

— აბა, აბა, — მამას აშკარად არ სურდა ამ თემის გაგრძელება, — მოდი, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. სახლი შენობა, ქუჩა ან ქალაქი არ არის, არც აგურისა და დუღაბისგან ხელოვნურად შექმნილი საცხოვრებელი. სახლი ის ადგილია, სადაც შენი ოჯახია, ხომ მართალი ვარ?

— დიახ, მაგრამ.....

— ჩვენი ოჯახი კი აქ არის, ბრუნო. აუვიცში. შესაბამისად, ეს უნდა იყოს ჩვენი სახლი.

ბრუნომ არ იცოდა, რას ნიშნავდა „შესაბამისად“, მაგრამ არც სჭირდებოდა, რადგან მამისთვის საპასუხოდ ჭკვიანური საბუთი ჰქონდა მოფიქრებული.

— ბებია და ბაბუა ხომ ბერლინში დარჩნენ? ისინი კი ჩვენი ოჯახის წევრები არიან, ამიტომ ეს ვერ იქნება ჩვენი სახლი.

მამამ მოუსმინა და თავი დაუქნია. ამჯერად დიდი ხანი დაიცადა, სანამ უპასუხებდა.

— ჰო, ბრუნო, ისინიც ჩვენი ოჯახის წევრები არიან. მაგრამ შენ, მე, დედა და გრეტელი ვართ ყველაზე მნიშვნელოვანი ხალხი ჩვენს ოჯახში და ახლა აქ ვცხოვრობთ, აუვიცში. და ნუ განიცდი ასე ძალიან (ბრუნოს მართლაც უბედური გამომეტყველება ჰქონდა). ჯერ ხომ არც კი გიცდია, იქნებ მოგეწონოს აქაურობა.

— არ მომწონს აქ, — დაჟინებით იმეორებდა ბრუნო.

— ბრუნო, — მამას ხმაში დაღლა გაისმა.

— აქ არ არის კარლი, არ არის დანიელი, არ არის მარტინი და ირგვლივ არაა სხვა სახლები; არც ხილისა და ბოსტნეულის დახლებია, არც ქუჩები და კაფეები გარეთ გამოდგმული მაგიდებით; და არავინაა, რომ შაბათ შუადღეს ხალხის ნაკადმა ქუჩის ერთი ბოლოდან მეორემდე გაგიტაცოს.

— ბრუნო, ცხოვრებაში ზოგჯერ არსებობს რაღაცეები, რისი კეთებაც გვიწევს, რადგან არჩევანი არ გვაქვს, — უთხრა მამამ და ბრუნოს შეეძლო დაეფიცებინა, რომ მამას ნელ-ნელა თავს აბეზრებდა ეს დიალოგი, — სამწუხაროდ, ახლა სწორედ ასეთი შემთხვევაა. ეს ჩემი სამუშაოა, მნიშვნელოვანი საქმე. ჩვენი ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ფიურისთვის. ოდესმე მიხვდები ამას.

— სახლში მინდა წასვლა, — თქვა ბრუნომ. გრძნობდა, როგორ ევსებოდა თვალები ცრემლებით და არაფერი სურდა იმაზე მეტად, რომ მამა მიმხვდარიყო, სინამდვილეში რა საშინელი ადგილი იყო აუვიცი და დასთანხმებოდა, ჩვენი წასვლის დროაო.

— უნდა გააცნობიერო, რომ უკვე სახლში ხარ, — იმედი გაუცრუა მამამ, — ასე იქნება უახლოეს მომავალში.

ბრუნომ ცოტა ხნით თვალები დახუჭა. არც ისე ბევრჯერ მომხდარა მის ცხოვრებაში, რომ ასე დაეჟინებინა საკუთარი სურვილის ასრულება. ნამდვილად არასოდეს უცდია გადაერწმუნებუნა მამა, მაგრამ აქ დარჩენის იდეაც კი, აზრი, რომ უნდა ეცხოვრა ისეთ საშინელ ადგილას, სადაც არავინ იყო, ვისთანაც შეეძლო

ეთამაშა, აუტანელი ეჩვენებოდა. ერთი წუთის შემდეგ, როცა თვალები გაახილა, მამამ საწერ მაგიდას შემოუარა და სავარ-ძელში მის გვერდით ჩამოჯდა. ბრუნო უყურებდა, როგორ გახსნა მან ვერცხლის პორტსიგარი, სიგარეტი ამოიღო და ანთებამდე მაგიდაზე დააკაკუნა.

— მახსოვს, როცა პატარა ვიყავი, — დაიწყო მამამ, — მეც არ მინდოდა ზოგიერთი რამის კეთება, მაგრამ როდესაც მამა მიხ-სნიდა, რომ ყველასთვის აჯობებდა, თუ მე მათ გავაკეთებდი, მთელი ძალით ვცდილობდი მისი თხოვნის შესრულებას.

— როგორი რამეები იყო? — დაინტერესდა ბრუნო.

— ო, აღარც კი მახსოვს, — მხრები აიჩეჩა მამამ, — მთავარი ეგ ხომ არაა. მე უბრალოდ ბავშვი ვიყავი და არ ვიცოდი, რა ჯობდა. მაგალითად, ზოგჯერ არ მინდოდა სახლში დავრჩენილიყავი და საშინაო დავალება შემესრულებინა. მინდოდა გარეთ, ქუჩაში ვყოფილიყავი და მეგობრებთან მეთამაშა, შენსავით, მაგრამ ახ-ლა რომ მახსენდება, ვხვდები, რა სულელი ვიყავი მაშინ.

— ესე იგი იცი, რასაც ვგრძნობ? — იმედიანად ჰკითხა ბრუნომ.

— დიახ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მამაჩემმა, ბაბუაშენმა, იცოდა, რა სჯობდა ჩემთვის და როცა ვუჯერებდი, ყოველთვის უფრო ბედ-ნიერი ვიყავი. როგორ გგონია, ამხელა წარმატებას მივაღწევდი, რომ არ მესწავლა, როდის მეკამათა და როდის დამეხურა პირი და დავმორჩილებოდი ბრძანებას? ჰა,ბრუნო?

ბრუნომ მიმოიხედა. მისი მზერა ოთახის კუთხეში, ფანჯარაზე შეჩერდა, რომლიდანაც სახლის მიღმა გადაჭიმული საშინელი ხედი ჩანდა.

— რამე დააშავე? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ, — რამაც ფიური გააბრაზა?

— მე? — გაოცებით შეხედა მამამ, — რას გულისხმობ?

— იქნებ ცუდად მოიქეცი სამსახურში? ვიცი, რომ ყველა ამ-ბობს, მნიშვნელოვანი ადამიანია და ფიურის მასთან დაკავშირე-

ბით დიდი გეგმები აქვსო, მაგრამ ასეთ ადგილას ხომ არ გამოგაგზავნიდა, ისეთი რამე რომ არ ჩაგედინა, რის გამოც შენი დასჯა ენდომებოდა.

მამას გაეცინა და ამან ბრუნოს კიდევ უფრო ატკინა გული; არაფერი აბრაზებდა ისე, როგორც უფროსების დაცინვა რაღაცის არცოდნის გამო. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცდილობდა, კითხვების დასმით პასუხისათვის მიეგნო.

— შენ ვერ ხვდები ჩემი თანამდებობის მნიშვნელობას.

— არა მგონია, ძალიან კარგად მუშაობდე სამსახურში, თუკი მშვენიერი სახლიდან უნდა წამოვიდეთ, დავტოვოთ მეგობრები და ასეთ საშინელ ადგილას გადმოვიდეთ საცხოვრებლად. მგონია, რაღაც დააშავე, ამიტომ უნდა წახვიდე და ფიურის მოუბოდიშო, რომ ეს ყველაფერი დასრულდეს. იქნებ გაპატიოს, თუ გულწრფელად აღიარებ შენს შეცდომას.

ეს ყველაფერი მანამ წამოსცდა, სანამ დაუფიქრდებოდა, გონივრული იყო თუ არა მისი ნათქვამი; სიტყვები უკვე ჰაერში დაცურავდნენ, როცა მოესმა და სულაც არ ჰგავდნენ იმ სახის სიტყვებს, როგორებიც შეიძლებოდა მამისთვის ეთქვა, მაგრამ რაღას იზამდა — უკან ვეღარ დაიბრუნებდა. ბრუნომ ნერვიულად გადაყლაპა ნერწყვი და რამდენიმეწუთიანი დუმილის შემდეგ მამას შეხედა, რომელიც გაქვავებული სახით უყურებდა. ბიჭმა ტუჩები მოილოკა და მზერა აარიდა. არ ღირდა ახლა მამისთვის თვალის გასწორება.

რამდენიმე მდუმარე და უხერხული წუთის შემდეგ მამა ადგა სავარძლიდან, რომელზეც მის გვერდით იჯდა და საწერ მაგიდას დაუბრუნდა. სიგარეტი საფერფლეზე დატოვა.

— საინტერესოა, ძალიან მამაცი ხარ, — დაიწყო ხმადაბლა, თითქოს გონებაში რაღაც საკითხს განიხილავდა, — თუ, უბრალოდ, უპატივცემულო? იქნებ, ეს არც ისე ცუდია....

— მე არ მინდოდა...

— ახლა დაწყნარდი და მომისმინე, — ხმის აწევით შეაწყვეტინა მამამ უ(მასზე ხომ ოჯახში დამკვიდრებული არც ერთი წესი არ ვრცელდებოდა), — ვცდილობდი, შენს გრძნობებს გავფრთხილებოდი, ბრუნო, რადგან ვიცი, რომ ეს გადმოსვლა შენთვის იოლი არ არის. მოვისმინე, რისი თქმაც გინდოდა, თუმცა ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო ყველაფერი უტიფარი ფრაზებით გამოხატე. ალბათ, შეამჩნევდი, რომ ამის გამო არ დამისჯიხარ. მაგრამ დადგა დრო, როცა უბრალოდ მოგიწევს, შეეგუო...

— არ მინდა ამას შევეგუო, — დაიყვირა ბრუნომ და გაკვირვებულმა თვალები აახამხამა, თვითონაც არ იცოდა, ყვირილს თუ აპირებდა (ეს ხმა რომ აღმოხდა, გაოცებული დარჩა). ოდნავ დაიძაბა და მოემზადა, თუ საჭირო გახდებოდა, გაქცეულიყო. მაგრამ, როგორც ჩანდა, დღეს მამას არაფერი აბრაზებდა — და თუ გულწრფელად აღიარებდა, უნდა აღენიშნა, რომ მამა საერთოდ იშვიათად უბრაზდებოდა; ის ჩუმდებოდა და თავს შორს დაიჭერდა ხოლმე, საბოლოოდ კი თავისას მაინც აღწევდა. ახლაც, იმის ნაცვლად, რომ მისთვის ეყვირა ან სახლის გარშემო ედევნა, მან უბრალოდ თავი გაიქნია და ანიშნა, კამათი დასრულებულიაო.

— შენს ოთახში წადი, ბრუნო, — ისე ხმადაბლა უთხრა მან, რომ ბრუნო მიხვდა, გაპროტესტებას აზრი არ ჰქონდა, უნდა დამორჩილებოდა. გაღიზიანებული ბიჭი თვალებაცრემლებული წამოდგა და კარისკენ გაემართა, მაგრამ გაღებამდე ბოლო კითხვის დასასმელად შემობრუნდა:

— მამა?

— ბრუნო, აღარ ვაპირებ..... — გაღიზიანდა ის.

— სხვა რამის შესახებ, — სწრაფად დაამატა ბრუნომ, — მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს.

მამამ ამოიოხრა, მაგრამ ანიშნა, კითხვა დაესვა, შემდეგ კი საუბარი ყოველგვარი კამათის გარეშე დასრულდებოდა.

ბრუნო შეკითხვის ფორმაზე დაფიქრდა. უნდოდა, ამჯერად მაინც სწორად ჩამოეყალიბებინა, რომ შემთხვევით ისევ უხეში და უტაქტო არ გამოსვლოდა.

— ვინ არიან ის ადამიანები, გარეთ?

მამამ თავი მარცხნივ გადახარა და ისე შეხედა, ჩანდა, ცოტათი კითხვამ დააბნია.

— ჯარისკაცები, ბრუნო, — თქვა მან, — და მდივნები. მომსახურე პერსონალი. ეგენი ხომ ადრეც გინახავს.

— არა, ეგენი არა. ის ხალხი, რომლებიც ჩემი ფანჯრიდან ჩანან. მოშორებით, ქოხმახებში. ყველას ერთნაირად რომ აცვია.

— აჰ, ის ხალხი? — მამამ თავი დაიქნია და მსუბუქად გაიღიმა, — ის ხალხი..... ისინი სულაც არ არიან ხალხი, ბრუნო.

ბრუნო მოიღუშა, ვერ მიხვდა, რა იგულისხმა მამამ: — არ არიან?

— ყოველ შემთხვევაში, იმ გაგებით, როგორითაც ჩვენ ვგულისხმობთ, — გააგრძელა მამამ, — მაგრამ ახლა მათზე ნუ ფიქრობ. მათ შენთან არაფერი ესაქმებათ. არც შენ გექნება მათთან რაიმე საერთო. უბრალოდ, მოეწყვე ახალ სახლში და კარგად მოიქეცი, მხოლოდ ამას გთხოვ. შეეგუემდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდი და ყველაფერი ბევრად იოლად მოგეჩვენება.

— დიახ, მამა, — ბედს შეურიგდა პასუხით უკმაყოფილო ბრუნო.

მან კარი გააღო, მაგრამ მამამ წუთით უკან მოაბრუნა. ის იდგა და ცალწარბაწეული ელოდა რაღააცას, რაც ბიჭს გადაავიწყდა. ბრუნო მიხვდა და მამის ნიშანზე დაზუთხული ფრაზა წარმოთქვა, თან ზუსტად შეეასრულა სათანადო მოძრაობა.

მან ორივე ფეხი ერთად შეატყუპა და ქუსლებით ერთიმეორეზე მიკაკუნებამდე მარჯვენა ხელი ჰაერში გაისროლა, თან, რაც შეიძლებოდა მკაფიოდ — შეძლებისდაგვარად ისე, როგორც მამას სჩვეოდა — წარმოთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვები, ჯა-

რისკაცების თანდასწრებით ყოველთვის სავალდებულო რომ იყო:

— ჰაილ ჰიტლერ! — რაც, მისი ვარაუდით, ბოლო ხანებში ნიშნავდა — „აბა, დროებით გემშვიდობებით, სასიამოვნო შუადღეს გისურვებთ“.

ძვირად ღირებული მოახლე

რამდენიმე დღის შემდეგ ბრუნო თავის საძინებელში საწოლზე იწვა და ჭერს შეჰყურებდა. თეთრი ბათქაში დაბზარულიყო და უსიამოვნოდ იფშხვნებოდა, ბერლინის სახლისგან განსხვავებით, სადაც ყოველ ზაფხულს დედას მოწვეული დეკორატორები ჭერს აშალაშინებდნენ და ახალ ფენას ამატებდნენ. ამ უხალისო შუადღეს კი ის იწვა და ობობის ქსელივით გაშლილ ბზარებს თვალებმოჭუტული აკვირდებოდა, ცდილობდა მიმხვდარიყო, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მათ უკან. მისი წარმოდგენით, ბათქაშსა და ჭერს შორის დარჩენილ ღრიჭოებში ცხოვრობდნენ მწერები, რომლებიც ამ ნაპრალებს აწვებოდნენ და უფრო მეტად ბზარავდნენ, ცდილობდნენ გამოენგრიათ, რათაა შემდეგ მასში გამომძვრალები ფანჯრიდან გაქცეულიყვნენ. „არავის მოსწონს აუვიცში ცხოვრება, მწერებსაც კი“, ფიქრობდა ბრუნო.

— აქ ყველაფერი საზარელია, — ხმამაღლა წარმოთქვა მან. მიუხედავად იმისა, რომ ახლომახლო არავინ იყო, ვინც მის ხმას გაიგებდა, ამ სიტყვების ხმამაღლა თქმამ რატომღაც უკეთესად გახადა, — მძულს ეს სახლი, მძულს ჩემი ოთახი და სამშენებლო ლაქიც კი მძულს. ყველაფერი მძულს. აბსოლუტურად ყველაფერი.

როგორც კი სათქმელი დაამთავრა, კარში მარია გამოჩნდა ერთი იღლია გარეცხილი, გამშრალი და გაუთოებული ტანსაცმლით. ლოგინზე წამოწოლილი ბიჭის დანახვაზე ცოტა ხანს შეყოყმანდა, მაგრამ შემდეგ თავი დახარა და ჩუმი ნაბიჯით გაემართა გარდერობისკენ.

— გამარჯობა, — მიესალმა ბრუნო. მართალია, მოახლესთან ლაპარაკს მეგობრებთან საუბარი ერჩივნა, მაგრამ გარშემო ხმის გამცემი არავინ იყო, საკუთარ თავთან დიალოგს კი მარიას-

თან გამოლაპარაკება სჯობდა. გრეტელი ვერსად აღმოაჩინა და უკვე ნერვიულობდა კიდეც, მოწყენილობისგან გავგიჟდებიო.

— მასტერ ბრუნო, — წყნარად უპასუხა მარიამ, ის მის ჟილეტებს, შარვლებსა და ქვედა საცვლებს ერთმანეთისგან აცალკევებდა, სხვადასხვა უჯრებსა და თაროებზე ანაწილებდა.

— იმედი მაქვს, შენც ისევე უბედური ხარ ამ ახალი წესრიგის გამო, როგორც მე, — უთხრა ბრუნომ. მარია მისკენ შემობრუნდა და ისეთი გამომეტყველებით შეხედა, ნათელი იყო, ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ბიჭი.

— აქ, — აუხსნა ბრუნომ, ლოგინზე წამოჯდა და მიმოიხედა, — ყველაფერი საშინელია, არა? შენც ხომ გეჯავრება?

მარიამ პირი გააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ისევ სწრაფად დახურა. როგორც ჩანდა, პასუხზე ყოყმანობდა, ფრთხილად არჩევდა სწორ სიტყვებს, ემზადებოდა მათ სათქმელად, შემდეგ ყველას ერთბაშად უარყოფდა. ბრუნო მას თითქმის მთელი ცხოვრება იცნობდა — როცა ქალმა მათთან მუშაობა დაიწყო, სამი წლის იყო; ისინი ყოველთვის კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მარიას აქამდე განსაკუთრებულად არასოდეს გამოუჩენია სიცოცხლის ნიშანწყალი. ის უბრალოდ მუშაობდა — აპრიალებდა ავეჯს, რეცხავდა ტანსაცმელს, დედას ეხმარებოდა საყიდლებსა და სადილების მომზადებაში, ზოგჯერ ბიჭი სკოლაშიც მიჰყავდა და მოჰყავდა, თუმცა ეს უფრო ხშირად ადრე ხდებოდა — სანამ ბრუნო რვა წლის იყო, მაგრამ როგორც კი ცხრა წლისა გახდა, გადაწყვიტა, უკვე დიდი ვარ და თვითონ შემიძლია, გზა გავიგნო სკოლამდე და უკანო.

— ესე იგი, არ მოგწონს აქ? — ჰკითხა ბოლოს მარიამ.

— მომწონს? — ოდნავ ჩაეღიმა ბიჭს, — მომწონს? — გაიმეორა, ამჯერად ხმამაღლა, — რასაკვირველია, არა! ეს საშინელებაა! აქ ვერაფერს გააკეთებ, არავინაა, ვისაც დაელაპარაკები, ვისთანაც ითამაშებ. არ მითხრა, რომ აქ გადმოსვლა გიხარია!

— მე ყოველთვის დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ბაღი, რომელიც ბერლინში გვქონდა, — თითქოს სრულიად სხვა კითხვას უპასუხა მარიამ, — ზოგჯერ, როცა შუადღისას ჩამოთბებოდა, მიყვარდა მზის სხივებით განათებულ ბაღში სუროიანი ხის ქვეშ, აუზის გვერდით ჯდომა და სამხარი. ძალიან ლამაზი ყვავილები გვქონდა, სურნელოვანი. მერე, როგორ დაჰბზუოდნენ ფუტკრები თავს! არასოდეს შეგაწუხებდნენ, თუ ახლოს არ გაეკარებოდი.

— ესე იგი, არც შენ მოგწონს აქ? — ჩააეძია ბრუნო, — ისევე ცუდი გეჩვენება, როგორც მე?

მარია მოიღუშა.

— ამას არ აქვს მნიშვნელობა.

— რას არ აქვს?

— ჩემს აზრს.

— რასაკვირველია, აქვს! — გაღიზიანდა ბრუნო მარიას გაუბედაობით, — შენ ხომ ჩვენი ოჯახის ნაწილი ხარ.

— არა მგონია, მამათქვენიც ასე ფიქრობდეს, — თქვა მარიამ და ბრუნოს სიტყვებით გულაჩუყებულმა თავს უფლება მისცა, გაეღიმა.

— ჰო, შენც ჩემსავით საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ წამოგიყვანეს აქ. მე თუ მკითხავ, ყველანი ერთ ნავში ვართ. გახვრეტილ ნავში.

ბრუნოს წუთით მოეჩვენა, მარია მართლაც აპირებს, საკუთარი ფიქრები გამიმხილოსო. ქალმა მისი დანარჩენი ტანსაცმელი ლოგინზე დააწყო და რააღაცაზე გაბრაზებულივით ხელები მომუშტა. პირი გააღო, მაგრამ მაშინვე გახევდა, თითქოს ეშინოდა იმ ყველაფრის, რასაც იტყოდა, თუ თავსალაპარაკების უფლებას მისცემდა.

— გთხოვ, დამელაპარაკე, მარია, — შეეხვეწა ბრუნო, — თუ ყველა ერთ აზრზე ვარყთ, იქნებ დავარწმუნოთ მამა, სახლშიდაგვაბრუნოს.

მარიამ ცოტახნით თვალი აარიდა და სევდიანად გაიქნია თავი, სანამ კვლავ მოხედავდა.

— მამაშენმა იცის, რა უკეთესია, — თქვა მან, — უნდა გჯეროდეს მისი.

— არა მგონია, შევძლო, — უპასუხა ბრუნომ, — ჩემი აზრით, საშინელ შეცდომას უშვებს.

— თუ ასეა, ყველანი უნდა შევეგუოთ ამ შეცდომას.

— როცა მე ვუშვებ შეცდომას, მსჯიან, — დაიჟინა ბრუნომ. აღიზიანებდა ის, რომ, როგორც ჩანდა, არც ერთი წესი, რომლებსაც ბავშვები ემორჩილებოდნენ, უფროსებს არ ეხებოდათ (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ამ წესების შესრულებას მეთვალყურეობდნენ); — სულელი მამა, — ძლივს გასაგონად დაამატა ბოლოს.

მარიამ თვალები დააჭყიტა და თავზარდაცემისგან პირზე ხელაფარებულმა ნაბიჯი მისკენ გადადგა. მერე მიმოიხედა, რათა დარწმუნებულიყო, რომ არავინ უსმენდათ და არავის გაუგონია, რა თქვა ბრუნომ ახლახან.

— ამას არ უნდა ამბობდე, — დაარიგა მან, — არასოდეს თქვა მსგავსი რამ მამაშენზე.

— მაინც რატომ? — ბრუნოს ცოტათი შეერცხვა თავისი ამ სიტყვებისა, მაგრამ არ აპირებდა, ჩუმად მჯდარიყო და საყვედურები ესმინა, მით უმეტეს მაშინ, როცა მაინც არავის ანაღვლებდა მისი შეხედულებები.

— იმიტომ, რომ მამაშენი კარგი კაცია, — უპასუხა მარიამ, — ძალიან კარგი კაცი. ის თითოეულ ჩვენგანზე ზრუნავს.

— ჩვენგან ამხელა გზის გამოვლას და ამ უხიაგ ადგილას ჩამოსვლას გულისხმობ? ესაა ჩვენზე ზრუნვა?

— მამაშენს ბევრი რამ გაუკეთებია, რაც უნდა გეამაყებოდეს. მამაშენი რომ არ ყოფილიყო, მე სად ვიქნებოდი ახლა?

— მე მგონი, უკან, ბერლინში, — თქვა ბრუნომ, — იმუშავებდი ლამაზ სახლში, სამხარს სუროიანი ხის ქვეშ მიირთმევდი და ახლოს არ გაეკარებოდი ფუტკრებს.

— შენ არ გახსოვს, როდის მოვედი თქვენთან სამუშაოდ, არა? — ხმადაბლა ჰკითხა ქალმა და წუთით საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა, რაც ადრე არასოდეს გაუკეთებია, — ან როგორ გეხსომება. მხოლოდ სამი წლის იყავი. მამაშენმა მიმიღო და დამეხმარა, როცა ეს ძალიან მჭირდებოდა. მან მომცა სამსახური, მომცა სახლი, საჭმელი. ვერც კი წარმოიდგენ, რა გრძნობაა, როცა საჭმელი არ გაქვს. შენ ხომ არასოდეს გიშიმშილია, არა?

ბრუნო მოიღუშა. სიამოვნებით ეტყოდა, რომ სწორედ ახლა, ცოტა არ იყოს, მოშიებოდა, მაგრამ ამის მაგივრად მარიას დააკვირდა და პირველად გააცნობიერა: არასოდეს დაფიქრებულა იმაზე, რომ ეს ქალიც პიროვნება იყო, მათ გარეშე გააჩნდა საკუთარი ცხოვრება და წარსული. ბოლოსდაბოლოს, ის მისი ოჯახის მოახლეობის გარდა არაფერს აკეთებდა (ყოველ შემთხვევაში, მან ასე იცოდა). ბიჭს ეჭვიც კი შეეპარა, ნეტავ ოდესმე მოახლის უნიფორმის გარდა სხვა ტანსაცმელში თუ მინახავსო? მაგრამ რადგან ახლა ამაზე დაფიქრდა, სამართლიანად მიიჩნია, მარიას ცხოვრებაში ცოტა მეტი რამ ყოფილიყო, ამ ოჯახის წევრების მომსახურების გარდა. ალბათ, ბრუნოს მსგავსად, მარიასაც უტრიალებდა თავში საინტერესო აზრები. მასაც ექნებოდა მონატრებული ნივთები, ეყოლებოდა მეგობრები, რომელთა ნახვასაც ისურვებდა, ბრუნოსავით. და ვინ იცის, იქნებ აქ გადმოსვლის დღიდან ყოველ ღამე ტიროდა დაძინებამდე, როგორც ბრუნოზე ოდნავ უმცროს და ნაკლებად მამაც ბიჭებს სჩვევიათ. „საკმაოდ ლამაზიცაა“, — შენიშნა ბრუნომ და ეს აზრი სასაცილოდ მოეჩვენა.

— დედაჩემი ჯერ კიდევ მაშინ იცნობდა მამაშენს, შენხელა ბიჭი რომ იყო, — რამდენიმე წუთის შემდეგ განაგრძო მარიამ, —

შენს ბებიასთან მუშაობდა მეგარდერობედ, როდესაც ახალგაზრდა ქალბატონს ტურნე ჰქონდა მთელს გერმანიაში. ყოველი კონცერტისთვის ის უმზადებდა ტანსაცმელს — ურეცხავდა, უუთოებდა, უახლებდა. ყველა ჩინებული კოსტიუმი იყო. თან როგორი დაქარგული, ბრუნო! ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენდნენ. ასეთ მკერავებს დღეს ვეღარ ნახავ, — ქალმა თავი გაიქნია და მოგონებებს შეჰღიმა, ბრუნო მოთმინებით უსმენდა, — დედაჩემი ამოწმებდა, რომ შენს ბებიას წარმოდგენის დაწყებამდე საგრიმიოროში შესვლისას ყველა კაბა მზად დახვედროდა. ბებიაშენის მიერ სცენის მიტოვების შემდეგაც დედამ მასთან მეგობრული ურთიერთობა და მცირე შემწეობაც შეინარჩუნა, მაგრამ გაჭირვებული დრო იყო და მამაშენმა სამსახური შემომთავაზა — ჩემი პირველი სამსახური. მერე დედაჩემი მძიმედ ავად გახდა, საავადმყოფოში დაწვენა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა. ყველაფერი მამაშენმა მოგვიგვარა, თუმცა სრულიად არ იყო ვალდებული, ასე მოქცეულიყო. მან თანხა საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა, ჩვენი მშობლების მეგობრობის გამო, მეც სწორედ ამ მიზეზით მიმიღო ოჯახში. დედაჩემი რომ გარდაიცვალა, მისი დაკრძალვის ხარჯებიც დაფარა. ასე რომ, აღარასოდეს უწოდო მამას სულელი, ბრუნო. ჩემ წინაშე მაინც. ამის უფლებას ვერ მოგცემ.

ბრუნომ ტუჩი მოიკვნიტა. იმედი ჰქონდა, მარია მას დაუჭერდა მხარს აუვიციდან თავის დაღწევის კამპანიაში, მაგრამ ახლა მიხვდა, სინამდვილეში ვის უერთგულებდა. გულში ისიც აღნიშნა, რომ ამ ისტორიის მოსმენის შემდეგ უფრო ამაყობდა მამით.

— ჰო, — თქვა, რადგან უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიფიქრა, — დიდი სიკეთე გაუკეთებია.

— დიახ, — თქვა მარიამ, წამოდგა და ფანჯრისაკენ დაიძრა, სწორედ იმისკენ, რომლიდანაც ქოხმახებამდე მთელი გზა ჩანდა და ის ხალხი, მოშორებით, — ძალიან კეთილად მექცეოდა მაშინ,

— გააგრძელა წყნარად, თან ფანჯრიდან უცქეროდა თავთავიანთ საქმეში ჩაფლულ ხალხს და ჯარისკაცებს, — მას ისეთი კეთილი სული აქვს და ამიტომაც მიკვირს..... — ქალი გაირინდა, შემდეგ ხმა გაებზარა, თითქოს ტირილს აპირებდა.

— რა გიკვირს? — ჰკითხა ბრუნომ.

— მიკვირს, მისი..... როგორ შეუძლია.....

— როგორ შეუძლია — რა? — ჩააცივდა ბრუნო.

ქვედა სართულზე კარი გაჯახუნდა და თოფის გასროლასავით ბრახუნი მთელ სახლში ისე ხმამაღლა გაისმა, რომ ბრუნო შეხტა, მარიამ კი მოულოდნელობისგან წამოიკივლა. მძიმე ნაბიჯების ხმა სულ უფრო სწრაფად მოიწევდა მათკენ; ბრუნო საწოლზე აცოცდა და კედელს აეკრა — უეცრადადადად შეეშინდა იმისა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. უბედურების მოლოდინში სუნთქვაც კი შეიკრა, მაგრამ ეს გრეტელი აღმოჩნდა — უიმედო შემთხვევა. მან ღია კარში თავი შემოყო და გაუკვირდა, როცა აღმოაჩინა, რომ მისი ძმა მოახლეს ესაუბრებოდა.

— რამე მოხდა? — იკითხა გრეტელმა.

— არაფერი, — შეუტია ბრუნომ თავდაცვის მიზნით, — რა გინდა? გადი აქედან.

— თუ კარგია, თვითონ გადი, — უპასუხა დამ, მიუხედავად იმისა, რომ ბრუნოს ოთახში იყო, შემდეგ მარიას მიუბრუნდა და ეჭვიანად მოჭუტული თვალებით შეათვალიერა — მარია, აბაზანა გამიმზადე.

— რატომ თვითონ არ გაიმზადებ? — გააწყვეტინა ბრუნომ.

— იმიტომ, რომ მოახლე ისაა, — გრეტელი ძმას მიაჩერდა, — და სწორედ ამისთვისაა აქ.

— არაფერიც! — დაიყვირა ბრუნომ, წამოხტა და დისკენ გაიქცა, — იმიტომ არ არის აქ, რომ ყველაფერი ჩვენ მაგივრად აკეთოს. განსაკუთრებით კი ის, რისი გაკეთებაც თვითონაც შეგვიძლია.

გრეტელი ისე მისჩერებოდა, თითქოს ფიქრობდა, გაგიჟდაო, შემდეგ მარიას გახედა, რომელმაც სწრაფად დაუქნია თავი.

— რასაკვირველია, მის გრეტელ, თქვენი ძმის ტანსაცმლის დალაგებას მოვრჩები და მაშინვე თქვენთან მოვალ.

— კარგი, არ დააგვიანო, — უხეშად მიუგო გრეტელმა (ბრუნოსგან განსხვავებით ის არასოდეს დაფიქრებულა, რომ მარიაც ადამიანი იყო) სანამ საკუთარი ოთახისკენ მტკიცე ნაბიჯებით გაეშურებოდა და კარს მოიხურავდა. მარიას მზერა არ გაუყოლებია, მხოლოდ ლოყები შეუვარდისფრდა.

— მე მაინც მგონია, რომ საშინელ შეცდომას უშვებს, — წყნარად თქვა ბრუნომ რამდენიმე წუთის შემდეგ. მთელი ამ დროის განმავლობაში სურდა, დის საქციელის გამო მოებოდიშებინა, მაგრამ ვერ გადაწყვიტა, ეს სწორი იქნებოდა თუ არა. ასეთ სიტუაციებში ბრუნო თავს ყოველთვის უხერხულად გრძნობდა, რადგან გულის სიღრმეში იცოდა — არ არსებობს ვინმესთან უზრდელურად მოპყრობის მიზეზი, მაშინაც კი, თუ ის ვიღაც შენი მსახურია. ბოლოს და ბოლოს, კარგი მანერები ზრდილობიან ქცევას მოითხოვს.

— ასეც რომ იყოს, ამას ხმამაღლა ნუ იტყვი, — სწრაფად დაარიგა მარიამ, მიუახლოვდა და ისე შეხედა, თითქოს უნდოდა, გულში ჩასწვდომოდა, — პირობა მომეცი.

— მაგრამ რატომ? — მოიღუშა ბრუნო, — მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც ვგრძნობ. ნუთუ უფლება არ მაქვს?

— არა, არ გაქვს.

— უფლება არ მაქვს ვთქვა, რასაც ვგრძნობ? — დაეჭვდა ბიჭი.

— არა, — დაიჟინა მარიამაც; მისი ხმა თანდათან უფრო მტკიცედ ჟღერდა, — უბრალოდ, გაჩუმდი, ბრუნო. ნუთუ ვერ ხვდები, რამხელა უბედურების მიზეზი შეიძლება გახდე? თანაც, თითოეული ჩვენგანისთვის.

ბრუნომ შეათვალიერა. ქალის თვალებში რაღაც საშინელი წუხილის მსგავსი ამოიკითხა, რაც აქამდე არასოდეს შეუმჩნევია. ამან ბიჭი დააფრთხო.

— კარგი, — ამოილუღლუღა მან, წამოდგა და კარისკენ გაემართა, რადგან უცებ ძალიან მოუნდა, მოშორებოდა, — მხოლოდ იმას ვამბობდი, რომ აქაურობა არ მომწონს, სულ ესაა. უბრალოდ, გესაუბრებოდი, სანამ ჩემს ტანსაცმელს ალაგებდი. მე ხომ აქედან გაქცევა ან რაღაც ამის მსგავსი არ დამიგეგმავს. და რომც დამეგეგმა, არა მგონია, ვინმეს დავეძრახე.

— მაშინაც კი, თუ დედას და მამას ნერვიულობით გულს გაუხეთქავდი? — ჰკითხა მარიამ, — ბრუნო, თუ გონიერების ნატამალი მაინც გაგაჩნია, წყნარად იყავი და ყურადღება სკოლის დავალებებისკენ მიმართე, დაემორჩილე, რაც უნდა გთხოვოს მამამ. ჩვენ მხოლოდ ის გვევალება, თავს გავუფრთხილდეთ ამ ყველაფრის დამთავრებამდე. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მოქცევას ვაპირებ. განა სხვა რის გაკეთება შეგვიძლია? ჩვენ ვერაფერს შევცვლით.

ბრუნოს ტირილამდე ცოტაღა აკლდა, თუმცა, მიზეზს ვერ ხვდებოდა. თავადაც გაკვირვებულმა რამდენჯერმე სწრაფად დაახამხამა თვალები, რომ მარიას არ შეემჩნია მისი აღელვება. თუმცა, როდესაც მათი მზერა ისევ შეეჩეხა ერთმანეთს, ბრუნომ იფიქრა, დღეს, ალბათ, რაღაც უცნაური ტრიალებს ჰაერშიო — მარიასაც ცრემლებით ავსებოდა თვალები. ბოლოს, უხერხულობა ვეღაარ აიტანა, ამიტომ ზურგი შეაქცია და კარისკენ გასწია.

— სად მიდიხარ? — კითხვა დაადევნა მარიამ.

— გარეთ, — გაბრაზდა ბრუნო, — რა შენი საქმეა.

თავიდან ნელი ნაბიჯებით მიდიოდა, მაგრამ როგორც კი ოთახს გასცდა, აჩქარებით დაეშვა კიბეზე, შემდეგ სირბილი და საფეხურებზე გადახტომაც დაიწყო, რადგან უეცრად იგრძნო, თუ მალე არ გააღწევდა ამ სახლიდან, გული შეუღონდებოდა. რამდე-

ნიმე წამში უკვე გარეთ იყო და წინ და უკან დარბოდა სამანქანო გზაზე — ცდილობდა, როგორმე დაქანცულიყო. მოშორებით ჩანდა ჭიშკარი, რომელიც სადგურამდე მიმავალ გზაზე გადიოდა, სადგურიდან კი მატარებლები გადიოდნენ სახლში, მაგრამ იქ წასვლის აზრი — აზრი, გაქცეულიყო და საკუთარი თავის ამარა აღმოჩენილიყო, დარჩენაზე უფრო უსიამოვნოდ ეჩვენებოდა.

დედამ სხვისი დამსახურება მიიწერა

ოჯახთან ერთად აუვიცში გადმოსახლებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა აშკარა გახდა, რომ კარლის, დანიელის ან მარტინის სტუმრობის არანაირი პერსპექტივა არ არსებობდა, ბრუნომ გადაწყვიტა, რამე გასართობი ეპოვა, თორემ ნელ-ნელა გაგიჟდდებოდა.

ბიჭი მხოლოდ ერთ გიჟად აღიარებულ ადამიანს იცნობდა — ჰერ როლერს, დაახლოებით მამამისისხელა კაცს, რომელიც მათი ბერლინის სახლთან ახლოს, კუთხეში ცხოვრობდა. მას ხშირად ხედავდნენ დღისა თუ ღამის საათებში ქუჩაში მოსეირნეს და საკუთარ თავთან მოკამათეს. ზოგჯერ, გაცხარებული კამათისას ემოცია თითქოს მის გონებაში ააავეღარ ეტეოდა და გარეთ გამოღწევას ლამობდა — კაცი ცდილობდა, კედელზე დაცემული საკუთარი ჩრდილისთვის წაეთაქებინა. დროდადრო ისე გამეტებით ეჩხუბებოდა, რომ მუშტებს აგურის კედელზე ბაგუნით ისისხლიანებდა, შემდეგ მუხლებზე ეცემოდა და ხმამაღალ ტირილსა და თავში ხელების ცემას მოჰყვებოდა. რამდენჯერმე ბრუნომ ისეთი სიტყვებიც გაიგონა მისგან, მათი წარმოთქმა მშობლებმა რომ აუკრძალეს. ასეთ შემთხვევებში თავს ძლივს იკავებდა, რომ არ ჩაეხითხითა.

— ნუ დასცინი საბრალო ჰერ როლერს, — უთხრა დედამ ერთ შუადღეს, როდესაც ის-ის იყო, მის შესახებ ამბის მოყოლა დაასრულა, — წარმოდგენაც არ გაქვს, რა გადაიტანა ცხოვრებაში.

— გიჟია, — ბრუნომ თითი საფეთქელთან დაიტრიალა და დაუსტვინა, — ერთხელ ქუჩაში კატასთან მივიდა და შუადღისთვის ჩაის დასალევად დაპატიჟა!

— კატამ რა უპასუხა? — ჰკითხა გრეტელმა, რომელიც სამზარეულოს კუთხეში სენდვიჩს იმზადებდა.

— არაფერი, — აუხსნა ბრუნომ, — კატა იყო.

— არ გეხუმრებით, — დაიჟინა დედამ, — ფრანცი შესანიშნავი ახალგაზრდა იყო — პატარაობისას ვიცნობდი. კეთილი და გონიერი იყო, ცეკვაში კი ფრედ ასტერს არ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ დიდი ომის დროს სერიოზულად დაშავდა — თავში დაჭრეს — და სწორედ ამიტომ იქცევა ახლა ასე. სასაცილო არაფერია. წარმოდგენაც არ გაქვთ, რისი გადატანა უწევდათ მაშინ ახალგაზრდებს. ვერ გაიგებთ მათ ტანჯვას.

ბრუნო მააშინ ექვსი წლის იყო და კარგად ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა დედა.

— ეს მრავალი წლის წინ მოხდა, — აუხსნა მან, როდესაც ბიჭმა კითხვა დაუსვა, — მაშინ დაბადებულებიც არ იყავით. ფრანცი ერთ-ერთი იმ ახალგაზრდათაგანი იყო, რომლებიც ჩვენ გამო იბრძოდნენ სანგრებში. მამათქვენიც კარგად იცნობდა მას მაშინ; მგონი, ერთადაც მსახურობდნენ.

— რა შეემთხვა? — არ ისვენებდა ბრუნო.

— მნიშვნელობა არ აქვს. ომი არც ისე სასიამოვნო სასაუბრო თემაა. ვშიშობ, მალე ისედაც ბევრს ვილაპარაკებთ მასზე.

ეს აუვიცში გადმოსვლამდე ზუსტად სამი წლით ადრე მოხდა. მას შემდეგ ბრუნოს აღარც გახსენებია ჰერ როლერი, მაგრამ ახლა უცებ მოაგონდა და ირწმუნა, რომ თუ რამე ჭკვიანურს არ მოიფიქრებდა, რისთვისაც გონების დაძაბვა დასჭირდებოდა, სანამ მიხვდებოდა, უკვე დაწყებული ექნებოდა ქუჩაში ხეტიალი, საკუთარ თავთან ჩხუბი და შინაური ცხოველების საზოგადოებრივ ღონისძიებებზე დაპატიჟება.

თავი რომ შეექცია, ბრუნომ შაბათის მთელი დილა და შუადღე ახალი გასართობის დამზადებას მოანდომა. სახლიდან გარკვეული მანძილის მოდშორებით, გრეტელის მხარეს, ძალიან მსხვილტანიანი დიდი მუხა იდგა. ზორბა ტოტებიანი მაღალი ხე პატარა ბიჭის სიმძიმეს იოლად გაუძლებდა. ისეთი ბებერი იყო, ბრუნო ფიქრობდა, ალბათ, გვიან შუა საუკუნეებში დარგესო —

სწორედ ამ პერიოდს სწავლობდა სკოლაში და ძალიან საინტერესოდ ეჩვენებოდა, განსაკუთრებით მონაკვეთები რაინდების შესახებ, უცხო მიწებზე რომ მიემგზავრებოდნენ თავგადასავლების საძიებლად და აუცილებლად რაიმე საინტერესოს აღმოაჩენდნენ ხოლმე.

ახალი გასართობის დასამზადებლად ბრუნოს ორადორი რამ სჭირდებოდა — თოკი და საბურავი. თოკი იოლად იშოვა — ხვეულებად ელაგა სახლის სარდაფში და არაფერი უშლიდა ხელს, მეტად სახიფათო რამ ჩააედინა — ეპოვა ბასრი დანა და იმსიგრძე მოეჭრა, რამდენიც, მისი აზრით, დასჭირდებოდა. მუხასთან მიიტანა და მომავალში გამოსაყენებლად იქ დატოვა. საბურავი სულ სხვა საქმე იყო.

ამ დღეეს სახლში არც მამა იყო და არც დედა. დედა დილით ადრიანად გავარდა სახლიდან, მატარებელს გაჰყვა მახლობელ ქალაქში ერთი დღით, ჰაერის გამოსაცვლელად, მამა კი ბოლოს ქოხებისკენ მიმავალი დაინახეს, იმ ხალხისაკენ, მოშორებით, ბრუნოს ფანჯრიდან რომ ჩანდნენ. როგორც ყოველთვის, სახლთან უამრავი სამხედრო სატვირთო მანქანა და ჯიპი იდგა და, მართალია, ბრუნომ იცოდა, რომ საბურავს ვერც ერთ მათგანს ვერ მოპარავდა, იმედოვნებდა, იქნებ იმის საშუალება მაინც მომეცეს, სადმე სათადარიგო ვიპოვოო.

სახლიდან გამოაბიჯა თუ არა, ლეიტენანტ კოტლერთან მობაასე გრეტელი დაინახა და არცთუ დიდი ხალისით გადაწყვიტა, რომ გონივრული იქნებოდა, მისთვის ეკითხა. ლეიტენანტი კოტლერი იმ ახალგაზრდა ოფიცერს ერქვა, ბრუნომ აუვიცში ჩამოსვლის პირველ დღეს რომ ნახა: ჯარისკაცი, მათი სახლის ზემო სართულზე რომ შეხვდა და წუთით შეეათვალიერა ბავშვი, სანამთავს დაუქნევდა დაგზას გააგრძელებდა. მას შემდეგ ბრუნომ ის რამდენჯერმე ნახა — ისე შემოდიოდა და გადიოდა მათ სახლში, თითქოს იქაურობის ბატონ-პატრონი ყოფილიყოს; ნათლად ჩან-

და, არც მამას კაბინეტში შესვლა ეკრძალებოდა — მაეგრამ ერთმანეთს ხშირად არ გამოლაპარაკებიან. ბრუნო ზუსტ მიზეზს ვერ გეტყოდათ, მაგრამ არ მოსწონდა ლეიტენანტი კოტლერი. მას თითქოს უცნაური სიცივე სდევდა თან, რომელიც ბიჭს სურვილს უჩენდა, ჯემპრში ჩაფუთნილიყო. ამის მიუხედავად, ახლა სხვა არავისთვის შეეძლო ეკითხა, რაც აინტერესებდა, ამიტომ მისკენ დაიძრა და თან გამარჯობის სათქმელად ძლივს მოიკრიბა გამბედაობა.

ახალგაზრდა ლეიტენანტი, ჩვეულებრივ, კოხტად გამოიყურებოდა და ისე დააბიჯებდა, თითქოს მისი უნიფორმა სწორედ იმ წუთში გაეუთოებინათ. ცვილით გაკრიალებული შავი ჩექმები უბრწყინავდა, ქერა, ყვითელი თმა კი გვერდზე გადაევარცხნა და რაღაცით გაეპოხა, რის შედეგადაც სავარცხელს თმაზე ახალმოხნული მიწასავით სწორი, იდეალური კვალი დაეტოვებინა. იმდენ ოდეკოლონს ისხამდა, მისი სურნელი შორიდანვე გეცემოდათ. ბრუნომ ჭკუა ისწავლა და ისე დგებოდა ხოლმე, რომ ქარს ლეიტენანტის სურნელი არ მოეტანა, თორემ შეიძლებოდა გული წასვლოდა.

თუმცა, ამ კონკრეტულ დღეს, რადგანაც შაბათის მზიანი დილა იყო, ისე უნაკლოდ გამოწკეპილი არ ჩანდა. უნიფორმის ნაცვლად შაარვალი და თეთრი ჟილეტი ეცვა, თმა შუბლზე მსუბუქად ჩამოშლოდა. განსაცვიფრებლად გარუჯული და ისეთი დაკუნთული მკლავები აღმოაჩნდა, როგორზეც ბრუნო ოცნებობდა. დღეს ისეთი ახალგაზრდა ჩანდა, ბრუნო გაოცდა; თავის სკოლელ უფროსკლასელ ბიჭებს აგონებდა, ყოველთვის თავს რომ არიდებდა. ლეიტენანტი კოტლერი გატაცებით საუბრობდა გრეტელთან. ალბათ, ძალიან სასაცილო რამეს უყვებოდა, რადგან გოგონა ხმამაღლა იცინოდა და თმას თითებზე იხვევდა.

— გამარჯობა, — ბრუნომ მათ მიუახლოვდა. გრეტელმა გაღიზიანებულმა შეხედა:

— შენ რაღა გინდა?

— მე არაფერი მინდა, — გააწყვეტინა ბრუნომ და დაჰჟინებით მიაცქერდა, — უბრალოდ, მოსასალმებლად მოგიახლოვდით.

— აპატიეთ ჩემს უმცროს ძმას, კურტ, — მოუბოდიშა გრეტელმა ლეიტენანტ კოტლერს, — ხომ იცით, მხოლოდ ცხრა წლისაა.

— გაგიმარჯოს, პატარა კაცო, — კოტლერი წამოდგა — თითქმის შემზარავად — და ბრუნოს თმა ისეთი ირონიული ჟესტით მოუჩეჩა, რომ ბიჭს მოუნდა, მიწაზე დაეგდო იგი და ზედ ეხტუნავა.

— ასე ადრიანად რამ გაგაღვიძა და შაბათ დილას ზეზე წამოგაგდო?

— არც ისე ადრეა, — შენიშნა ბრუნომ, — თითქმის ათი საათია.

ლეიტენანტმა კოტლერმა მხრები აიჩეჩა.

— შენხელა რომ ვიყავი, დედაჩემი სამხრამდე ლოგინიდან ვერ მაგდებდა. ამბობდა, ვერასოდეს გაიზრდები დიდი და ძლიერი, თუ მთელ ცხოვრებას ძილში გალევო.

— მაგრამ ამაში ნამდვილად ცდებოდა, არა? — კეკლუცად გაუღიმა გრეტელმა. ბრუნომ ზიზღით შეავლო მას თვალი — სულელური ტონით წარმოთქვამდა, თითქოს არც კი ფიქრობდა, რას ამბობდა. ბიჭს ერთი სული ჰქონდა, მათ მოშორებოდა, სულაც არ აინტერესებდა, რას განიხილავდნენ, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა — საკუთარი ინტერესებს დასაცავად ლეიტენანტი კოტლერისთვის წარმოუდგენელი რამ — დახმარება უნდა ეთხოვა.

— შეიძლება, დახმარება გთხოვოთ?

— შეგიძლია მთხოვო, — უპასუხა ლეიტენანტმა კოტლერმა და გრეტელმა ისევ გაიცინა, თითქოს რაიმე სასაცილო ყოფილიყოს.

— მაინტერესებს, ხომ ვერ ვიშოვი აქ სადმე თავისუფალ სათადარიგო საბურავს? — განაგრძო ბრუნომ, — რომელიმე ამ ჯიპის, ან სატვირთო მანქანისაც გამოდგება. ისეთი, რომელსაც აღაარ იყენებთ.

— ერთაადერთი სათაადარიგო საბურავი, რომელიც აქ მინახავს, სერჟანტ ჰოფშნაიდერს ეკუთვნის და ქამრად იყენებს, — ლეიტენანტ კოტლერს ტუჩებზე რაღააც ღიმილისმაგვარი გამოესახა. ბრუნო მისი ნათქვამის აზრს ვერ მიხვდა, სამაგიეროდ გრეტელი ისე გამხიარულდა, ცოტაც და ადგილზე აცეკვდებოდა.

— ესე იგი, სჭირდება? — იკითხა ბრუნომ.

— სერჟანტ ჰოფშნაიდერს? — ჰკითხა ლეიტენანტმა კოტლერმა, — სამწუხაროდ, ასეა. ვერ ელევა თავის საბურავს.

— გეყოფა, კურტ, — გრეტელი სიცილისგან აცრემლებულ თვალებს იმშრალებდა, — ვერ ხვდება შენს ხუმრობას. ის ხომ მხოლოდ ცხრა წლისაა.

— ოჰ, აღარ გაჩუმდები? — დაუყვირა დას გაღიზიანებულმა ბრუნომ. ისედაც ყელში ჰქონდა ამოსული აქ ყოფნა და ლეიტენანტი კოტლერისთვის დახმარების ხვეწნა, ახლა მისი და რომ არ ჩაარეულიყო! მისი სიტყვები კიდევ უფრო აღიზიანებდა, — შენც მხოლოდ თორმეტისა ხარ, — დაამატა მან, — ასე რომ, გეყოს თავის იმაზე უფროსად მოჩვენება, ვიდრე ხარ.

— თითქმის ცამეტი წლის ვარ, კურტ, — შეაწყვეტინა გოგომ, აღაარ იცინოდა, სახე შიშით გაეყინა, — ორიოდე კვირაში ცამეტის გავხდები. თითქმის ზრდასრული ვიქნები, შენსავით.

ლეიტენანტმა კოტლერმა გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, თუმცა არაფერი უთქვამს. ბრუნო მიაჩერდა. სხვა უფროსი რომ მდგარიყო მის წინ, აუცილებლად თვალების მაღლა აპყრობით ანიშნებდა, ორივემ ვიცით, გოგოები სულელები არიან, დები კი — განსაკუთრებით სასაცილოებიო;მაგრამ ეს ვიღაც სხვა უფროსი არ ყოფილა. ეს ლეიტენანტი კოტლერი იყო.

— მაგრამ, — ბრუნომ ყურადღება არ მიაქცია მრისხანე მზერას, გრეტელი რომ არ აშორებდა, — იმ ერთის გარდა, სადმე სხვაგან თუ მოვძებნი, რამე საბურავს ვერ ვიპოვი?

— რასაკვირველია, — ლეიტენანტი კოტლერი დასერიოზულდა, ჩანდა, რომ ეს თემა უკვე თავს აბეზრებდა, — მაგრამ მაინც რისთვის გჭირდება?

— საქანელის გაკეთებას ვაპირებ, — აღიარა ბრუნომ, — ხომ იცი, საბურავით და თოკით, ხის ტოტებზე რომ კიდებენ.

— აბა, რა, — ლეიტენანტმა კოტლერმა თავი ბრძნულად დაუქნია — ასეთი რამეები მისთვის უკვე შორეულ მოგონებებში დარჩენილიყო, მიუხედავად იმისა, რომ როგორც გრეტელმა ახლახან გათქვა, ისიც მხოლოდ ყმაწვილი გახლდათ, — ბავშვობაში მეც უამრავი საქანელა გამიმართავს. მე და ჩემს მეგობრებს ბევრი გვიმხიარულია საქანელაზე.

ბრუნო განცვიფრდა — თურმე მასთან რამე საერთო შეიძლებოდა ჰქონოდა (კიდევ უფრო გააკვირვა იმან, რომ ლეიტენანტ კოტლერს ოდესღაც მეგობრებიც ჰყოლია).

— მაშ, როგორ ფიქრობ? — ჩააცივდა, — ვიპოვი საბურავს?

ლეიტენანტი კოტლერი დააკვირდა. როგორც ჩანდა, გონებაში განიხილავდა, ჩვეულებისამებრ, გაეგრძელებინა მისი წვალება თუ ბარემ ეპასუხა. შემდეგ სახლისაკენ მიმავალი პაველი შეამჩნია — მოხუცი კაცი, რომელიც ყოველ შუადღეს მოდიოდა და ბოსტნეულს ასუფთავებდა, ფხეკდა, ეხმარებოდა სამზარეულოში, ხოლო სადილისთვის თეთრ სმოკინგს იცვამდა და მაგიდას ემსახურებოდა — და, როგორც ჩანს, გადაწყვეტილება მიიღო.

— ეი, შენ! — დაუყვირა მან და რაღაც სიტყვა უწოდა, რომელიც ბრუნომ ვერ გაიგო, — მოდი აქ, შე ...— ისევ გაიმეორა სიტყვა. მისმა უკმეხმა ჟღეერადობამ ბრუნო რატომღაც უკან გაახედა, თითქოს ამ ამბის თანამონაწილეობა შერცხვა.

პაველი მათკენ გამოეშურა. ყმაწვილი კოტლერი შვილიშვილად ერგებოდა მას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავხედურად მიმართაა:

— წაიყვანე ეს პატარა კაცი ფარდულში, სახლის უკან. კედელთან ძველი საბურავებია გამწკრივებული. ამოარჩევს რომელიმეს და სადაც გეტყვის, იქ წააღებინებ, გასაგებია?

პაველმა ქუდი მოუხადა, თითებში მოჭმუჭნა, თავი დაუქნია და ჩვეულებრივზე მეტად მოიხარა.

— დიახ, ჰერ, — ხმადაბლა თქვა მან; ისე ჩუმად, თითქოს სულაც არ უთქვამს.

— მერე კი, როცა სამზარეულოში დაბრუნდები, სანამ საჭმელს შეეხები, ხელები კარგად დაიბანე, შე ბინძურო... — ლეიტენანტმა კოტლერმა კიდევ გაიმეორა ის სიტყვა, რომელიც უკვე ორჯერ წარმოთქვა და გადააფურთხა. ბრუნომ გახედა გრეტელს, რომელიც მანამდე ლეიტენანტ კოტლერის თმაში მოთამაშე მზის სხივებს შესციცინებდა, მაგრამ ახლა ისიც თავის ძმასავით უხერხულად იშმუშნებოდა. აქამდე არც ერთი მათგანი არასდროს გამოლაპარაკებია პაველს, მაგრამ ის კარგი ოფიციანტი იყო, ასეთებს კი, მამასი არ იყოს, ხეები არ ისხამს.

— აბა, გაინძერი, — უბრძანა ლეიტენანტმა კოტლერმა. პაველი შებრუნდა და სამეურნეო ფარდულისკენ გაუძღვა ბრუნოს, რომელიც დროდადრო უკან იხედებოდა თავისი დისა და ახალგაზრდა ჯარისკაცისკენ და აუტანელ სურვილს გრძნობდა, მიბრუნებულიყო და გრეტელი ძალით წამოეთრია. მერე რა, რომ იგი უმეტესად მომაბეზრებელი, ეგოისტი და ძუნწი იყო. ბოლოს და ბოლოს, ეს გრეტელის საქმეა. ის მისი უფროსი და იყო. მაგრამ ბიჭს არ მოსწონდა მისი ლეიტენანტ კოტლერის მსგავს კაცთან მარტო დატოვების აზრი. როგორც არ უნდა შეგელამაზებინა მისი პიროვნება, მაინც ერთი რამ გამოდიოდა — საძაგელი ტიპი იყო.

უბედური შემთხვევა რამდენიმე საათში მოხდა მას შემდეგ, რაც ბრუნომ შესაფერისი საბურავი აირჩია, მერე პაველმა მუხასთან მიათრია, გრეტელის ფანჯრიდან რომ ჩანდა. ბრუნომ ზემოთ-ქვემოთ, ზემოთ-ქვემოთ, ზემოთ და ქვემოთ იცოცა ხეზე,

რომ საიმედოდ მიება თოკები ტოტებსა და თვით საბურავზე. საქმე წარმატებით დასრულდა. ბიჭს ადრეც გაემართა საქანელა, მაგრამ მაშინ კარლი, დანიელი და მარტინი ეხმარებოდნენ, ამჯერად კი ყველაფერს მარტო აკეთებდა და საქმე ბევრად უფრო რთული ეჩვენა. როგორღაც მაინც გაართვა თავი და რამდენიმე საათის შემდეგ საბურავის შუაგულში შემოსკუპებული წინ და უკან ლაღად დაქანაობდა, თითქოს ამქვეყნად არანაირი საზრუნავი აღარ ჰქონოდა. ყურადღებას არ აქცევდა იმ ფაქტს, რომ ეს ყველაზე მოუხერხებელი საქანელა იყო მათ შორის, რომლებზეც ოდესმე მჯდარა.

საბურავის ცენტრში გაწოლილი გასაქანებლად ფეხებით მიწას უბიძგებდა. ყოველი გაქანებისას საქანელა უფრო მაღლა ადიოდა ჰაერში და ბიჭი ხის ღეროს თავს ძლივს აცილებდა, მაგრამ იმდენად კი უახლოვდებოდა, რომ შესძლებოდა, მასზე ფეხის მირტყმით უფრო სწრაფად და მაღლა გაქანებულიყო. ყველაფერი შესანიშნავად მიდიოდა, სანამ საბურავს კვანძი არ მოეშვა და ბრუნომ ხეს ფეხი დაჰკრა თუ არა, სანამ აზრზე მოვიდოდა, საბურავში ჩაცურდა და ჩამოვარდა, მაგრამ რადგან ცალი ფეხი რგოლში გაჩხერილი დარჩა, თავდაღმა დაასკდა მიწას.

წუთით თვალთ დაუბნელდა, მერე ნელ-ნელა ისევ დალაგდა ყველაფერი. ის იყო მიწაზე წამოჯდა, რომ უკან გამოქანებული საბურავი თავში დაეჯახა. ბიჭმა იყვირა და მოშორებით გადავარდა. წამოდგომისას იგრძნო, მკლავიცდა ფეხიც ძალიან სტკიოდა (მთელი ძალით დასცემოდა მათ), მაგრამ არც იმდენად, რომ მოტეხილი ჰგონებოდა. მკლავი დაითვალიერა — ერთიანად დაკაწროდა, იდაყვზე კი საზარელი ჭრილობა აღმოაჩინა. ფეხის საქმე კიდევ უფრო ცუდად იყო — სწორედ იმ ადგილას, სადაც შორტები მთავრდებოდა, დიდ იარას დაეღო პირი და თითქოს მხოლოდ მის ყურადღებას ელოდაო, როგორც კი ბიჭმა შეხედა, სისხლდენა გაუძლიერდა.

— ოჰ, ღმერთო! — წამოიძახა ბრუნომ თვალის მოუშორებლად, ფიქრობდა, რა ეღონა. ოღონდ დიდხანს არ დასჭირვებია ფიქრი, რადგან მისი გამართული საქანელა სამზარეულოს მხარეს იყო და ოფიციანტი პაველი, რომელიც საბურავის მოთრევაში დაეხმარა, ფანჯარასთან მდგარი კარტოფილს ფცქვნიდა. მან დაინახა, რაც შეემთხვა ბიჭს და როდესაც ბრუნომ ისევ ასწია თავი, მისკენ მომავალი პაველი დაინახა. მაშინღა მისცა თავბრუსხვევას უფლება, მთლიანად დაპატრონებოდა. წაიქცა, მაგრამ ამჯერად სანამ მიწაზე დაეცემოდა, პაველმა აიტაცა.

— არ ვიცი, რა მოხდა, — შესჩივლა ბიჭმა, — სახიფათო არაფერი ჩანდა.

— ძალიან მაღლა აქანებდი, — პაველის მშვიდი ხმის გაგონებაზე ბრუნომ თავი მაშინვე უსაფრთხოდ იგრძნო, — გიყურებდი და ვფიქრობდი, ნებისმიერ წამს შეიძლება რამე იტკინოს მეთქი.

— ვიტკინე კიდეც, — თქვა ბრუნომ.

— ნამდვილად.

პაველმა გაზონის გასწვრივ, სახლის უკან წაიყვანა, სამზარეულოში შეიყვანა და ერთ-ერთ ხის სკამზე დასვა.

— დედა სად არის? — ჰკითხა ბრუნომ და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა — იმ ადამიანს ეძებდა, რომელსაც პირველად მიმართავდა ხოლმე, როცა რამე ფათერაკი შეემთხვეოდა.

— სამწუხაროდ, დედაშენი ჯერ არ დაბრუნებულა, — პაველმა იატაკზე მის წინ ჩაიმუხლა და ფეხი გაუსინჯა, — სახლში მხოლოდ მე ვარ.

— ახლა რა მომივა? — ჰკითხა შეშინებულმა ბრუნომ, სადაცაა ცრემლებიც წამოსცვივდებოდა, — ალბათ, სისხლისგან დავიცლები და მოვკვდები.

პაველმა გულთბილად გაიცინა და თავი გაიქნია.

— არ დაიცლები და არც მოკვდები, — სკამი მიუჩოჩა და ბრუნოს ფეხი ზედ დაადებინა, — ცოტა ხანს არ გაინძრე. სადღაც პირველადი დახმარების კოლოფი უნდა იყოს.

ბრუნო უყურებდა, როგორ დადიოდა სამზარეულოში, როგორ ამოიღო მწვანე ყუთი ბუფეტიდან, მომცრო თასი წყლით აავსო და თითით შეამოწმა, ძალიან ცივი ხომ არ იყო.

— საავადმყოფოში წაყვანა დამჭირდება?

— არა, არა, — უპასუხა პაველმა, ისევ ჩაიჩოქა მის წინ, ქსოვილი თასში დაასველა და ბრუნოს მუხლს მსუბუქად შეახო. ბიჭი ტკივილისგან დაიღმიჭა, თუმცა ისე სულაც არ სტკენია, როგორც ელოდა, — პატარა ჭრილობაა, ნაკერებიც კი არ დასჭირდება.

ბრუნო მოიღუშა და ტუჩი მოიკვნიტა. ამასობაში პაველმა ჭრილობაზე სისხლი მოსწმინდა, შემდეგ კი სხვა ნაჭერი საკმაოდ მჭიდროდ მიაჭირა რამდენიმე წუთის განმავლობაში. როდესაც ფრთხილად ააცალა, სისხლდენა შეჩერებულიყო, შემდეგ პირველადი დახმარების ყუთიდან მწვანე სითხით სავსე პატარა ბოთლი ამოიღო და ჭრილობის დამუშავება დაიწყო — სითხემ საკმაოდ ასწვა და ბრუნომ რამდენჯერმე წამოიყვირა.

— არც ეგეთი საშინელებაა, — დაამშვიდა პაველმა კეთილი და მზრუნველი ხმით, — და ნუ შეაშინებ თავს ფიქრით, თითქოს იმაზე მეტად გტკივა, ვიდრე სინამდვილეში.

ბრუნო მიხვდა ამ რჩევის აზრს და „ვაის“ წამოძახების სურვილს შეეწინააღმდეგა. პაველმა მწვანე სითხე მთლიან ჭრილობაზე წაუსვა, ყუთიდან სახვევი ამოიღო და მუხლი შეუხვია.

— აბა, — თქვა მან, — ახლა ხომ უკეთეესია?

ბრუნომ თავი დაუქნია და ცოტათი შერცხვა, რომ ისე გულადად ვერ მოიქცა, როგორც ისურვებდა.

— გმადლობთ.

— გაიზარდე, — უპასუხა პაველმა, — ახლა ცოტა ხანს იჯექი და არ გაიარო, კარგი? აცადე, ტკივილმა გაგიაროს. დღეეს იმ საქანელას ახლოს აღარ გაეკარო.

ბრუნომ თავი დაუქნია. ფეხი ისევ სკამზე ჰქონდა გაჭიმული, რომ პაველი ხელსაბანთან მივიდა და ხელები გულმოდგინედ დაიბანა, ფრჩხილებიც კი მავთულის ჯაგრისით გამოისუფთავა, შემდეგ გაიმშრალა და კარტოფილის ფცქვნას დაუბრუნდა.

— ეტყვი დედას, რაც მოხდა? — ჰკითხა ბრუნომ. უკვე ინტერესი კლავდა, მომხდარის გამო გმირად ჩაათვლიდნენ თუ სასიკვდილო მახის შემქმნელ ბოროტმოქმედად.

— ჩემი აზრით, თვითონაც მიხვდება, — პაველი ახლა სტაფილოებს მიუბრუნდა -მაგიდასთან მის პირისპირ ჩამომჯდარმა ძველ გაზეთზე სტაფილოს ფხეკა დაიწყო.

— დიახ, მეც ეგრე ვვარაუდობ. შეიძლება, ჩემი ექიმთან წაყვანაც მოინდომოს.

— არა მგონია, — წყნარად უპასუხა პაველმა.

— წინასწარ რას გაიგებ, — ბრუნოს არ უნდოდა, ამ შემთხვევას ასე უხმაუროდ ჩააევლო (ბოლოს და ბოლოს, ეს ყველაზე ამაღელვებელი თავგადასავალი იყო, რომელიც აქ ჩამოსვლის შემდეგ შეემთხვა), — შეიძლებაიმაზე ცუდად არის საქმე, ვიდრე ჩანს.

— არა, — უპასუხა პაველმა, რომელიც თითქოს არც უსმენდა ბრუნოს, ისეთი ყურადღებით ფხეკდა სტაფილოს.

— შენ რა იცი? — ჰკითხა ბრუნომ სწრაფად. უკვე აღიზიანებდა პაველი, თუმცა ეს იგივე კაცი იყო, რომელმაც მიწიდან აიყვანა, აქ მოიყვანა და მოუარა, — ექიმი ხომ არ ხარ.

პაველმა წუთით ფხეკა შეწყვიტა და მაგიდის ბოლოდან თავჩაღუნულმა, ქვემოდან ამოხედა ბრუნოს. თითქოს არ იცოდა, რა ეპასუხა ამ კითხვაზე. ამოიოხრა, როგორც ჩანდა, დიდხანს ყოყმანობდა, სანამ იტყოდა:

— დიახ, ვარ.

ბრუნო გაკვირვებით მიაშტერდა. ეს რაღა უაზრობა იყო!

— მაგრამ შენ ხომ ოფიციანტი ხარ? და სადილისთვის ბოსტნეულს ასუფთავებ. ექიმი როგორღა იქნები?

— ყმაწვილო, — წარმოთქვა პაველმა (ბრუნოს ეამა, რომ პაველს საკმარისი ზრდილობა აღმოაჩნდა და „ყმაწვილი“ უწოდა, ნაცვლად „პატარა კაცისა“, ლეიტენანტი კოტლერივით), — მე მართლა ექიმი ვარ. კაცი თუ ღამით ცას აკვირდება, აუცილებლად ასტრონომი ხომ არ არის.

ბრუნოს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იგულისხმა პაველმა, მაგრამ რაღააცამ მისი საუბრის მანერაში აიძულა, პირველად შეეთვალიერებინა დაკვირვებით. ჩია კაცი იყო, გაჩხიკული, გრძელი თითებითა და გამოკვეთილი ნაკვთებით. მამაზე უფროსი და ბაბუაზე უმცროსი იქნებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საკმაოდ ხნიერი იყო; მართალია, აუვიცში ჩამოსვლამდე ბრუნოს მისთვის თვალი არასოდეს მოუკრავს, მაგრამ მის სახეზე რაღაც მიანიშნებდა, წარსულში წვერი ჰქონოდა მოშვებულიო.

მაგრამ ახლა — აღარ.

— ვერ ვხვდები, — ბრუნოს ამ საკითხის ბოლომდე გარკვევა უნდოდა, — თუ ექიმი ხარ, ოფიციანტად რატომ მუშაობ? რატომ რომელიმე ჰოსპიტალში არ მუშაობ?

პაველმა პასუხის გაცემაზე დიდხანს იყოყმანა. სანამ ხმას ამოიღებდა, ბრუნო ჩუმად იყო. მიზეზს ვერ ხსნიდა, მაგრამ რატომღაც გრძნობდა, რომ ზრდილობა მოითხოვდა დაეცადა, სანამ პაველი პასუხისათვის მზად იქნებოდა.

— სანამ აქ მოვიდოდი, საექიმო პრაქტიკას გავდიოდი, — თქვა მან საბოლოოდ.

— პრაქტიკას? — ჰკითხა ბრუნომ, მისთვის უცხო იყო ეს სიტყვა, — ცუდი იყავი?

პაველმა გაიღიმა: — ძალიან კარგი ვიყავი. ყოველთვის ექიმობაზე ვოცნებობდი. ბავშვობიდან. შენი ასაკიდან.

— მე მინდა, გამომძიებელი ვიყო, — სწრაფად უთხრა ბრუნომ.

— წარმატებას გისურვებ, — თქვა პაველმა.

— გმადლობ.

— უკვე აღმოაჩინე რამე?

— ჩვენს ძველ სახლში, ბერლინში, უამრავი საკვლევი მასალა იყო, თანაც, ის დიდი სახლი იყო, უფრო დიდი, ვიდრე შეგიძლია წარმოიდგინო, ამიტომ იქ უამრავი ადგილი მქონდა აღმოჩენებისთვის. აქ სულ სხვაგვარადაა საქმე.

— აქ ყველაფერი სხვაგვარადაა, — დაეთანხმა პაველი.

— როდის ჩამოხვედი აუვიცში? — ჰკითხა ბრუნომ.

პაველმა სტაფილო და საფხეკი მაგიდაზე დადო და ცოტა ხნით ჩაფიქრდა: — უკვე მგონია, ყოველთვის აქ ვიყავი, — თქვა ბოლოს ჩუმად.

— აქ გაიზარდე?

— არა, — პაველმა თავი გაიქნია, — არა, აქ არა.

— მაგრამ ახლახან თქვი, რომ...

სანამ წინადადებას გააგრძელებდა, გარედან დედას ხმა შემოესმა. როგორც კი ქალბატონის ხმა გაიგო, პაველი სკამიდან წამოხტა და ხელსაბანისკენ მიბრუნდა, სტაფილო, საფხეკი და ნაფხეკებით სავსე გაზეთიც ხელს გააყოლა, თავჩაღუნულმა და ისევ დადუმებულმა ბრუნოს ზურგი აქცია.

— ღმერთო ჩემო, რა დაგემართა? — სამზარეულოში შემოსვლისთანავე ჰკითხა დედამ, დაიხარა და ბრუნოს ჭრილობაზე დადებული სალბუნი შეამოწმა.

— საქანელა გავმართე და მერე გადმოვვარდი, — აუხსნა ბრუნომ, — შემდეგ საქანელა მომხვდა ყთავში და კინაღამ გული წამივიდა, მაგრამ პაველი გამოვარდა და აქ შემომიყვანა, ჭრილობა გამისუფთავა და სახვევი დამადო, ძალიან მეწვოდა, მაგრამ არ მიტირია. ერთხელაც არ მიტირია, ხომ ასეა, პაველ?

პაველი ოდნავ შემობრუნდა, მაგრამ თავი არ აუწევია:

— ჭრილობა დამუშავებულია, — ხმადაბლა თქვა მან, ბრუნოს კითხვას კი წაუყრუა, — სანერვიულო არაფერია.

— შენს ოთახში წადი, ბრუნო, — დედა თავს აშკარად უხერხულად გრძნობდა.

— მაგრამ მე...

— ნუ მეკამათები — წადი შენს ოთახში! — უბრძანა დედამ. ბრუნომ სკამიდან ფეხი ჩამოიღო და დაეყრდნო, გადაწყვიტა, ამიერიდან ხის ფეხს ვუწოდებო. ცოტათი სტკიოდა. შებრუნდა და ოთახიდან გავიდა, მაგრამ კიბეებზე ასვლისას ყური მოჰკრა, როგორ უხდიდა მადლობას დედა პაველს, რამაც ძალიან გაახარა, რადგან ხომ ყველასთვის ნათელი იყო — ის რომ არ გამოჩენილიყო, სისხლისგან დაიცლებოდა და მოკვდებოდა.

ზემო სართულზე ასვლამდე კიდევ ერთი რამ გაიგონა — დედამ უთხრა ოფიციანტს (რომელიც ირწმუნებოდა, ექიმი ვარო).

— კომენდანტი თუ იკითხავს, ვეტყვით, რომ ბრუნოს მე მივხედე.

ბრუნოს დედის ეს საქციელი ძალიან ეგოისტურად მოეჩვენა — მან საკუთარ თავზე მიიწერა სხვისი დამსახურება.

ბებიამ კარი გამოიჯახუნა

ბრუნოს ყველაზე მეტად ორი ვინმე ენატრებოდა — ბებია და ბაბუა. ისინი ხილისა და ბოსტნეულის დახლების მახლობლად, პატარა ბინაში ცხოვრობდნენ. იმ დროისთვის, როცა ოჯახი აუვიცში გადასახლდა, ბაბუას სამოცდაცამეტი წელი შეესრულებოდა (ბრუნო დარწმუნებული იყო, ის მსოფლიოში ყველაზე მოხუცი ადამიანიაო). ერთხელ ბრუნომ გამოითვალა — თავისი განვლილი წლები რვაჯერ რომ გადაემრავლებინა, ბაბუაზე მაინც ერთი წლით უმცროსი იქნებოდა.

ბაბუა მთელი ცხოვრების განმავლობაში ქალაქის ცენტრში რესტორანს ფლობდა, ბრუნოს მეგობრის, მარტინის მამა — მზარეული — მისი ერთ-ერთი ხელქვეითი იყო. მართალია, ბაბუა თვითონ აღარც ამზადებდა და აღარც მაგიდებს ემსახურებოდა, მაგრამ მთელ დღეებს მაინც იქ ატარებდა — შუადღისას ბართან იჯდა ხოლმე და კლიენტებს ებაასებოდა, საღამოობით კი იქვე ვახშმობდა და თავის მხიარულ მეგობრებთან ერთად დაკეტვამდე არ ტოვებდა რესტორანს.

სხვა ბიჭების ბებიებთან შედარებით ბებია ყოველთვის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. როცა ბრუნომ მისი ასაკი — სამოცდაორი წელი — გაიგო, გაოცებული დარჩა. ახალგაზრდობისას ერთ-ერთ კონცერტზე ბებიამ ბაბუა გაიცნო, მან კი, მიუხედავად უამრავი ნაკლისა, როგორღაც დაარწმუნა, ცოლად გაჰყოლოდა. ბებიას გრძელი წითური თმა ჰქონდა (რომელიც განსაცვიფრებლად ჰგავდა მისი რძლის, ბრუნოს დედის თმას) და მწვანე თვალები. ამბობდა ხოლმე, ეს იმიტომ, რომ ჩემს წინაპრებს ირლანდიური სისხლი ერიათო. ბრუნომ იცოდა, ოჯახური წვეულება მაშინ აღწევდა პიკს, როცა ბებია ფორტეპიანოს ირგვლივ იწყებდა ტრიალს მანამდე, სანამ ვინმე არ მიუჯდებოდა ინსტრუმენტს დასაკრავად და არ სთხოვდნენ, ემღერა.

— რას ბრძანებთ? — გულზე ხელის მიდებით წამოიძახებდა ყოველთვის, ამ თხოვნით აღფრთოვანებული, — ნუთუ სიმღერას მთხოვთ? არა მგონია, შევძლო. ვშიშობ, ახალგაზრდებო, რომ ჩემი, როგორც მომღერლის მზე ჩაესვენა.

— გვიმღერეთ! გვიმღერეთ! — აჟრიამულდებოდნენ სტუმრები და მისი ღირსებისთვის შესაფერისი პაუზის შემდეგ, ზოგჯერ დაახლოებით ათი-თორმეტი წუთიც რომ გრძელდებოდა, ის საბოლოოდ დანებდებოდა, მიუბრუნდებოდა ახალგაზრდა აკომპანიმატორს და სწრაფი, კომიკური ხმით ეტყოდა:

— ლა ვიე ენ ღოსე, მი-ბემოლ მინორი. ეცადეთ, გადასვლები არ შეანელოთ.

ბრუნოს სახლში მოწყობილ წვეულებებზე ბებიას სიმღერა ყოველთვის უმთავრესი მოვლენა იყო, თუმცა მას, გაურკვეველი მიზეზის გამო, ემთხვეოდა დედისა და მისი რამდენიმე მეგობრის სამზარეულოში განმარტოება. მამა ყოველთვის რჩებოდა მოსასმენად, ბრუნოც, რომელსაც ყველაზე მეტად სიმღერის დასასრულისკენ ბებიას ხმის აწევისა და შემდეგ სტუმრების აპლოდისმენტებში ჩაძირვის ცქერა მოსწონდა. თანაც ლა ვიე ენ ღოსე ბიჭს ჟრუანტელს გვრიდა და ტანზე ბურძგლავდა.

ბებიას აეკვიატებინა აზრი, რომ ბრუნოს ან გრეტელს სცენაზე მისი ადგილი უნდა დაეკავებინათ, ამიტომ ყოველ შობასა და დაბადების დღეებზე პატარა პიესას გამოიგონებდა ოჯახური ტრიოს მონაწილეობით, რომელსაც დედას, მამას და ბაბუას წარმოუდგენდნენ ხოლმე. პიესებს თავად წერდა და, როგორც ბრუნო ვარაუდობდა, საუკეთესო როლებს თვითონ ირგუნებდა, თუმცა, ბიჭს ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. პიესა აუცილებლად ითვალისწინებდა სიმღერას — „ნუთუ სიმღერას მთხოვთ?“ — ხომ უნდა ეკითხა წინასწარ; ბრუნოს საშუალება ეძლეოდა, ფოკუსები ეჩვენებინა, გრეტელი კი ცეკვავდა. სპექტაკლს ყოველთვის ბრუნო ამთავრებდა დიდი პოეტების რომელიმე გრძელი პოემის კით-

ხვით, რომლის სიტყვები ძალიან რთულად გასაგები ეჩვენებოდა, თუმცა როგორღაც ყოველ მომდევნო წაკითხვასთან ერთად სულ უფრო მეტად სასიამოვნოდ ჟღერდა.

მაგრამ ამ დადგმების მთელი ღირსება ეს არ ყოფილა. განსაკუთრებული ის იყო, რომ ბებია ბრუნოსა და გრეტელისათვის კოსტიუმებს ქმნიდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა როლს თამაშობდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენად ცოტა სიტყვას ამბობდა ამ როლში დასთან თუ ბებიასთან შედარებით, ბრუნო ყოველთვის უფლისწულივით, არაბი შეიხივით, ერთ შემთხვევაში რომაელი გლადიატორივითაც კი იყო გამოწყობილი. ყოველთვის ჰქონდა გვირგვინი, ან თუ გვირგვინი არ სჭირდებოდა, შუბი. თუ არც შუბი იყო, მაშინ იყო მათრახი ან სულაც — ჩალმა. ვერასოდეს გამოიცნობდი, ამჯერად რას მოიგონებდა ბებია. შობამდე ერთი კვირით ადრე კი ბრუნოს და გრეტელს თავის სახლში ყოველდღიური რეპეტიციებისთვის იბარებდა.

სამწუხაროდ, ბოლო სპექტაკლი მარცხით დასრულდა. ბრუნო ახლაც სევდით იხსენებდა იმ საღამოს, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებით ვერ იტყოდა, რამ გამოიწვია კამათი.

ერთი კვირით ან ცოტა მეტით ადრე სახლში ყველა აფორიაქებული დადიოდა, რაც როგორღაც უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ მამას ახლა „კომენდანტოთი“ მიმართავდა ყველა — მარია, მზარეული, მსახურთუხუცესი ლარსი და ჯარისკაცები, რომლებიც ისე მოდიოდნენ და მიდიოდნენ, თითქოს მათი სახლი ყოფილიყოს, ყოველ შემთხვევაში, ბრუნოს ასე ეჩვენებოდა. მღელვარება სულ უფრო მატულობდა. ჯერ ფიური და მშვენიერი ქერა ქალიეწვივნენ სადილად, რის გამოც სახლში ბუზის გაფრენას გაიგონებდით, შემდეგ ეს სიახლე დამკვიდრდა — მამასთვის „კომენდანტის“ წოდება. დედამ ბრუნოს უთხრა, მამას მიულოცეო, და ბიჭმაც შეასრულა,თუმცა, თუ საკუთარ თავთან გულახდილი

იქნებოდა (რასაც ყოველთვის ცდილობდა), წარმოდგენა არ ჰქონდა, რას ულოცავდა.

შობას მამამ გახამებული და გაუთოებული ახალთახალი უნიფორმა ჩაიცვა (რომელიც ახლა ყოველდღე ეცვა) და როდესაც პირველად გამოჩნდა მასში გამოწყობილი, მთელი ოჯახი ტაშით შეეგება. მართლაც რაღაც განსაკუთრებული უნიფორმა იყო — სხვა ჯარისკაცებისგან, რომლებიც მოდიოდნენ და მიდიოდნენ, აშკარად გამოარჩევდა მას და, როგორც ჩანს, ახლა მათაც უფრო მეტად დააფასეს. დედა მამას მიუახლოვდა, აკოცა, უნიფორმას ხელი ჩამოუსვა და შენიშნა, მშვენიერი ქსოვილიაო. ბრუნოზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მორთულობამ მოახდინა; ნებაც კი დართეს, ცოტა ხნით კეპი დაეხურა, ოღონდ, თუ სუფთა ხელები ჰქონდა.

ბაბუა დიდად ამაყობდა შვილის ახალი უნიფორმით, ბებია კი აღმოჩნდა ერთაადერთი ადამიანი, რომელიც არ აღფრთოვანებულა. სადილის შემდეგ, როცა ბრუნოსა და გრეტელთან ერთად სპექტაკლის წარმოდგენა დაასრულა, ის ერთ-ერთ სავარძელში მოწყენილი ჩაეშვა, მამას შეხედა და თავი ისე გაიქნია, თითქოს მისით იმედგაცრუებული ყოფილიყოს.

— გიყურებ და ვერ მივმხვდარვარ, რალფ, რაში შევცდი? — წარმოთქვა მან, — ნუთუ იმ სპექტაკლების ბრალია, ბავშვობაში რომ გათამაშებდი ხოლმე? ამიტომ გამოეწყვე თოკით სამართავი მარიონეტივით?

— არ გინდა, დედა, — უპასუხა მამამ შემწყნარებლური ხმით, — მშვენივრად იცი, ახლა ამის დრო არაა.

— დგახარ აქ მაგ უნიფორმით, — გააგრძელა ბებიამ, — თითქოს ეს რომ გაცვია, ვინმე განსაკუთრებული იყო. სულაც არ გადარდებს, რას ნიშნავს ეს სინამდვილეში, რისი სიმბოლოა.

— ნატალი, ჩვენ ხომ ეს უკვე განვიხილეთ, — ჩააერია ბაბუა, თუმცა ყველას კარგად მოეხსენებოდა — თუ ბებიას რამე სათქმე-

ლი ჰქონდა, აუცილებლად ბოლომდე იტყოდა, მოსწონდა ეს ვინმეს თუ არა.

— შენ განიხილე, მატიას, — უპასუხა ბებიამ, — თითქოს მე ცარიელი კედელი ვიყავი. როგორც ყოველთვის.

— ეს წვეულებაა, დედა, — ამოიოხრა მამამ, — თანაც შობაა. მოდი, ნუ ჩავიმწარებთ საღამოს.

— კარგად მახსოვს, როცა დიდი ომი გაჩაღდა, — ამაყად დაიწყო ბაბუამ, ცეცხლს მისჩერებოდა და თავს აკანტურებდა, — სახლში მოხვედი და გამოგვიცხადე, არმიაში ჩავეწერეო. მაშინ მეგონა, ეს ამბავი ცუდად დასრულდებოდა.

— ცუდადაც დასრულდა, მატიას, — დაიჟინა ბებიამ, — თუ არ გჯერა, შეხედე.

— ახლა კი გიყურებ, — ბაბუა ბებიას ყურადღებას არ აქცევდა, — და ისე ვამაყობ, როცა ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ამაღლებულს გხედავ! შენს ქვეყანას ეხმარები, სიამაყე დაიბრუნოს ამდენი უსამართლობის შემდეგ. დიადი საქმის სახელით...

— გესმის მაინც, რას ამბობ? — დაიყვირა ბებიამ, — ნეტავ გამაგებინა, თქვენ ორში რომელი უფრო სულელია?

— მაგრამ, ნატალი, — დედა შეეცადა, ცოტათი შეერბილებინა დაძაბულობა, — არ მეთანხმებით, რომ რალფს ძალიან უხდება ეს უნიფორმა?

— უხდება? — ბებია წამოიწია და რძალს ისე შეხედა, თითქოს უნდოდა გაეგო, ხომ არ გაგიჟედაო, — უხდებაო, ამბობ? სულელო გოგო! შენი აზრით ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ სამყაროში? მოხდენილობა?

— მე არ მიხდება კონფერანსიეს კოსტიუმი? — იკითხა ბრუნომ. სწორედ ეს კოსტიუმი ეცვა წვეულებაზე იმ ღამით — კონფერანსიეს წითელი და შავი სამოსი — და ძალიანაც მოსწონდა. მაგრამ იმწუთშივე ინანა, რადგან უფროსებმა მაშინვე გამოხედეს მას და გრეტელს, თითქოს დავიწყებოდათ, რომ ისინიც აქ იყვნენ.

— ბავშვებო, მაღლა ადით, — სწრაფად უბრძანა დედამ, — თქვენ-თქვენს ოთახებში.

— რომ არ გვინდა? — გააპროტესტა გრეტელმა, — არ შეიძლება აქ, დაბლა ვითამაშოთ?

— არა, ბავშვებო, — გამკაცრდა დედა, — მაღლა ადით და კარები შეიკეტეთ.

— შენს ჯარისკაცებს მხოლოდ ეს აინტერესებთ, — ბებია ყურადღებას არ აქცევდა ბავშვებს, — ამ კოხტა უნიფორმის მოხდენა. მასში გამოწყობა და შემზარავი, საშინელი რამეების კეთება, შენსავით. მარცხვენ! მაგრამ მე საკუთარ თავს ვადანაშაულებ, რალფ, შენ კი არა.

— ბავშვებო, ახლავე ზემოთ! — ტაში შემოჰკრა დედამ. არჩევანი აღარ დარჩენოდათ, უნდა წამომდგარიყვნენ და დამორჩილებოდნენ.

მაგრამ ოთახებში შესვლის ნაცვლად კარები მიხურეს და კიბის თავზე ჩამოსხდნენ, ცდილობდნენ ყური მიეგდოთ, რას იტყოდნენ დაბლა უფროსები. დედას და მამას ხმა ყრუდ, ძნელად გასარჩევად აღწევდა, ბაბუასი სულ არ ისმოდა, ბებია კი განსაცვიფრებლად მკაფიოდ მეტყველებდა. ბოლოს, რამდენიმე წუთის შემდეგ კარი ხმაურით გაიღო და ბავშვებმა კიბეები აირბინეს, სანამ ბებია დერეფანში საკიდთან მივიდოდა და პალტოს მოხსნიდა.

— მრცხვენია! — დაიყვირა მან წასვლამდე, — რომ ჩემი შვილი უნდა იყოს...

— პატრიოტი! — დაიღრიალა მამამ, ეტყობა არასოდეს უსწავლია წესი, რომ დედას არ უნდა გააწყვეტინო.

— ჰო, აბა, პატრიოტი! — მიაძახა მან, — ვინ აღარ სადილობს ამ სახლში. ცუდად ვხდები, რომ მახსენდება. ამ ფორმაში რომ გხედავ, მინდა, თვალები დავითხარო! — დააყოლა, სახლიდან გავარდა და კარგი მოიჯახუნა.

მას შემდეგ ბრუნოს ბებია აღაარ უნახავს და არც იმის საშუალება ჰქონია, აუვიცში წამოსვლამდე დამშვიდობებოდა, მაგრამ ძალიან ენატრებოდა და გადაწყვიტა, წერილი მიეწერა.

ერთ დღესაც დაჯდა, აიღო კალამი და მოუყვა, როგორი უბედური იყო იქ და როგორ უნდოდა დაბრუნება უკან, ბერლინში. უამბო სახლზე და ბაღზე, გრძელ, აბრიან სკამსა და მაღალ მესერზე, ხის სატელეგრაფო ბოძების მსგავს საგუშაგოებზე, სპირალისებურად დახვეულ ეკლიან მავთულზე და გაქვავებულ მიწაზე მათ მიღმა, ქოხმახებსა და მომცრო შენობებზე, საკვამურებსა და ჯარისკაცებზე, მაგრამ ყველაზე მეტი იმ ადამიანებზე მისწერა, ვინც იქ ცხოვრობდა, მათ ზოლიან პიჟამებსა და ნაჭრის ქუდებზე; ბოლოს დაამატა, როგორ ენატრებოდა და წერილს ხელი ასე მოაწერა: შენი მოყვარული შვილიშვილი, ბრუნო.

ბრუნოს გაახსენდა, რომ გამოძიება უყვარდა

აუვიცში არაფერი იცვლებოდა.

ბრუნო ისევ ცდილობდა, შეჰგუებოდა გრეტელს, რომელიც არამეგობრულად და უხეშად ექცეოდა ყოველთვის, როცა ცუდ გუნებაზე იყო, ეს კი უფრო ხშირად ხდებოდა, ვიდრე პირიქით — ის ხომ უიმედო შემთხვევა იყო.

ისევ ოცნებობდა უკან, ბერლინში დაბრუნებულიყო, თუმცა ძველ სახლზე მოგონებები თანდათან უფერმკრთალდებოდა და, მართალია, უკვე რამდენიმე კვირა იყო, კიდევ ერთი წერილის მიწერას ფიქრობდა ბებიასა და ბაბუასთვის, მაგრამ დასაწერად მაინც ვერ ჯდებოდა.

ჯარისკაცები ისევ მოდიოდნენ და მიდიოდნენ, კვირაში შვიდი დღე, თათბირობდნენ მამას კაბინეტში, რომელში შესვლაც ისევ აკრძალული იყო ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე. ლეიტენანტი კოტლერი ისევ ისე დააბიჯებდა ირგვლივ თავისი შავი ჩექმებით, თითქოს ამქვეყნად მასზე მნიშვნელოვანი არავინ ყოფილიყოს და როცა მამას არ ახლდა, სახლის წინ გზაზე იდგა და გრეტელს ელაპარაკებოდა, რომელიც კვლავ ისტერიკულად იცინოდა და თმას თითზე იხვევდა, ან დედასთაან ერთად ჩურჩულით განიხილავდა ოთახში რაღაცებს.

მსახურები ისევ მოდიოდნენ და რეცხავდნენ, გვიდნენ, ამზადებდნენ საჭმელს, აპრიალებდნენ ნივთებს, ემსახურებოდნენ მაგიდას, გაჰქონდათ ნაგავი და მდუმარედ იყვნენ, თუ არ მიმართავდი. მარია დროის უმეტეს ნაწილს ისევ ნივთების დალაგებას ანდომებდა და ამოწმებდა, რომ ნებისმიერი ტანსაცმელი, რომელიც ბრუნოს ზედ არ ეცვა, ფაქიზად დაკეცილი დებულიყო მის გარდერობში. პაველიც ყოველ შუადღეს მოდიოდა სახლში კარტოფილისა და სტაფილოს საფხეკად, შემდეგ თავის თეთრ სმოკინგს იცვამდა და სადილისას მაგიდას ემსახურებოდა (ხანდახან

ბრუნო ხედავდა, რომ პაველი მისი მუხლისკენ აპარებდა თვალს, სადაც ადვილად შეიმჩნეოდა საქანელასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევის სამახსოვრო პატარა ნაიარევი, თუმცა მას მერე აღარასოდეს გამოლაპარაკებიან ერთმანეთს).

შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მამამ გადაწყვიტა, დროა, ბავშვები სწავლას დაუბრუნდნენო. ბრუნოს სასაცილოდ ეჩვენებოდა „სკოლა“, რომელსაც მხოლოდ ორი მოსწავლე ეყოლებოდა. მიუხედავად ამისა, მშობლები შეთანხმდნენ, რომ შინ კერძო მასწავლებელი ივლიდა ყოველდღიურად და დილიდან შუადღემდე ამეცადინებდა. რამდენიმე დღის შემდეგ კაცი, სახელად ჰერ ლისტი შემოგრუხუნდა თავისი დანჯღრეული ბონშეიქერით და ისევ დაიწყო სასკოლო ტანჯვა. ჰერ ლისტი ბრუნოსთვის გამოცანას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველთვის მეგობრულად ექცეოდა და განსხვავებით ძველი მასწავლებლისგან მასზე ხელი არასოდეს აუწევია, მის თვალებში ბრუნო ამჩნევდა, რომ ჩაბუდებული ბრაზი ასაფეთქებლად საჭირო დროს ელოდა.

ჰერ ლისტს განსაკუთრებით ისტორია და გეოგრაფია უყვარდა, ბრუნოს კი ლიტერატურა და ხელოვნება ერჩივნა.

— ეგ საგნები არ გამოგადგება, — უმეორებდა ლისტი, — ჩვენს დროში სოციალური მეცნიერებების საფუძვლიანი შესწავლა გიჯობს.

— ბერლინში ბებია ყოველთვის გვაძლევდა უფლებას, სპექტაკლები დაგვედგა, — შენიშნა ბრუნომ.

— მაგრამ ის თქვენი ბებია იყო და არა მასწავლებელი, ხომ მართალია? — შეეკითხა ჰერ ლისტი, — ის ბებია იყო. მე კი თქვენი მასწავლებელი ვარ, ამიტომ იმ საგნებს ისწავლით, რომლებიც მე მიმაჩნია მნიშვნელოვნად და არა იმათ, რომლებიც თვითონ მოგწონთ.

— მაგრამ განა წიგნები მნიშვნელოვანი არ არის? — დაიბნა ბრუნო.

— წიგნები, რომლებიც გარესამყაროს ეხება, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, — აუხსნა ჰერ ლისტმა, — მაგრამ არა ის წიგნები, რომლებშიც გამოგონილი სამყაროებია აღწერილი, ან მოვლენები, რომლებიც არასოდეს მომხდარა. რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ ისტორიას, ყმაწვილო (მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლეიტენანტი კოტლერისგან განსხვავებით, ჰერ ლისტი ბრუნოს პაველივით ზრდილობიანი „ყმაწვილოთი“ მიმართავდა.)?

— ვიცი, რომ დავიბადე თხუთმეტ აპრილს, ათას ცხრაას ოცდათოთხმეტ...

— შენი ისტორია არა, — შეაწყვეტინა ჰერ ლისტმა, — ბიოგრაფია არ მიგულისხმია. მხედველობაში მქონდა ისტორია იმისა, ვინ ხარ, შენი წარმოშობის ამბავი. ოჯახური მემკვიდრეობა. მამული.

ბრუნომ შუბლი შეიჭმუხნა და დაფიქრდა. დარწმუნებული არ იყო, ფლობდა თუ არა საერთოდ მამამისი მიწას, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის სახლი დიდი და კომფორტული იყო, ბაღი მომცრო ჰქონდა. თანაც საკმაოდ დიდი ბიჭი იყო და ხვდებოდა — აუვიცი მათ არ ეკუთვნოდათ.

— არც ისე ბევრი, — აღიარა ბოლოს, — თუმცა რაღაცები ვიცი შუა საუკუნეებზე. მომწონს ისტორიები რაინდებზე, თავგადასავლებსა და აღმოჩენებზე.

ჰერ ლისტმა კბილებში რაღაც გამოსცრა და თავი გაბრაზებით გაიქნია.

— მაშ, ეს სწორედ ისაა, რაც უნდა შევცვალო, — წარმოთქვა ავისმომასწავებელი ხმით, — შენი გონება სათავგადასავლო წიგნებს მოვაშორო და მეტი გასწავლო შენს წარსულზე. იმ უსამართლობებზე, რაც შენს მიმართ ჩაიდინეს.

საკმაოდ ნასიამოვნებმა ბრუნომ თავი დაუქნია; დაასკვნა, რომ როგორც იქნა აუხსნიდნენ, რატომ გახდნენ ყველანი იძულებულნი, დაეტოვებინათ კომფორტული სახლი და ამ საშინელ ადგილას გადმოსახლებულიყვნენ, რაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მის მიმართ ჩადენილ ყველაზე დიდ უსამართლობად მიაჩნდა.

რამდენიმე დღის შემდეგ, საკუთარ ოთახში მარტო მჯდარმა ბრუნომიმის გახსენება სცადა, რისი კეთება უყვარდა ძველ სახლში და რა აღარ ხერხდებოდა აქ, აუვიცში გადმოსვლის შემდეგ. უმეტესობა შეუძლებელი იმის გამო იყო, რომ აღარ ჰყავდა მეგობრები, ვისაც ეთამაშებოდა, გრეტელი ხომ არ კადრულობდა! მაგრამ რჩებოდა ერთი რამ, რასაც მარტოც ახერხებდა და რასაც ხშირად აკეთებდა ბერლინში — გამოძიება.

„როცა პატარა ვიყავი, — უთხრა თავის თავს ბრუნომ, — კვლევა-ძიება მიყვარდა. თანაც, ამას ვახერხებდი ბერლინში, სადაც ყველაფერს ვიცნობდი და ნებისმიერ რამეს თვალახვეულიც კი ვიპოვიდი. აქ კი არასოდეს მიცდია რამე აღმომეჩინა. იქნებ დროა, დავიწყო?“

გადაფიქრება რომ ვერ მოესწრო, მაშინვე საწოლიდან ჩამოხტა და გარდერობი გადაჩხრიკა ძველი პალტოსა და ჩექმების საპოვნელად — ეს ის ტანსაცმელი იყო, რომელიც, მისი აზრით, ნამდვილ მკვლევარს უნდა სცმოდა. ბრუნო სახლიდან გასასვლელად ემზადებოდა.

სახლში არანაირ კვლევას აზრი არ ჰქონდა. ეს შენობა არაფრით ჰგავდა ბერლინის სახლს, რომელსაც, როგორც ბრუნოს ახსოვდა, ასობით ბზარი და კუთხე-კუნჭული ამშვენებდა, იდუმალი პატარა ოთახები, რომ აღარაფერი ვთქვათ ხუთ სართულზე, თუ სარდაფსა და პატარა ოთახსაც მიათვლიდით, სხვენზე, დახრილი ფანჯრებით, თითის წვერებზე აწევა რომ სჭირდებოდა მათში გასახედად და თითქმის მთელი ბერლინის დასანახად. ერთი სიტ-

ყვით, ეს გამოკვლევებისთვის უვარგისი სახლი იყო. თუ რამის აღმოჩენა შეიძლებოდა — გარეთ.

უკვე თვეების განმავლობაში უმზერდა ბრუნო თავისი საძინებლის ფანჯრიდან ბაღს და აბრიან გრძელ სკამს, მაღალ მესერსა და ხის „სატელეგრაფო ბოძებს“ და იმ ყველაფერს, რაზეც ცოტა ხნის წინ ბებიას მისწერა. მაგრამ რამდენიც უნდა ეყურებინა ამ ხალხისთვის, ამ უამრავი განსხვავებული ადამიანისთვის ერთნაირ ზოლიან პიჟამებში, არასოდეს დაინტერესებულა, მაინც რა ხდებოდა იქ.

სრულიად სხვა ქალაქივით აღიქვამდა, რომელშიც ხალხი ერთად ცხოვრობდა და გვერდიგვერდ მუშაობდა, მაგრამ ეს ყველაფერი მის ახალ სახლთან ხდებოდა. ნეტავ, მართლა ასე განსხვავდებოდნენ მათგან? ბანაკში ყველას ერთნაირად ეცვა — პიჟამები და ზოლიანი ნაჭრის ქუდები; ის ხალხი კი, ვინც მის სახლში დაეხეტებოდა (დედას, გრეტელისა და მისი გამოკლებით) სხვადასხვა ხარისხისა და მორთულობის სამხედრო უნიფორმებში იყო გამოწყობილი, კეპები და ჩაფხუტები ეხურათ, ნათელი შავ-წითელი სამკლაურები შემოეხვიათ, დაჰქონდათ იარაღი და მეტისმეტად მკაცრად გამოიყურებოდნენ, თითქოს ქვეყნად მათზე მნიშვნელოვანი არავინ ყოფილიყო და ამაში დაეჭვების უფლებაც კი არავის ჰქონოდა.

„სახელდობრ რაში მდგომარეობს განსხვავება? — ეკითხებოდა თავს, — ვინ წყვეტს, ვის უნდა ეცვას ზოლიანი პიჟამა და ვის — სამხედრო უნიფორმა?“

რასაკვირველია, ზოგჯერ ეს ორი ჯგუფი ერთმანეთს შეერეოდა ხოლმე. ბიჭი ხშირად ხედავდა ღობის აქეთა ადამიანებს ღობის იქით და დაკვირვებითაც ნათლად არჩევდა — ისინი უფროსობდნენ. როგორც კი ჯარისკაცები მიუახლოვდებოდნენ, პიჟამიანი ხალხი მწკრივში გამოიჭიმებოდა, ზოგჯერ მიწაზეც ეცე-

მოდნენ და ვეღარ დგებოდნენ — დაცემულს სხვები მიათრევ-დნენ.

„სასაცილოა, რომ ამ ხალხით არასოდეს დავინტერესებულ-ვარ, — გაიფიქრა ბრუნომ, — და სასაცილოა, რომ ჯარისკაცები სულ იქ დადიან, — რამდენჯერმე მამაც დაინახა იქით წასული, — მაგრამ არც ერთი „ზოლიანი“ არასოდეს დაუპატიჟებიათ სახ-ლში“.

ხშირად არა, მაგრამ ზოგჯერ, რამდენიმე ჯარისკაცი სადილად რჩებოდა. ასეთ შემთხვევებში მაგიდასთან უამრავი ქაფიანი სას-მელი მოჰქონდათ და როგორც კი გრეტელი და ბრუნო უკანას-კნელ ლუკმას ჩაიდებდნენ პირში, მაშინვე საკუთარ ოთახებში აგზავნიდნენ, ქვემოდან კი დიდი ხმაური და საზარელი სიმღერე-ბი მოისმოდა. ცხადი იყო, დედას და მამას ჯარისკაცების კამპანია სიამოვნებდათ (ამაზე ბრუნოს დაფიცებაც კი შეეძლო), მაგრამ არც ერთი ზოლიანპიჟამიანი სადილად არასოდეს მოუწვევიათ.

შენობიდან გასვლისთანავე ბრუნომ სახლის უკან შეუხვია და თავისი საძინებლის ფანჯარას ახედა, რომელიც ქვემოდან არც ისე მაღალი მოჩანდა. „ალბათ, იქიდან რომ გადმოხტე, ძალიან არ დაიმტვრევი“, — აღნიშნა თავისთვის, თუმცა წარმოდგენაც არ ჰქონდა, რას უნდა ეიძულებინა ასე იდიოტურად მოქცეულიყო. იქნებ, თუ სახლში ცეცხლი გაჩნდებოდა და ის ზემოთ მოემწყვდე-ოდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ძალიან სარისკო საქციელად ეჩ-ვენებოდა.

მარჯვნივ გაიხედა, სადამდეც თვალი გასწვდებოდა. მზის სი-ნათლეზე ისე ჩანდა, თითქოს მესერი დაუსრულებლად გრძელ-დებოდა. ეს ბრუნოს ახარებდა, რადგან არ იცოდა, რა იმალებო-და მის მიღმა, რაც თავის მხრივ იმას ნიშნავდა, რომ შეეძლო გა-ესეირნა და გაეგო. სწორედ ეს იყო თავისი არსით ძიება (ჰერ ლისტისგან ისტორიის გაკვეთილზე კარგი რამეები მაინც ესწავ-ლა: ქრისტეფორე კოლუმბისა და ამერიგო ვესპუჩის მსგავსი

ადამიანების შესახებ; ხალხმა, რომლებსაც ასეთი თავგადასავლებით აღსავსეცხოვრება ჰქონდათ, ამხოლოდ განამტკიცეს ბრუნოს გადაწყვეტილება, მათ დამსგავსებოდა, როცა გაიზრდებოდა).

მიუხედავად ამისა, იქით წასვლამდე ჯერ ერთი რამ უნდა გამოეკვლია — სკამი. მთელი ეს თვეები შორიდან აკვირდებოდა მას, უყურებდა მის აბრას და თავისთვის „აბრიან სკამს“ ეძახდა,მაგრამ წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ეწერა მასზე. იმაში დასარწმუნებლად, რომ ახლომახლო არავინ მოდიოდა, ჯერ მეაარჯვნივ გაიხედა, მერე მარცხნივ, სკამთან მიირბინა და სიტყვებისკენ თვალი ალმაცერად გააპარა. აბრა პატარა იყო, ბრინჯაოსი, მისი ტექსტი ბრუნომ ხმადაბლა წაიკითხა.

„დამონტაჟებული აუვიცის, — ამ სახელის ამოკითხვა გაუჭირდა, ამიტომ ისე წარმოთქვა, როგორც ესმოდა — ბანაკის გახსნის პატივსაცემად, ათას ცხრაას ორმოცი წლის ივნისი“.

ხელი გაიწოდა და შეეხო. ბრინჯაო ძალიან ცივი აღმოჩნდა, ამიტომ თითები მაშინვე უკან გასწია, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა და გზა განაგრძო. ცდილობდა, არ ეფიქრა იმაზე, რომ მამამაც და დედამაც უთვალავჯერ აუკრძალეს იქით სეირნობა; ეუბნებოდნენ, რომ უფლება არ ჰქონდა, ბანაკის ღობეს მიახლოვებოდა. განსაკუთრებით შენი გამოძიებებია აუვიცში აკრძალულიო.

ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

წერტილი ლაქად იქცა, ლაქა - წვეთად, წვეთი - ფიგურად, ფიგურა - ბიჭუნად

მესრის გასწვრივ სეირნობას უფრო მეტი ხანი დასჭირდა, ვიდრე ბრუნო მოელოდა; ეტყობოდა, რამდენიმე კილომეტრის მანძილზე იყო გადაჭიმული. ბიჭი მიაბიჯებდა და მიაბიჯებდა, უკან მოხედვისას სახლი, რომელშიც ცხოვრობდა სულ უფრო პატარა მოჩანდა, ბოლოს კი საერთოდ გაქრა თვალთახედვიდან. მთელი ამ დროის განმავლობაში მესრის ახლომახლო არავინ დაუნახავს; არც შიგნით შესასვლელი კარი უპოვია და უკვე სასოწარკვეთილი ფიქრობდა, ჩემი გამოძიება სრულიად უშედეგოდ დასრულდებაო. მიუხედავად იმისა, რომ მესერი თვალუწვდენლად შორს გრძელდებოდა, ქოხმახები, დაბალი შენობები და საკვამური მილები ზურგსუკან გაუჩინარდა და, ალბათ, ახლა მესერს იქით აღარაფერი უნდა ყოფილიყო.

დაახლოებით ერთი საათი სიარულის შემდეგ ბრუნოს მოშივდა და იფიქრა, დღეისთვის გამოძიება ხომ არ მეკმარა, მგონი სჯობს, უკან დავბრუნდეო. მაგრამ სწორედ იმ წუთას წერტილი გამოჩნდა. ბიჭმა თვალები მოჭუტა, რომ როგორმე გაერჩია, რას ხედავდა. ერთი წიგნი გაახსენდა, რომელშიც კაცი დაიკარგა უდაბნოში და რადგან რამდენიმე დღის განმავლობაში საჭმელი და სასმელი არ უგემია, საწყალს ჰალუცინაციები დაეწყო — შესანიშნავ რესტორნებსა და უზარმაზარ შადრევნებს ხედავდა, მაგრამ როგორც კი ეცდებოდა შეეჭამა ან დაელია, ისინი უჩინარდებოდა და პეშვში მხოლოდ ქვიშა რჩებოდა. ბრუნო შეფიქრიანდა, მეც ასე ხომ არ მემართებაო.

ჩაფიქრებული, გაუცნობიერებლად აგრძელებდა გზას, ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათან უახლოვდებოდა შორეულ წერტილს , რომელიც ამასობაში ლაქასავით გაიზარდა, შემდეგ კი ნელ-ნელა ბლანტი წვეთის სახე მიიღო. მალე წვეთი ფიგურის ფორმად გა-

იდღაბნა, მერე კი, როცა ბრუნო კიდევ უფრო ახლოს მივიდა, გაარჩია, რომ ეს რაღაც არც წერტილი იყო, არც ლაქა, არც წვეთი და არც ფიგურა — ადამიანი იყო.

უფრო ზუსტად, ბიჭუნა.

ბრუნოს საკმაო რაოდენობის წიგნები ჰქონდა წაკითხული გამოძიებაზე და იცოდა — წინასწარ ვერასოდეს გამოიცნობ, რას აღმოაჩენ. მაძიებლები უმეტესად შემთხვევით გადააწყდებოდნენ ხოლმე რაიმე ღირებულს, რომელიც მუდამ არსებობდა ერთ ადგილას, თავისი საქმით იყო დაკავებული და ამერიკასავით აღმოჩენას ელოდა. ზოგჯერ კი ისეთ რამეს იპოვიდნენ ხოლმე, ჯობდა არც მიკარებოდი (მაგალითად, მკვდარ თაგვს განჯინის უკან).

ბიჭი პირველ კატეგორიას ეკუთვნოდა. ის უბრალოდ იჯდა იქ, საკუთარი საქმით გართული და ელოდა, როდის აღმოაჩენდნენ.

ბრუნომ მას შემდეგ შეანელა ნაბიჯი, რაც მის თვალწინ წერტილი, რომელიც ლაქასავით გაიზარდა, გადაიქცა წვეთად, ფიგურად გაიდღაბნა და შემდეგ ადამიანი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ მესერი აშორებდათ, ბიჭმა იცოდა — უცნობებთან წინდახედულებაა საჭირო და უკეთესია, ფრთხილად მიუახლოვდე მათ, ამიტომ ნელა გააგრძელა სვლა და მალე ბიჭუნას პირისპირ აღმოჩნდა.

— გამარჯობა, — მიესალმა ბრუნო.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ბიჭმა.

ბიჭუნა ბრუნოზე პატარა უნდა ყოფილიყო; საწყალი გამომეტყველებით იჯდა პირდაპირ მიწაზე. მასაც ის ზოლიანი პიჟამა ეცვა, რაც სხვებს იმ მავთულხლართის ღობის იქით, და ზოლიანი ნაჭრის ქუდი ეხურა. არც წინდები ეცვა და არც ფეხსაცმელები, ამიტომ ფეხები გვარიანად გასჭუჭყიანებოდა. მკლავზე სამკლაური ეხვია, ზედ აღნიშნული უცნაური ვარსკვლავით.

ბრუნო რომ მიუახლოვდა, ბიჭს მიწაზე ფეხი მოერთხა და ფეხებშორის მტვერს დაჰყურებდა. წუთის შემდეგ ამოიხედა და ბრუ-

ნომ მისი სახე დაინახა. სახეც საკმაოდ უცნაური ჰქონდა: კანი — თითქმის ნაცრისფერი, მაგრამ ეს რუხის არც ერთ იმ ტონალობას არ ჰგავდა, რომელიც ბრუნოს ოდესმე ენახა. ძალიან დიდი თვალები ჰქონდა, კარამელის კანფეტის ფერისა, ხოლო სკლერა — კაშკაშა თეთრი, და როდესაც ბიჭმა შეხედა, ბრუნოს მოეჩვენა, რომ ვეღარაფერს ხედავდა ორი უზარმაზარი, სევდიანი თვალის გარდა.

მას ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ცხოვრებაში ასეთი გამხდარი და სევდიანი ბიჭი არასოდეს ენახა; გადაწყვიტა, მაინც გამოლაპარაკებოდა.

— აქაურობას ვიძიებდი, — თქვა მან.

— მართლა? — უპასუხა პატარა ბიჭმა.

— ჰო. უკვე ორი საათი იქნება.

ეს მთლად სიმართლე არ იყო — საათზე მეტი არ იქნებოდა, რაც ბრუნო დასეირნობდა, მაგრამ მცირედი გაზვიადება არც ისე დიდ ბოროტებად ეჩვენებოდა. მთლად ხომ არ იტყუებოდა? თან ასე თავი უფრო მეტად გამბედავი ეგონა, ვიდრე სინამდვილეში იყო.

— იპოვე რამე? — ჰკითხა ბიჭმა.

— თითქმის არა.

— სულ არაფერი?

— სინამდვილეში, შენ გიპოვე, — წუთის დაყოვნების შემდეგ აღიარა ბრუნომ.

ბიჭს დააკვირდა და მოუნდა, ეკითხა, რატომ ჰქონდა ასეთი სევდიანი შესახედაობა, მაგრამ შეყოყმანდა — არ სურდა, უზრდელურად გამოსვლოდა. იცოდა, რომ ზოგჯერ, დანაღვლიანებულ ადამიანებს არ სიამოვნებთ, როცა ამის შესახებ ეკითხებიან; ზოგჯერ პირიქით — თვითონ საუბრობენ ამ თემაზე, ზოგჯერ კი თვეების განმავლობაშიც არ ასრულებენ საუბარს, ჰოდა, გადაწყვიტა, კარგად მოეფიქრებინა სათქმელი. როგორც იქნა, რაღაც

აღმოაჩინა თავისი გამოძიებით, და ახლა, როდესაც ბოლოსდა-ბოლოს ღობის მეორე მხარის წარმომადგენელს ესაუბრებოდა, შემთხვევითუნდა ესარგებლა და მეტი გაეგო მათ შესახებ.

ბრუნო ღობის აქეთა მხარეს მიწაზე დაჯდა, ფეხები მანაც ბიჭი-ვით გადააჯვარედინა და ინატრა, ნეტავ, თან შოკოლადი ან ნამ-ცხვარი მქონოდა წამოღებული, რომ ერთად გვეჭამაო.

— მე ამ ღობის იქითა სახლში ვცხოვრობ, — წამოიწყო საუბა-რი.

— მართლა? ერთხელ შორიდან დავინახე სახლი, მაგრამ შენ არ დამინახიხარ.

— ჩემი საძინებელი მეორე სართულზეა, — განაგრძო ბრუნომ, — იქიდან ვხედავ, რა ხდება ღობის ემეორე მხარეს. ჰო, მართლა, მე ბრუნო მქვია.

— მე — შმუელი, — უპასუხა პატარა ბიჭმა.

ბრუნომ კოპები შეიკრა, დაეჭვდა, სწორად გაიგო თუ არა ბი-ჭის ნათქვამი.

— როგორ თქვი, რა მქვიაო?

— შმუელი, — ისე თქვა ბიჭმა, გეგონება მთელ მსოფლიოში ყველაზე ბუნებრივი სახელი რქმეოდა, — როგორ თქვი, შენ რა გქვია?

— ბრუნო, — უპასუხა ბრუნომ.

— არასოდეს გამიგია ასეთი სახელი, — გაიკვირვა შმუელმა.

— მე კი შენი სახელი არ გამიგია არასოდეს, — უპასუხა ბრუ-ნომ, — შმუელი, — წარმოთქვა და ჩაფიქრდა, მერე ისევ გაიმეორა — შმუელი. მომწონს, როგორც ჟღერს — შმუელი. ისე ისმის, თით-ქოს ქარი ქროდეს.

— ბრუნო, — თქვა შმუელმა და გახალისებულმა თავი დაუქნია, — მგონი, მეც მომწონს შენი სახელი. ისე ჟღერს, თითქოს ვიღაც ხახუნით ითბობდეს ხელებს.

— არასოდეს შევხვედრივარ ადამიანს, რომელსაც შმუელი ერქმეოდა, — თქვა ბრუნომ.

— უამრავი შმუელია ღობის აქეთა მხარეს, — უპასუხა ბიჭმა, — შეიძლება ასობითაც. ნეტავ სრულიად განსხვავებული სახელი მქონოდა.

— არც ისეთ ადამიანს შევხვედრივარ, ბრუნო რომ რქმეოდა, — განაგრძო ბრუნომ, — რასაკვირველია, ჩემ გარდა. მე მგონი, ერთადერთი ვარ.

— იღბლიანი ყოფილხარ, — შენიშნა შმუელმა.

— მგონი, ჰო. რამდენი წლის ხარ?

დშმუელი დაფიქრდა. თავის თითებს დახედა და ისე აამოძრავა, თითქოს დათვლას ცდილობდა.

— ცხრა წლის ვარ, — თქვა ბოლოს, — ათას ცხრაას ოცდათოთხმეტი წლის თხუთმეტ აპრილს დავიბადე.

ბრუნო განცვიფრებით მიაჩერდა.

— რა თქვი?

— რა და, ჩემი დაბადების დღე ათას ცხრაას ოცდათოთხმეტი წლის თხუთმეტი აპრილია.

ბრუნოს თვალები გაუფართოვდა და პირი დააღო.

— შეუძლებელია.

-რატომ? — ჰკითხა შმუელმა.

— არა, — ბრუნომ თავი გაიქნია, — იმას კი არ ვგულისხმობ, რომ შენი არ მჯერა. იმას ვგულისხმობდი, რომ განცვიფრებული ვარ, სულ ესაა. იმიტომ, რომ ჩემი დაბადების დღეც თხუთმეტი აპრილია. მეც ათას ცხრაას ოცდათოთხმეტში დავიბადე. ერთ დღეს გავჩნდით.

შმუელი დაფიქრდა: — ესე იგი, შენც ცხრა წლის ხარ?

— ჰო. რა უცნაურია, არა?

— ძალიან უცნაურია, — დაეთანხმა შმუელი, — იმიტომ რომ, მართალია, ღობის აქეთ უამრავი შმუელია, მაგრამ არასოდეს

შემხვედრია ადამიანი, რომელიც იმავე დღესაა დაბადებული, რომელსაც მე.

— ტყუპებს ვგავართ, — თქვა ბრუნომ.

— ჰო, ცოტათი, — დაეთანხმა შმუელი.

მოულოდნელად ბრუნომ ბედნიერება იგრძნო. თვალწინ კარლი, დანიელი და მარტინი დაუდგნენ — თავისი სამი საუკეთესო მეგობარი მთელი ცხოვრების განმავლობაში; გაახსენდა, რამდენს მხიარულობდნენ ერთად ბერლინში და გააცნობიერა, თურმე როგორი მარტოსული იყო აუვიცში.

— ბევრი მეგობარი გყავს? — პასუხის მოლოდინში ღობისკენ კისერიც კი წაიგრძელა.

— უჰ! ჰო, საკმაოდ.

ბრუნო მოიღუშა. იმედი ჰქონდა, რომ შმუელი უარყოფით პასუხს გასცემდა და რაღაც საერთო კიდევ აღმოაჩნდებოდათ.

— ახლო მეგობრები?

— არა, არც ისე ახლო, — თქვა შმუელმა, — მაგრამ აქ უამრავი ბავშვია — ჩვენი ასაკის ბიჭებს ვგულისხმობ. თუმცა ხშირად ვჩხუბობთ. ამიტომაც მოვდივარ ხოლმე აქ. მარტო რომ დავრჩე.

— რა უსამართლობაა, — განაწყენდა ბრუნო, — ვერ ვხვდები, რატომ ვარ გამოკეტილი ღობის აქეთ, სადაც არავინაა, ვისაც დაელაპარაკები, ეთამაშები. შენ კი უამრავი მეგობარი გყავს და, ალბათ, მთელ დღეებსთამაშში ატარებ. მამას უნდა დაველაპარაკო ამაზე.

— საიდან ჩამოხვედი? — თვალები მოჭუტა შმუელმა და ცნობისმოყვარედ შეათვალიერა ბრუნო.

— ბერლინიდან.

— ეგ სადაა?

ბრუნომ საპასუხოდ პირი დააღო, თუმცა მიხვდა, რომ არ იცოდა, რა ეთქვა.

— რა თქმა უნდა, გერმანიაში. შენ რა, გერმანელი არ ხარ?

— არა, პოლონელი ვარ.

ბრუნომ შუბლი შეიკრა.

— მაშინ გერმანულად რატომ ლაპარაკობ?

— შენ ხომ გერმანულად მომესალმე. მეც ამიტომ გიპასუხე გერმანულად. შენ იცი პოლონური?

— არა, — ნერვიულად გაიცინა ბრუნომ, — და არავის ვიცნობ, ორ ენაზე რომ ლაპარაკობდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენხელას.

— დედა ჩვენი სკოლის მასწავლებელია. მან მასწავლა გერმანული,— აუხსნა შმუელმა, — ფრანგულიც იცის. იტალიურიც და ინგლისურიც. ძალიან ჭკვიანია. მე ჯერ ვერ ვლაპარაკობ ფრანგულად და იტალიურად, მაგრამ დედა ამბობს, ერთხელაც ინგლისურს გასწავლი, რადგან შეიძლება ოდესმე დაგჭირდესო.

— პოლონეთი, — ფიქრიანად წარმოთქვა ბრუნომ, თითქოს სიტყვას ენის წვერით წონიდა, — გერმანიასავით კარგი არ არის, ხომ?

— ვითომ რატომ? —მოიღუშა შმუელი.

— იმიტომ, რომ გერმანია ყველაზე დიდებული ქვეყანაა, — გაიმეორა ბრუნომ სიტყვები, რომლებიც ხშირად მოუსმენია ბაბუასთან კამათში გართული მამისგან, — ჩვენ უზენაესნი ვართ.

შმუელმა შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ბრუნოს ძაალიან მოუნდა, საუბრის თემა შეეცვალა, რადგან სიტყვები, რომლებიც გაიმეორა, თვითონაც არ ეჩვენებოდა დიდად მართებულად და სულაც არ უნდოდა, შმუელს ბოროტი ჰგონებოდა.

— მაინც სადაა პოლონეთი? — ჰკითხა რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ.

— ევროპაში, — უპასუხა შმუელმა.

ბრუნომ სცადა, გაეხსენებინა ქვეყნები, რომლებიც ახლახან ისწავლა ჰერ ლისტისგან გეოგრაფიის გაკვეთილზე.

— დანია გაგიგია? — ჰკითხა მან.

— არა.

— ჩემი აზრით, პოლონეთი დანიაშია, — რაც უფრო მეტად ცდილობდა, ჭკვიანურად ესაუბრა, მით უფრო ერეოდა თავგზა ბრუნოს, — აქედან უამრავი კილომეტრის მოშორებით, — დაამატა მეტი დამაჯერებლობისთვის.

შმუელი წუთით მიაჩერდა და საპასუხოდ პირი გააღო, თუმცა ორჯერ დახურა, როგორც ჩანს, სიტყვებს ფრთხილად არჩევდა.

— მაგრამ ჩვენ ხომ პოლონეთში ვართ! — თქვა მან ბოლოს.

— დარწმუნებული ხარ?

— რა თქმა უნდა. დანია კი, ალბათ, ძალიან შორსაა პოლონეთისგანაც და გერმანიისგანაც.

ბრუნო მოიღუშა. ქვეყნებზე ბევრი სმენოდა, მაგრამ ვერასოდეს იმახსოვრებდა მათ განლაგებას.

— ჰო, კარგი, — დანებდა ბოლოს, — მაგრამ ყველაფერი შედარებითია, არა? მანძილს ვგულისხმობ.

ნატრობდა, თემა შეეცვალათ, რადგან გრძნობდა, რომ ცდებოდა და გულში გადაწყვიტა, მომავალში მეტი ყურადღება დაეთმო გეოგრაფიისთვის.

— ბერლინში არასოდეს ვყოფილვარ, — უთხრა შმუელმა.

— მეც, მგონი, არასოდეს ვყოფილვარ პოლონეთში, აქ ჩამოსვლამდე, — ახლა კი სიმართლეს ამბობდა, — ანუ, თუ ეს მართლა პოლონეთია.

— დარწმუნებული ვარ, რომ არის, — ხმადაბლა თქვა შმუელმა, — თუმცა ეს მისი საუკეთესო ნაწილი ნამდვილად არაა.

— არა.

— მე სადაც დავიბადე, აქაურობაზე ბევრად მშვენიერი იყო.

— ბერლინზე მშვენიერი ნამდვილად ვერ იქნებოდა, — შეეკამათა ბრუნო, — ბერლინში დიდი სახლი გვქონდა, ხუთი სართულით, ყთუ სარდაფსა და სხვენის პატარა ოთახსაც მიათვლიდი. იქ იყო მშვენიერი ქუჩები და მაღაზიები, ხილისა და ბოსტნეულის დახლები და უამრავი კაფე. მაგრამ თუ ოდესმე იქ გაემგზავრები,

არ გირჩევ შაბათ შუადღეს ქალაქში სეირნობას, რადგან ამ დროს ძალიან ბევრი ხალხია და ადამიანების ნაკადი ქუჩის ერთი ბოლოდან მეორემდე გაგიტაცებს. ბევრად უკეთესი იყო ბერლინი, სანამ ყველაფერი შეიცვლებოდა.

— რას გულისხმობ? — ჰკითხა შმუელმა.

— ისეთი მშვიდი ქალაქი იყო, — აუხსნა ბრუნომ, თუმცა ამ ცვლილებებზე საუბარი არ უყვარდა, — შემეძლო ღამით საწოლში წიგნები მეკითხა. მაგრამ ახლა ზოგჯერ ისეთი ხმაურიანი და შემზარავია, იძულებულები ვხდებოდით ხოლმე, ღამით, შებინდებისთანავე შუქი გამოგვერთო.

— საიდანაც მე ვარ, ბერლინს ბევრად სჯობია, — თქვა შმუელმა, რომელსაც არასოდეს ენახა ბერლინი, — იქ ყველა მეგობრულია, ჩვენ დიდი ოჯახი გვაქვს და საჭმელიც ბევრად უკეთესია.

— კარგი, მოდი შევთანხმდეთ, რომ ერთმანეთს არ ვეთანხმებით, — ბრუნოს ახალ მეგობართან ჩხუბი არ უნდოდა.

— კარგი, — უპასუხა შმუელმა.

— შენ გიყვარს გამოძიება? — ცოტა ხანში ჰკითხა ბრუნომ.

— არასოდეს მიცდია, — შენიშნა შმუელმა.

— როდესაც გავიზრდები, გამომძიებელი გავხდები, — სწრაფი თავის დაქნევით გაამყარა ბრუნომ ნათქვამი, — ჯერ წიგნების კითხვის მეტი არაფერი შემიძლია, მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ როცა თვითონ ვიქნები გამომძიებელი, იმავე შეცდომებს აღაარ დავუშვებ, რაც მათ დაუშვეს.

შმუელი მოიღუშა: — მაინც რა შეცდომებს?

— ოჰ, უთვალავს, — აუხსნა ბრუნომ, — ძიებისას მთავარია იცოდე, ღირდა თუ არა აღმოჩენად ის, რაც იპოვე. ზოგი რამ უბრალოდ არსებობს ერთ ადგილას, აკეთებს თავის საქმეს და ელოდება, როდის აღმოაჩენ. აი, ამერიკასავით. სხვა რამეებს კი, ჯობია, არც მიეკარო. მაგალითად — როგორც მკვდარ თაგვს განჯინის უკან.

—მგონი, მე პირველ კატეგორიას ვეკუთვნი, — შენიშნა შმუელმა.

— მართალია, მეც ასე მგონია, — უპასუხა ბრუნომ და ცოტა ხნის შემდეგ დაამატა, — შეიძლება რაღაც გკითხო?

— კი, — უპასუხა შმუელმა.

ბრუნო დაფიქრდა. უნდოდა, შეკითხვა სწორად ჩამოეყალიბებინა.

— რატომ არის ამდენი ხალხი ღობის მანდეთა მხარეს? — ჰკითხა მან,— და რას აკეთებთ ყველანი?

ფიური

ახალი უნიფორმის მიღებამდე (რაც იმას აღნიშნავდა, რომ ამიერიდან ყველას „კომენდანტოთი“ უნდა მიემართა მისთვის) რამდენიმე თვით ადრე, მანამდე, სანამ სახლში დაბრუნებული ბრუნო აღმოაჩენდა, როგორ ალაგებდა მარია მის ნივთებს, ერთ საღამოს მამა სახლში უჩვეულოდ აღტაცებული დაბრუნდა. იგი ჩქარი ბანიჯით შევიდა სასტუმრო ოთახში, სადაც დედა, ბრუნო და გრეტელი ისხდნენ და წიგნებს კითხულობდნენ.

— ხუთშაბათს... — გამოაცხადა მან, — ხუთშაბათ საღამოსთან დაკავშირებით თუ რამე გეგმები გვაქვს, უნდა გადავდოთ.

— შეგიძლია, შენი გეგმები გადადო, თუ გინდა, — უთხრა დედამ, — მე კი თეატრში წასვლაზე შევუთანხმდი...

— ფიურის სურს, რაღაც განიხილოს ჩემთან, — ყველასგან განსხვავებით, მამას უფლება ჰქონდა, დედასთვის სიტყვა გაეწყვეტინებინა, — შუადღისას დამირეკა. მას მხოლოდ ხუთშაბათ საღამოს სცალია და სადილად დამაპატიჟებინა თავი.

დედას თვალები გაუფართოვდა და განცვიფრებისგან პირი დააღო. ბრუნო დააკვირდა და გაიფიქრა, ნეტავ მეც ასე გამოვიყურები, როცა რაღაც მაკვირვებსო?

— ალბათ, ხუმრობ, — დედას ფერი წაუვიდა, — აქ უნდა მოვიდეს? ჩვენს სახლში?

მამამ თავი დაუქნია.

— შვიდ საათზე, — დააზუსტა მან, — ასე რომ, უმჯობესია, სადილად რამე განსაკუთრებული მოვამზადოთ.

— ო, ღმერთო, — დედას თვალები აქეთ-იქით დაურბოდა — გამალებით ფიქრობდა, რამდენი რამის მოგვარება დასჭირდებოდა ამ სადილისთვის.

— ფიური ვინ არის? — იკითხა ბრუნომ.

— არასწორად ამბობ, — მამამ სწორად წარმოთქვა სიტყვა.

— ფიუ-რი, — ბრუნომ სწორად გამეორება სცადა, მაგრამ ისევ არ გამოუვიდა.

— არა... — უთხრა მამამ, — ოჰ, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს.

— და მაინც, ვინ არის? — ისევ იკითხა ბრუნომ.

მამამ განცვიფრებით შეხედა:

— მშვენივრად იცი, ვინც არის ფიური.

— არა, არ ვიცი.

— ქვეყნის მმართველია, იდიოტო, — როგორც დებს სჩვევიათ ხოლმე, გრეტელმა თავი მოიწონა (სწორედ ასეთი გამოხტომების გამო იყო უიმედო შემთხვევა), — შენ რა, გაზეთებს არ კითხულობ?

— ძმას იდიოტს ნუ ეძახი, ძვირფასო, — შენიშვნა მისცა დედამ.

— სულელი რომ დავუძახო, შეიძლება?

— არა, არ შეიძლება.

იმედგაცრუებული გრეტელი დაჯდა, მაგრამ ბრუნოს მაინც გამოუყო ენა.

— მარტო გვესტუმრება? — თემას დაუბრუნდა დედა.

— დამავიწყდა მეკითხა, — უპასუხა მამამ, — მაგრამ, ჩემი აზრით, მასაც მოიყვანს.

— ო, ღმერთო, — გაიმეორა დედამ, წამოდგა და გონებაში თვალი გადაავლო ყველაფერს, რისი ორგანიზებაც მოუხდებოდა ხუთშაბათამდე, რომლის დადგომამდეც სულ რაღაც ორი დღე რჩებოდა. სახლი სახურავიდან სარდაფამდე უნდა გაესუფთავებინათ, ფანჯრები — დაერეცხათ, დალაქავებული სასადილო ოთახის მაგიდისთვის ლაქი გადაესვათ, საქჭმელი შეეკვეთათ, მოახლისა და მსახურთუფროსის უნიფორმები გაერეცხათ და გაეუთოებინათ, ქაშანურის ჭურჭელი და ჭიქები კი ისე გაეპრიალებინათ, რომ ებრწყინათ.

მიუხედავად ამ საქმეების სიმრავლისა, დედამ როგორღაც მოახერხა, მზადება დროულად დასრულებულიყო, თუმცა მაინც

განუწყვეტლივ შენიშნავდა ხოლმე, საღამო უკეთესი გამოვიდოდა, ცოტათი მაინც რომ დამხმარებოდა ვინმე სახლის მოწესრიგებაშიო.

ფიურის მოსვლამდე ერთი საათით ადრე ბრუნო და გრეტელი დაბლა ჩაიყვანეს, მამას კაბინეტში, სადაც იშვიათად თუ უშვებდნენ მათ. გრეტელს თეთრი კაბა და მუხლამდე წინდები შვენოდა, თმა სპირალურად დაეკულულებინათ. ბრუნოს მუქი ყავისფერი შორტი, ქათქათა თეთრი პერანგი ეცვა და შორტისავე ფერის ჰალსტუხი ეკეთა. განსაკუთრებული შემთხვევის აღსანიშნავად ახალი ფეხსაცმელები უყიდეს და ძალიანაც ამაყობდა, თუმცა უჭერდა და ძლივს დადიოდა. მთელი ეს ფაციფუცი და ახალი ტანსაცმელი ბიჭს ცოტა უცნაური ეჩვენებოდა, განა სულ ერთი არ იყო, რა ეცმებოდათ? ბრუნო და გრეტელი ხომ სადილს არც დაესწრებოდნენ — ისინი ერთი საათით ადრე ასადილეს.

— აბა, ბავშვებო, — მიმართა თავის საწერ მაგიდასთან მჯდარმა მამამ, თან ჯერ ქალიშვილს შეხედა, მერე კი ვაჟს, რომლებიც წინ ედგნენ, — კარგად ხვდებით, რომ წინ განსაკუთრებული საღამო გველოდება, არა?

შვილები თავის ქნევით დაეთანხმნენ.

— ჩემი კარიერისთვის აუცილებელია, ამ სტუმრობამ კარგად ჩაიაროს.

მათ ისევ თავები დაუქნიეს.

— ამიტომ, რამდენიმე ძირითადი წესი უნდა დაიმახსოვროთ, — მამას მთელი გულით სწამდა ძირითადი წესების. ყოველთვის, როცა სახლში განსაკუთრებული ან მნიშვნელოვანი რამ ხდებოდა, უამრავ წესს ადგენდახოლმე.

— პირველი, — დაიწყო მან, — როცა ფიური მოვა, წყნარად იდგებით დერეფანში და მის შესახვედრად მოემზადებით. არ დაელაპარაკებით, სანამ თვითონ არ მოგმართავთ, შემდეგ კი უპა-

სუხებთ გარკვევით, ზუსტად წარმოთქვამთ თითოეულ სიტყვას. გასაგებია?

— დიახ, მამა, — წაილუღლუღა ბრუნომ.

— აი, სწორედ ასე არ უნდა მოიქცეთ, — მამა ლუღლუღს გულისხმობდა, — პირი კარგად გააღედა მოზრდილივით ილაპარაკე. სულაც არ გვინდა, ბავშვებივით იქცეოდეთ. თუ ფიური ყურადღებას არ მოგაქცევთ, ისევ ჩუმად იქნებით, პირდაპირ უყურეთ და მის მიმართ ის პატივისცემა და თავაზიანობა გამოავლინეთ, რასაც დიდებული ლიდერი იმსახურებს.

— რა თქმა უნდა, მამა, — თქვა გრეტელმა სრულიად გარკვევით.

— სანამ მე და დედა ფიურისთან ერთად ვისადილებთ, ორივენი თქვენ თქვენს ოთახებში დარჩებით გასუსულები. არ ირბენთ ყოთახებში და არ ისრიალებთ მოაჯირზე, — მან განგებ შეხედა ბრუნოს, — და არ შეგვაწყვეტინებთ. გასაგებია? არ მინდა, რომელიმე თქვენგანმა ქაოსი გამოიწვიოს.

ბრუნომ და გრეტელმა თავები დაუქნიეს და მამა შეხვედრის დასრულების ნიშნად წამოდგა.

— მაშ, ძირითად წესებზე შევთანხმდით, — თქვა მან.

ორმოცდახუთი წუთის შემდეგ კარზე ზარი დარეკეს და სახლში ყველა აღელდა. ბრუნომ და გრეტელმა კუთვნილი ადგილები დაიკავეს კიბესთან, გვერდიგვერდ, დედაც მათთან იდგა, ნერვიულად მომუშტული ხელებით. მამამ სწრაფად შეათვალიერა თითოეული, თავი დაიქნია, ჩანდა, კმაყოფილი დარჩა ნანახით და შემდეგ კარი გააღო.

გარეთ ორი ადამიანი იდგა: საკმაოდ დაბალი მამაკაცი და მაღალი ქალი.

მამა მათ მიესალმა, შიგნით შეუძღვა (სადაც ჩვეულებრივზე კიდევ უფრო თავდახრილმა მარიამ პალტოები გამოართვა) და ოჯახის წევრები წარუდგინა. პირველად დედას გამოელაპარაკ-

ნენ, რამაც ბრუნოს საშუალება მისცა, სტუმრები შეეთვალიერებინა და გონებაში ემსჯელა, ღირდნენ თუ არა ამხელა ალიაქოთად.

ფიური მამაზე საკმაოდ დაბალი იყო და, ბრუნოს ვარაუდით, ნაკლებად ძლიერიც. მუქი თმა ჰქონდა, საკმაოდ მოკლედ შეჭრილი, და ერთი ბეწო ულვაში — ისეთი ციცქნა, რომ ბრუნო დაინტერესდა, საერთოდ რატომ იწუხებდა თავს მისით, ან იქნებ, უბრალოდ, პარსვისას გამორჩა ეს ნაწილი? სამაგიეროდ, მის გვერდით მდგარი ქალი ყველაზე მშვენიერი იყო მათ შორის, ვინც კი ბიჭს ცხოვრების განმავლობაში ენახა. მას ქერა თმა და ძალიან წითელი ტუჩები ჰქონდა და სანამ ფიური დედას ეცნობოდა, ის ბრუნოს მიუბრუნდა და გაუღიმა, რის გამოც ბიჭი სირცხვილით გაწითლდა.

— ესენი კი ჩემი შვილები არიან, ფიური, — მამის ამ სიტყვებზე გრეტელმა და ბრუნომ ნაბიჯი წინ წადგეს, — გრეტელი და ბრუნო.

— რომელი რომელია? — გაიხუმრა ფიურიმ. ყველამ გაიცინა ბრუნოს გარდა, რომლის აზრითაც სრულიად ცხადად ჩაანდა, რომელი რომელი იყო და ეს დიდი ვერაფერი ოხუნჯობა გახლდათ. ფიურიმ ხელი გაიწოდა და ორივეს ჩამოართვა, გრეტელმა ფრთხილი, დაზუთხული რევერანსიც გააკეთა. ბრუნოს ძალიან ესიამოვნა, რომ დას მოძრაობა შეეშალა და კინაღამ წაიქცა.

— რა მომხიბვლელი ბავშვები გყოლიათ, — შეაქო მშვენიერმა ქალმა, — შეიძლება გავიგო, რამდენი წლისანი არიან?

— მე თორმეტი წლის ვარ, ის კი — მხოლოდ ცხრის, — უპასუხა გრეტელმა და ძმას ქედმაღლურად შეხედა, — მე ფრანგულადაც ვსაუბრობ, — დაამატა მერე, რაც სულაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს, მას მხოლოდ რამდენიმე ფრაზა ჰქონდა ნასწავლი სკოლაში.

— ჰო, მაგრამ რაში გჭირდება? — ჰკითხა ფიურიმ. ამჯერად აღარავის გაუცინია; პირიქით, უხერხულად მოინაცვლეს ფეხი, გრეტელმა კი ლიდერს შეხედა, არ იცოდა, უნდა ეპასუხა თუ არა.

საკითხი თავისთავად გადაიჭრა, როცა ფიური, ყველაზე უზრდელი სტუმარი, მათ შორის, ვისაც კი ოდესმე ბრუნო მოსწრებია, უსიტყვოდ შებრუნდა და პირდაპირ სასადილო ოთახში შევიდა, თანაც მარდად წამოსკუპდა სკამზე მაგიდის თავში — მამას ადგილზე! ცოტათი შეშფოთებული დედ-მამა უკან მიჰყვა მას, ოღონდ მანამდე დედამ ლარსს მითითება მისცა, შეგიძლია წვნიანი გააცხელოო.

— მეც ვლაპარაკობ ფრანგულად, — მშვენიერი ქერა ქალი დაიხარა და ბავშვებს გაუღიმა. როგორც ჩანდა, მას ისე არ ეშინოდა ფიურისი, როგორც ბრუნოს მშობლებს, — ფრანგული ლამაზი ენაა და ძალიან ჭკვიანურად იქცევი, რომ სწავლობ.

— ევა! — დაუყვირა ფიურიმ სასადილო ოთახიდან და თითი ისე დაუქნია, თითქოს ძაღლს უხმობდა. ქალმა თვალები გადაატრიალა, ნელა წამოდგა და შებრუნდა.

— მომწონს შენი ფეხსაცმელი, ბრუნო, მაგრამ მგონი ცოტათი გიჭერს, — დაამატა ღიმილით, — და თუ მართალი ვარ, დედას უნდა უთხრა, სანამ დაუშავებიხარ.

— ცოტათი მიჭერს, — აღიარა ბრუნომ.

— ჩვეულებრივ, თმას ასე არ ვიხვევ, — გრეტელს შეშურდა მისი ძმისადმი გამოჩენილი ყურადღება.

— კი მაგრამ, რატომ? — იკითხა ქალმა, — ძალიან გიხდება.

— ევა! — მეორედ დაიღრიალა ფიურიმ და ამჯერად ქალი მოშორდა ბავშვებს.

— სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, — თქვა მან, შემდეგ კი სასადილო ოთახში შევიდა და ფიურის მარცხნივ დაჯდა. გრეტელი კიბისკენ დაიძრა, ბრუნო კი თითქოს იატაკს შეეზარდაო, ისევ ქერათმიანს უყურებდა, სანამ მისიმზერა არ დაიჭირა და ქალმა ხე-

ლი არ დაუქნია; მერე მამა გამოჩნდა და კარი ცხვირწინ მოუკეტა, თან უკმაყოფილოდ გაიქნია თავი — ამით ბრუნო მიხვდა, რომ დრო იყო, ოთახში ასულიყო, გასუსული მჯდარიყო, არ ეხმაურა და რასაკვირველია, მოაჯირზე არ ჩამოსრიალებულიყო.

ფიური და ევა მათთან დაახლოებით ორი საათს დარჩნენ; გამოსამშვიდობებლად არც გრეტელისთვის და არც ბრუნოსთვის არ დაუძახიათ ქვემოთ. ბრუნო თავისი საძინებლის ფანჯრიდან უყურებდა, როგორ მიდიოდნენ და შეამჩნია, რომ როდესაც ისინი მანქანისკენ გაემართნენ, რომელსაც, რაც უნდა გასაკვირი ყოფილიყო, მძღოლი ჰყავდა, ფიურიმ თანმხლებს კარი არ გაუღო; ამის მაგივრად შიგნით შეძვრა და გაზეთის კითხვა დაიწყო, სანამ ქალი კიდევ ერთხელ ემშვიდობებოდა დედას და მშვენიერი სადილისთვის მადლობას უხდიდა.

„რა საშინელი კაცია“, — გაიფიქრა ბრუნომ.

იმ ღამით ბრუნომ შემთხვევით მშობლების დიალოგის ნაწყვეტებს მოჰკრა ყური. ფრაზები მამას კაბინეტის გასაღების ჭუჭრუტანიდან ან კარქვეშა ღრიჭოდან იპარებოდა და მიიწევდა მაღლა კიბეზე, უხვევდან კედელთან, და კარს ქვემოდან აღწევდა ბრუნოს საძინებელში. მათი ხმები უჩვეულოდ ხმამაღლა გაისმოდა, მაგრამ ბრუნომ მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი გაარჩია:

„...ბერლინის დატოვება და ისეთ ადგილას...“ — ამბობდა დედა.

„...არჩევანი, ყოველ შემთხვევაში, თუ გვინდა, რომ...“ — პასუხობდა მამა.

„...თითქოს ეს სრულიად ბუნებრივი რამ იყოს, მაგრამ ეს ასე არაა და...“ — ეკამათებოდა დედა.

„...რა მოხდება, თუ წამიყვანენ და ისე მომექცევიან, როგორც...“ — არწმუნებდა მამა.

„...გარდა ამისა, მათი ასეთ ადგილას გაზრდა...“ — ჯიუტობდა დედა.

„...საკითხი ამოწურულია. არაფრის გაგონება აღარ მინდა ამ თემაზე...“ — თქვა მამამ.

ამით, როგორც ჩანს, დიალოგი დასრულდა, რადგან დედამ მამას კაბინეტი დატოვა და ბრუნოსაც ჩაეძინა.

რამდენიმე დღის შემდეგ სკოლიდან დაბრუნებული ბრუნო გააკვირვა თავის საძინებელში მოახლის, მარიას აღმოჩენამ. ქალს, რომელიც მუდამ თავდახრილი დააბიჯებდა და მზერას არასოდეს აშორებდა ხალიჩას, გარდერობიდან მთელი მისი ნივთები გამოჰქონდა და ხის ოთხ უზარმაზარ ყუთში ალაგებდა, მათ შორის — გარდერობის უკან გადამალულებსაც. არადა, ეს სამალავი მხოლოდ ბრუნოს ეკუთვნოდა და მასთან არავის არაფერი ესაქმებოდა. სწორედ ასე დაიწყო ყველაფერი.

შმუელმა ბრუნოს შეკითხვაზე პასუხი მოიფიქრა

— მხოლოდ ის ვიცი, — დაიწყო შმუელმა, — რომ სანამ აქ ჩამოვიდოდით, დედასთან, მამასთან და ჩემს ძმა იოზეფთან ერთად ვცხოვრობდი პატარა ბინაში, იმ მაღაზიის თავზე, რომელშიც მამა საათებს აკეთებდა. ყოველ დილით, შვიდ საათზე ერთად ვსაუზმობდით და სანამ ჩვენ სკოლაში ვიყავით, მამა ხალხს საათებს ურემონტებდა, ან ახლებს აწყობდა. ერთხელ შესანიშნავი საათი მაჩუქა, მაგრამ უკვე აღარ მაქვს. ოქროს ციფერბლატი ჰქონდა; ყოველ ღამით დაძინებამდე ვქოქავდი, ის კი მუდამ ზუსტ დროს მიჩვენებდა.

— რატომ აღარ გაქვს? — იკითხა ბრუნომ.

— წამართვეს, — თქვა შმუელმა.

— ვინ?

— რასაკვირველია, ჯარისკაცებმა, — ისე უპასუხა შმუელმა, თითქოს ეს თავისთავად ცხადი უნდა ყოფილიყო.

— ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა, — განაგრძო მან, — სკოლიდან რომ მოვედი, დედა სპეციალური ნაჭრისაგან ჩვენთვის სამკლაურებს ამზადებდა და თითოეულს ვარსკვლავს ახატავდა. ასეთს, — მტვრიან მიწაზე თითით დახატა სიმბოლო.

— სახლიდან გასვლამდე ყოველთვის შეგვახსენებდა ხოლმე ამ სამკლაურის მოხვევას.

— მამაჩემსაც აქვს სამკლაური, — უთხრა ბრუნომ, — თავის უნიფორმაზე. ძალიან ლამაზია. კაშკაშა წითელია, შავ-წითელ ფონზე, — ახლა მან დახატა მტვრიან მიწაზე ღობის აქეთ სხვა ფიგურა.

卐

— მაგრამ ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, არა?

— ჩემთვის არასოდეს მოუციათ სამკლაური, — შენიშნა ბრუნომ.

— მე კი არასოდეს მდომებია მისი ტარება.

— სულ ერთია, — თქვა ბრუნომ, — მე მგონი, მომეწონებოდა. ოღონდ არ ვიცი, რომელს ვარჩევდი, შენსას თუ მამასას.

შმუელმა თავი გადაიქნია და თავის ამბის თხრობა განაგრძო. ამ ამბებს ხშირად აღარ იგონებდა ხოლმე, რადგან საათების მაღაზიის თავზე საკუთარი ძველი ცხოვრების გახსენება ძალიან ასევდიანებდა.

— რამდენიმე თვის განმავლობაში სამკლაურებს ვატარებდით, — თქვა მან, — შემდეგ ისევ ყველაფერი შეიცვალა. ერთ დღეს, სახლში დაბრუნებისას, დედამ მითხრა, რომ ჩვენს სახლში ვეღარ ვიცხოვრებდით...

— მეც ასე შემემთხვა, — დაიყვირა ბრუნომ, გახარებულმა იმით, რომ ის ერთადერთი არ ყოფილა, რომელიც აიძულეს, საცხოვრებელი შეეცვალა, — იცი, ფიური გვეწვია სადილად და შემდეგ გავიგე, რომ აქ გადმოვდიოდით. მე კი მძულს აქაურობა, — დაამატა ხმამაღლა, — შენს სახლშიც მოვიდა, იგივე რომ ჩაედინა?

— არა, მაგრამ ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ საკუთარ სახლში ვეღარ დავრჩებოდით და კრაკოვის სხვა ნაწილში უნდა გადავსულიყავით; იქ ჯარისკაცებმა დიდი კედელი ააშენეს და დედაჩემს, მამაჩემს, ჩემს ძმას და მე ერთ ოთახში უნდა გვეცხოვრა.

— ყველას? — გაოცდა ბრუნო, — ერთ ოთახში?

— მარტო ჩვენ კი არა, — უთხრა ბრუნომ, — სხვა ოჯახიც იყო: დედა და მამა სულ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, მათი ერთ-ერთი ვაჟი კი ჩემზე უფროსი იყო და მაშინაც მირტყამდა, როცა არაფერს ვაშავებდი.

— ყველანი ერთ ოთახში ვერ იცხოვრებდით, — უნდობლობის ნიშნად თავი გაიქნია ბრუნომ, — რა უაზრობაა.

— დიახ, ყველანი, — თავის ქნევით დაუდასტურა შმუელმა, — სულ თერთმეტნი ვიყავით.

ბრუნომ პირი გააღო, რომ ისევ შეწინააღმდეგებოდა — სულაც არ სჯეროდა, თითქოს თერთმეტ ადამიანს ერთ ოთახში ცხოვრება შეეძლო — მაგრამ გადაიფიქრა.

— იქ კიდევ რამდენიმე თვე ვიცხოვრეთ, — აგრძელებდა შმუელი, — ყველამ იმ ერთ ოთახში. პატარა ფანჯარა ჰქონდა, მაგრამ მასში გახედვა არ მიყვარდა, იმიტომ რომ მხოლოდ კედელს დავინახავდი, მე კი მძულდა კედელი, რადგან ჩვენს ნამდვილ სახლს ეფარებოდა. ქალაქის ეს ნაწილი ყველაზე საშინელი იყო, რადგან სულ ხმაური ისმოდა და შეუძლებელი იყო დაგეძინა. კიდევ, მძულდა ლუკა, ბიჭი, რომელიც მაშინაც კი მცემდა, როცა არაფერს ვაშავებდი.

— ზოგჯერ გრეტელი მირტყამს, — თქვა ბრუნომ, — ჩემი დაა, — დაამატა, — და უიმედო შემთხვევა. მაგრამ მალე გავიზრდები და მასზე ძლიერი გავხდები; მერე ვნახოთ, ვინ ვის სცემს.

— ბოლოს უზარმაზარი სატვირთო მანქანებით ჯარისკაცები მოვიდნენ, — განაგრძო შმუელმა, როგორც ჩანს, გრეტელით დიდად არ დაინტერესებულა, — და ყველას გვიბრძანეს, სახლები დაგვეტოვებინა. ბევრ ადამიანს არ უნდოდა ამის გაკეთეება და დაიმალნენ, სადაც შეძლეს, მაგრამ, მგონი მაინც ყველას იპოვიდნენ. სატვირთოებმა მატარებლებამდე მიგვიყვანეს, მატარებლებმა კი... — შეყოყმანდა და ტუჩი მოიკვნიტა. ბრუნომ იფიქრა, ახლა ატირდებაო, მაგრამ ვერაფრით მიხვდა, რატომ.

— საშინელი მატარებელი იყო, — თქვა შმუელმა, — ვაგონში მეტისმეტად ბევრნი ვიყავით. ჰაერი არ იძვროდა, რომ გესუნთქა. და საშინლად ყარდა.

— იმიტომ, რომ ყველანი ერთ მატარებელში შეიჭუჭყნეთ, — ბრუნოს ის ორი მატარებელი გაახსენდა, რომლებიც ბერლინიდან წამოსვლისას სადგურზე ნახა, —აქ რომ მოვდიოდით, ბაქა-

ნის მეორე მხარეს სხვა მატარებელიც იდგა, მაგრამ მასში არავინ ადიოდა. სწორედ იმით ვიმგზავრეთ ჩვენ. თქვენც იმით უნდა წამოსულიყავით.

— არა მგონია, ამის ნება მოეცათ, — შმუელმა თავი გაიქნია, — ვაგონიდან გამოსვლაც კი არ შეგვეძლო.

— კარი ბოლოსკენაა, — აუხსნა ბრუნომ.

— იქ არ ყოფილა კარი.

— რა თქმა უნდა, იყო, — ამოიოხრა ბრუნომ, — ბოლოსკენ იქნებოდა, ზუსტად სასადილო განყოფილების შემდეგ.

— არანაირი კარები არ ყოფილა, — დაიჟინა შმუელმა, — რომ ყოფილიყო, ყველანი ჩამოვიდოდით მატარებლიდან.

ბრუნომ ცხვირში ჩაიდუდღუნა „რასაკვირველია, იყოო“, მაგრამ ხმამაღლა აღარ უთქვამს და შმუელსაც არ გაუგია.

— როგორც იქნა, მატარებელი გაჩერდა, — განაგრძო შმუელმა, — ძალიან ცივ ადგილას აღმოვჩნდით და აქ ფეხით წამოგვიყვანეს.

— ჩვენ მანქანა გვყავდა, — ეს კი ხმამაღლა ჩააურთო ბრუნომ.

— დედა მოგვაშორეს, მამა, იოზეფი და მე კი იმ ქოხმახებიდან ერთ-ერთში გაგვანაწილეს და მას შემდეგ აქ ვართ.

როდესაც შმუელმა თავგადასავლის მოყოლა დაასრულა, ძალიან სევდიანი ჩანდა, ბრუნომ კი არ იცოდა, რატომ; არც ისეთ საშინელებად ეჩვენებოდა ეს ყველაფერი, ბოლოს და ბოლოს, მასაც ხომ იგივე შეემთხვა.

— კიდევ ბევრი ბიჭია იქ?

— ასობით.

ბრუნომ თვალები დააჭყიტა.

— ასობით? — გაოცებულმა ჰკითხა, — რა უსამართლობაა. ღობის აქეთ არავინაა, რომ ეთამაშო. ერთი ადამიანიც კი.

— ჩვენ არ ვთამაშობთ, — თქვა შმუელმა.

— არ თამაშობთ? რატომ?

— რა უნდა ვითამაშოთ? —სახეზე ემჩნეოდა, ამ აზრმაც კი შეაცბუნა.

— აბა, რა ვიცი, — დაფიქრდა ბრუნო, — უამრავი რამე. მაგალითად, ფეხბურთი. ან გამომძიებლობანა. მართლა, არის თქვენკენ რამე გამოსაძიებელი? რამე საინტერესო?

შმუელმა თავი გაიქნია და არ უპასუხა. მერე უკან, ქოხმახებისკენ გაიხედა, ბრუნოს ზურგი შეაქცია. შემდეგი კითხვის დასმა არ უნდოდა, მაგრამ მუცლის ტკივილმა აიძულა.

— რამე საჭმელი ხომ არ გაქვს თან?

— სამწუხაროდ, არა, — უპასუხა ბრუნომ, — მინდოდა, შოკოლადი წამომეღო, მაგრამ დამავიწყდა.

— შოკოლადი, — ძალიან ნელა წარმოთქვა შმუელმა და ტუჩები მოილოკა, — მხოლოდ ერთხელ გამისინჯავს შოკოლადი.

— მხოლოდ ერთხელ? მე მიყვარს შოკოლადი. მისი ჭამით ვერ ვძღები ხოლმე, თუმცა დედა მეუბნება, კბილებს გაიფუჭებო.

— პურიც არ გაქვს, არა?

ბრუნომ თავი გაიქნია.

— სულ არაფერი. სადილს ექვსის ნახევრამდე არ ვჭამთ. თქვენ როდის სადილობთ?

შმუელმა მხრები აიჩეჩა და ფეხზე წამოდგა.

— მგონი, სჯობს, უკან დავბრუნდე.

— იქნებ ერთ საღამოს სადილად გვესტუმრო, — შესთავაზა ბრუნომ, თუმცა ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს კარგი აზრი იყო.

— იქნებ, — უპასუხა შმუელმა, არც ისე თავდაჯერებული ხმით.

— ან იქნებ მე მოვიდე შენთან? ვინ იცის, იქნებ შევძლო, წამოგყვე და შენს მეგობრებს შევხვდე, —თქვა ბრუნომ იმედიანად. აქამდე იმედი ჰქონდა, რომ ამას თვითონ შმუელი შესთავაზებდა, მაგრამ საამისო მას არაფერი ეტყობოდა.

— ღობის აქეთ რომ არ ხარ?

— შემიძლია მის ქვეშ გამოვძვრე, —ბრუნო დაიხარა და მავთული მიწიდან წამოსწია. ცენტრში, ხის „სატელეგრაფო ბოძების“ შუაში, მესერი საკმაოდ იოლად დაემორჩილა, ბრუნოსავით პატარა ბიჭი ადვილად გაეტეოდა მასში.

შმუელი უყურებდა, როგორ სწევდა ბრუნო ღობეს, და აღელვებით იხევდა უკან.

— უნდა წავიდე, — თქვა მან.

— მაშინ სხვა დროს იყოს, — უთხრა ბრუნომ.

— მე აქ არ უნდა ვიყო. თუ დამიჭერენ, ცუდად წამივა საქმე.

ის შებრუნდა და წავიდა. ბრუნომ კიდევ ერთხელ შეამჩნია, რა გამხდარი და პატარა იყო მისი ახალი მეგობარი. ამ თემაზე არაფერი უთქვამს, რადგან კარგად იცოდა, რა უსიამოვნო იყო ისეთი სულელური მიზეზის გამო გაკრიტიკება, როგორიცაა სიმაღლე, მას კი ყველაზე ნაკლებად შმუელის წყენინება სურდა.

— ხვალ დავბრუნდები, — მიაძახა ბრუნომ მიმავალ ბიჭს. შმუელს არაფერი უპასუხია; ბანაკისკენ გაიქცა და ბრუნო მარტო დატოვა.

ბრუნომ გადაწყვიტა, რომ ერთი დღისთვის საკმარისზე მეტიც გამოიძიადა მომხდარით აღტაცებული სახლში წავიდა, ძალიან უნდოდა, ამ შუადღის თავგადასავალი მოეყოლა დედის, მამისა და გრეტელისთვის (რომელსაც აუცილებლად ისე შეშურდებოდა, შეიძლებოდა გამსკდარიყო კიდეც), კიდევ მარიას, მზარეულისა და ლარსისთვის ეამბნა ახალი მეგობრის შესახებ, რომელსაც სასაცილო სახელი ერქვა, და ყველა გაეოცებინა იმით, რომ მათ ერთსა და იმავე დღეს ჰქონდათ დაბადების დღე. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უკეთ ხვდებოდა, რომ ასე მოქცევა არ ივარგებდა.

„ბოლოსდაბოლოს, — მსჯელობდა ბრუნო, — შეიძლება სულაც არ უნდოდეთ, რომ მასთან ვიმეგობრო და თუეს ასე იქნება, შეიძლება აქ სიარული სულაც ამიკრძალონ“. სახლთან მიახლოე-

ბულს კარში საქონლის ხორცის სურნელი შემოეგება — მას ღუმელში წვავდნენ სადილისთვის და გადაწყვიტა, რომ ჯობდა, მთელი ამბავი საიდუმლოდ შეენახა, სიტყვაც არ დასცდენოდა. ეს მისი საიდუმლო იქნებოდა. უფრო სწორად, მისი და შმუელის.

ბრუნოს აზრით, როცა საქმე მშობლებთან გქონდა, უფრო მეტად კი — დასთან, თავის ატკივებას სჯობდა, რაც შეიძლება ნაკლები სცოდნოდათ.

ბოთლი ღვინო

კვირა კვირას მისდევდა. ბრუნოსთვის თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ უახლოეს მომავალში ბერლინში დაბრუნებას არ აპირებდნენ და შეეძლო დაევიწყებინა თავის მყუდრო სახლში მოაჯირზე სრიალი და კარლის, დანიელისა და მარტინის ნახვა.

ყოველ მომდევნო დღეს ნელ-ნელა ეჩვეოდა აუვიცში ყოფნას და თითქოს ისე უბედურადაც აღარ გრძნობდა თავს ახალი ცხოვრების გამო. ბოლოსდაბოლოს, უკვე ჰყავდა ადამიანი, ვისაც დაელაპარაკებოდა. ყოველ შუადღეს, გაკვეთილების შემდეგ ბრუნო გრძელ გზას გადიოდა მესრის გასწვრივ, შემდეგ, მიწაზე ჩამომჯდარი, სანამ სახლში წასვლის დრო მოვიდოდა, ახალ მეგობარს, შმუელს ესაუბრებოდა, ამიტომ სულ უფრო იშვიათად ენატრებოდა ბერლინი.

ერთ შუადღეს, როდესაც თან წასაღეებად ჯიბეებს პურითა და ყველით იტენიდა, მარია შემოვიდა და მისი ამ საქციელის დანახვაზე შეჩერდა.

— გამარჯობა, — ბრუნო ეცადა, რაც შეიძლება ბუნებრივად დაეჭირა თავი, — შემაშინე. არ გამიგია, როგორ შემოხვედი.

— ნუთუ ისევ ჭამ? — ჩაეღიმა მარიას, — ახლა არ მიირთვი? ისევ გშია?

— ცოტათი, — თქვა ბრუნომ, — სასეირნოდ მივდივარ და ვიფიქრე, გზად შეიძლება მომშივდეს-მეთქი.

მარიამ მხრები აიჩეჩა, ღუმელთან მივიდა და წყლიანი ქვაბი დადგა ასადუღებლად. იქვე, მაგიდაზე კარტოფილი და სტაფილო დაეხვავებინათ, რათა მოგვიანებით პაველს გაესუფთავებინა. ბრუნო უკვე გასვლას აპირებდა, რომ უცებ ერთი რამ გაახსენდა, რაც შიგადაშიგ აწუხებდა ხოლმე. აქამდე ვერ მოეფიქრებინა, ვისთვის ეკითხა, მაგრამ ახლა სწორედ რომ შესაფერისი დრო და ადამიანი შეხვდა.

— მარია, — დაიწყო მან, — შეიძლება, რაღაც გკითხო?

მოახლე შემობრუნდა და გაკვირვებით შეხედა:

— რასაკვირველია, მასტერ ბრუნო.

— და თუ გკითხავ, პირობას მაძლევ, არავის ეტყვი, ეს რომ გკითხე?

ქალმა თვალები ეჭვით მოჭუტა, მაგრამ თავი დაუქნია.

— კარგი. რა გაინტერესებს?

— პაველი. ხომ იცნობ მას? კაცს, რომელიც მოდის და ბოსტნეულს ასუფთავებს, შემდეგ კი მაგიდასთან გვემსახურება ხოლმე.

— დიახ, — გაიღიმა მარიამ, როგორც ჩანდა, შვებით ამოისუნთქა, რომ კითხვა რამე უფრო სერიოზულს არ შეეხებოდა, — ვიცნობ პაველს. ხშირად გვისაუბრია. რატომ მეკითხები?

— იცი, — ბრუნო სიტყვებს ფრთხილად ირჩევდა, რომ რამე არასწორად არ ეთქვა, — გახსოვს, აქ გადმოსვლიდან მალევე საქანელა რომ გავმართე მუხაზე, ჩამოვვარდი და მუხლი ვიტკინე?

— დიახ, — შეწუხდა მარია, — ისევ ხომ არ გტკივა?

— არა, — დაამშვიდა ბრუნომ, — მაგრამ როდესაც ჩამოვვარდი, პაველი ერთადერთი უფროსი აღმოჩნდა სახლში; აქ შემომიყვანა, იარა გამისუფთავა, მომბანა და მწვანე მალამო წამისვა, რომელმაც ამწვა, მაგრამ მგონი, მომიხდა; შემდეგ კი ბინტით შემიხვია.

— ამას ხომ ყველა იზამს, როცა ვინმე დაშავებულია, — შენიშნა მარიამ.

— ვიცი, — განაგრძო ბიჭმა, — მაგრამ შემდეგ მან მითხრა, რომ სინამდვილეში სულაც არ არის ოფიციანტი.

მარიას სახე გაუქვავდა და ცოტა ხნით გაჩუმდა. პასუხის ნაცვლად სადღაც შორს გაიხედა და თავის დაქნევამდე ტუჩები მოილოკა.

— გასაგებია. რა თქვა, სინამდვილეში ვინ ვარო?

— მითხრა, რომ ექიმია... მაგრამ არა მგონია, მართალი ეთქვა. ექიმი არ არის, ხომ?

— არა, — მარიამ თავი დაუქნია, — ექიმი არ არის. ოფიციანტია.

— ვიცოდი, — ბრუნოს ძალიან ესიამოვნა საკუთარი საზრიანობა, — მაშ, რატომ მომატყუა? მიზეზს ვერ ვხვდები.

— პაველი ექიმი აღარ არის, ბრუნო, — ხმადაბლა უთხრა მარიამ, — მაგრამ იყო. სხვა ცხოვრებაში. აქ მოსვლამდე.

ბრუნო მოიღუშა და მარიას სიტყვებზე დაფიქრდა.

— ვერ გავიგე.

— ხშირად ჩვენც არ გვესმის, — ამოიოხრა ქალმა.

— თუ ექიმი იყო, ახლა რატომ აღარ არის?

მარიამ ისევ ამოიოხრა და ფანჯრიდან გაიხედა იმაში დასარწმუნებლად, რომ არავინ მოდიოდა, შემდეგ სკამზე ანიშნა და ორივენი ჩამოსხდნენ.

— თუ მოგიყვები, რაც პაველმა თავის ცხოვრებაზე მიამბო, — დაიწყო მარიამ, — არავის არ უნდა უთხრა — გასაგებია? თორემ ყველანი საშინელ უბედურებაში ჩავცვივდებით.

— არავის ვეტყვი, — ბრუნოს უყვარდა საიდუმლოებების მოსმენა და თითქმის არასოდეს გათქვამდა ხოლმე მათ, რასაკვირველია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს გარდაუვალი იყო.

— კარგი, — თქვა მარიამ, — ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ...

იმ დღეს ბრუნოს შმუელთან ყოველდღიური შეხვედრის ადგილას მისვლა დააგვიანდა, მაგრამ როგორც ყოველთვის, ახალი მეგობარი იქ დახვდა, ფეხმორთხმული იჯდა და მას ელოდა.

— მაპატიე, დამაგვიანდა, — ბრუნომ მავთულხლართის ბადეში ცოტაოდენი პური და ყველი მიაწოდა, რაც გზაში შეჭმას გადაურჩა, რადგან ამასობაშიცოტათი მართლაც მოშიებოდა, — მარიას ველაპარაკებოდი.

— მარია ვინ არის? — თავი არ აუწევია, ისე იკითხა დამშეულმაშმუელმა და საჭმელს დააცხრა.

— ჩვენი მოახლეა, — აუხსნა ბრუნომ, — ძალიან საყვარელია, თუმცა მამა ამბობს, ზედმეტს ვუხდიო. პაველის შესახებ მიამბო, რომელიც ბოსტნეულს გვიჭრის და სადილისას მაგიდასთან გვემსახურება. მგონი, თქვენს მხარეს უნდა ცხოვრობდეს.

შმუელმა წუთით თავი ასწია და ჭამა შეწყვიტა.

— ჩემს მხარეს?

— ჰო. ხომ არ იცნობ? ძალიან მოხუცია და როდესაც მაგიდას ემსახურება, თეთრი ფრაკი აცვია ხოლმე. ალბათ, გინახავს.

— არა, — შმუელმა თავი გაიქნია, — არ ვიცნობ.

— შეუძლებელია, — გაღიზიანდა ბრუნო, თითქოს შმუელი განზრახ უარყოფდა, — სხვებთან შედარებით არც ისე მაღალია, ნაცრისფერი თმა აქვს და ცოტა მოკაკვული დადის.

— მგონი, ვერ ხვდები, რამდენი ხალხი ცხოვრობს ღობის აქეთ, — უთხრა შმუელმა, — ათასობით!

— მაგრამ ამას პაველი ჰქვია, — დაიჟინა ბრუნომ, — როცა საქანელადან ჩამოვვარდი, ჭრილობა გამისუფთავა და ინფექცია აღარ შემჭრია, შემდეგ ფეხი შემიხვია. შენ იმიტომ გეკითხები, რომ ისიც პოლონელია. შენსავით.

— ჩვენი უმეტესობა პოლონელია, — უპასუხა შმუელმა, — თუმცა სხვა ადგილებიდანაც არიან, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიიდან და...

— ჰო, მაგრამ ამიტომ მეგონა, რომ გეცოდინებოდა. თანაც აქ ჩამოსვლამდე ექიმი ყოფილა თავის მშობლიურ ქალაქში. ახლა უფლება აღარ აქვს, ვინმეს უმკურნალოს; მამას რომ სცოდნოდა, მან მომირჩინა მუხლი, უბედურება მოხდებოდა.

— ჯარისკაცებს, როგორც წესი, არ მოსწონთ, როცა ხალხი უკეთ ხდება, — შმუელმა პურის უკანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, — პირიქით, უყვართ, როცა ყველაფერი ცუდად მთავრდება.

ბრუნომ თავი დაუქნია, თუმცა კარგად ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა მისი მეგობარი და ცას ახედა. რამდენიმე წუთში ისევ

გაიხედა მავთულხლართებში და დაუსვა კითხვა, რომელიც მის გონებას მუდამ იპყრობდა:

— იცი, რა გინდა გამოხვიდე, როცა გაიზრდები?

— კი. ზოოპარკში მინდა ვიმუშაო.

— ზოოპარკში? — გაოცდა ბრუნო.

— ცხოველები მიყვარს, — ხმადაბლა თქვა შმუელმა.

— მე ჯარისკაცი გავხდები, — მტკიცე ხმით გამოაცხადა ბრუნომ, — მამასავით.

— მე არ მომეწონებოდა ჯარისკაცობა, — თქვა შმუელმა,

— ლეიტენანტ კოტლერის მსგავს ჯარისკაცებს არ ვგულისხმობ, — სწრაფად აუხსნა ბრუნომ, — ვინც ისე დაქრის ირგვლივ, თითქოს ყველაფერი მას ეკუთვნოდეს, შენს დასთან ერთად იცინის და დედაშენს ეჩურჩულება. სულაც არ მიმაჩნია კარგ ჯარისკაცად. მამასნაირ სამხედროებს ვგულისხმობ. კარგებს.

— კარგი სამხედროები არ არსებობენ, — თქვა შმუელმა.

— რა თქმა უნდა, არსებობენ, — იწყინა ბრუნომ.

— ვინ?

— მაგალითად, მამაჩემი. ამიტომ აცვია ასეთი შთამბეჭდავი უნიფორმა, ყველა კომენდანტს უწოდებს და მის ნებისმიერ ბრძანებას ასრულებენ. ფიურის დიდი გეგმები აქვს მასთან დაკავშირებით, ის ხომ ასეთი კარგი ჯარისკაცია.

— კარგი სამხედროები არ არსებობენ, — გაიმეორა შმუელმა.

— მამას გარდა, — გაიმეორა ბრუნომაც. იმედი ჰქონდა, რომ შმუელი აღარაფერს უპასუხებდა, რადგან მასთან კამათი არ უნდოდა. ის ხომ აუვიცში მისი ერთადერთი მეგობარი იყო. მაგრამ მამა მამა იყო და ბრუნოს სწორად არ მიაჩნდა, ვინმესთვის მასზე ცუდის თქმის უფლება მიეცა.

რამდენიმე წუთით ორივე გაყუჩდა — არც ერთს არ სურდა, ისეთი რამე ეთქვა, რასაც მერე ინანებდა.

— ვერ წარმოიდგენ, აქ რა საშინელებაა, — თქვა ბოლოს შმუელმა ისე ხმადაბლა, მისმა სიტყვებმა ძლივს მიაღწიეს ბრუნომდე.

— დები არ გყავს, არა? — სწრაფად ჰკითხა ბრუნომ, თავი ისე დაიჭირა, თითქოს მეგობრის ნათქვამი არც კი გაუგონია, რადგან ვერაფერს უპასუხებდა.

— არა, — შმუელმა თავი გაიქნია.

— ბედმა გაგიღიმა, — უთხრა ბრუნომ, — გრეტელი მხოლოდ თორმეტი წლისაა, მაგრამ ჰგონია, ყველაფერი იცის, სინამდვილეში კი უიმედო შემთხვევაა. მთელი დღე ფანჯარასთან ზის და როცა ლეიტენანტ კოტლერს დაინახავს, კიბეებზე ჩარბის დერეფანში, თავს იკატუნებს, თითქოს მთელი დღე იქ იყო. ამას წინათ დავინახე, ასე რომ მოიქცა: როდესაც ის შემოვიდა, შეხტა და წამოიძახა — უი, ლეიტენანტო კოტლერ, არ ვიცოდი, აქ თუ იყავითო, მე კი დანამდვილებით ვიცი, რომ იქ იჯდა და მას ელოდებოდა.

სანამ ამას უამბობდა, შმუელისთვის არ შეუხედავს, მაგრამ როდესაც შეხედა, შეამჩნია, რომ მისი მეგობარი ჩვეულებრივზე უფრო გაფითრებულიყო.

— რა მოხდა? — ჰკითხა ბრუნომ, — ისეთი სახე გაქვს, თითქოს ავად ხარ.

— არ მომწონს, მასზე რომ ლაპარაკობ, — უპასუხა შმუელმა.

— ვისზე?

— ლეიტენანტ კოტლერზე. მაშინებს.

— ცოტათი მეც მაშინებს, — შენიშნა ბრუნომ, — ცოტა არ იყოს, სახიფათო ვინმეა. და სასაცილოა, რომ მუდამ კარგი სუნი ასდის. რამდენ ოდეკოლონს ისხამს!

შმუელი აკანკალდა. ბრუნომ მიმოიხედა, თითქოს სუსხს, რომელსაც თვითონ ვერ გრძნობდა, დაინახავდა მაინც.

— რა დაგემართა? ეგრე ძალიანაც არ ცივა, არა? იცი, ჯემპრი უნდა წამოგეღო. საღამოობით აგრილდება ხოლმე.

იმ საღამოს, მოგვიანებით ბრუნოს გუნება წაუხდა, როცა გაიგო, რომ დედას, მამას, გრეტელს და მას სადილად ლეიტენანტი კოტლერი შემოუერთდებოდა. პაველს, როგორც ყოველთვის, თეთრი ფრაკი ეცვა და, სანამ ჭამდნენ, მაგიდას ემსახურებოდა.

ბრუნო მაგიდის ირგვლივ მოტრიალე პაველს აკვირდებოდა და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ როცა ისიც შემოხედავდა ხოლმე, სევდა ერეოდა. აინტერესებდა, თეთრი ფრაკი, რომელიც ოფიციანტის მოვალეობის შესრულებისას ეცვა, იგივე ხომ არ იყო, რომელსაც ექიმობისას იცვამდა ხოლმე. თეფშების მოტანისა და თითოეულის წინ მაგიდაზე ჩამორიგების შემდეგ, სანამ ბატონები სადილობდნენ და საუბრობდნენ, პაველმა კედლისკენ დაიხია და წყნარად მიეყრდნო უმისამართო მზერით. მის სხეულს თითქოს ზეზეულად, ღია თვალებით დაეძინა.

თუ რომელიმეს რაიმე დასჭირდებოდა, პაველს მაშინვე მოჰქონდა, მაგრამ რაც მეტად აკვირდებოდა ბრუნო, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ უბედურება უახლოვდებოდათ. ყოველ კვირას პაველი უფრო და უფრო ხდებოდა, თუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო, ლოყების ფერი საერთოდ გაცრეცოდა, თვალები ცრემლებით ავსებოდა და ბრუნო ფიქრობდა, თვალი რომ დაახამხამოს, ნიაღვარი წამოუვაო.

როდესაც პაველი თეფშებიანად მიუახლოვდა, ბრუნომ შენიშნა, რომ კაცს მათი სიმძიმისგან ხელები უკანკალებდა. ხოლო როცა კედლისკენ, თავის ჩვეულ ადგილას დაიხია, თითქოს ფეხზე ირწეოდა და თავის შესამაგრებლად ხელით მიეყრდნო კედელს. დედამ ორჯერ გაუმეორა, წვნიანი დამიმატეო, სანამ გააგებინებდა, ხოლო მამას ჭიქა დროულად არ შეუვსო, რადგან ერთი ბოთლი ღვინო დაცლილიყო, მეორე კი დროულად არ გაეხსნა.

— ჰერ ლისტი პოეზიისა და პიესების კითხვის უფლებას არ გვაძლევს, — დაიჩივლა ბრუნომ, როცა მთავარი კერძი მოიტანეს. რადგან სადილად სტუმარი ჰყავდათ, ოჯახს ოფიციალურად ეცვა — მამას უნიფორმა, დედას თავის თვალებთან შეხამებული მწვანე კაბა, გრეტელს და ბრუნოს კი ის სამოსი, რომელსაც ბერლინში ცხოვრებისას ეკლესიაში იცვამდნენ ხოლმე, — ვკითხე, ნუთუ კვირაში ერთი დღეც არ შეიძლება მათი წაკითხვა-მეთქი და უარი მითხრა — სანამ მე ვარ პასუხისმგებელი თქვენს განათლებაზე, ამის ნებას არ მოგცემთო.

— დარწმუნებული ვარ, საამისო მიზეზი ექნება, — მამამ ცხვრის ბარკალი გადაიღო.

— უნდა, რომ მარტო ისტორია და გეოგრაფია ვისწავლოთ, — განაგრძო ბრუნომ, — სადაცაა შემჯავრდება ერთიც და მეორეც.

— ასე ნუ ამბობ, ბრუნო, არ შეიძლება რამე გძულდეს, — უთხრა დედამ.

— რატომ გძულს ისტორია? — მამამ ჩანგალი თეფშზე დადო და მაგიდის ბოლოდან მზერა მიაწვდინა შვილს, ბრუნომ კი მხრები აიჩეჩა, თუმცა ამას ცუდ ჩვეევად უთვლიდნენ.

— იმიტომ, რომ მოსაწყენია.

— მოსაწყენი? ჩემი შვილი ისტორიას მოსაწყენს უწოდებს? აი, რას გეტყვი, ბრუნო, — მამა წინ გადაიხარა და ჩანგალი ბიჭისკენ გაიშვირა, — სწორედ ისტორიამ მოგვიყვანა აქამდე. ისტორია რომ არა, არც ერთი ჩვენგანი არ იჯდებოდა ახლა ამ მაგიდასთან — მშვიდად ვუსხდებოდით მაგიდას ბერლინში. აქ იმიტომ ვართ, რომ ისტორია შევცვალოთ.

— და მაინც, მოსაწყენია, — გაიმეორა ბრუნომ, მამის ნათქვამს წაუყრუა.

— მიუტევეთ ჩემს ძმას, ლეიტენანტო კოტლერ, — გრეტელმა ახალგაზრდა კაცს წუთით მკლავზე ხელი დაადო, რის გამოც დე-

და თვალებმოჭუტული დააკვირდა, — უბრალოდ, უმეცარი პატარა ბიჭია.

— სულაც არ ვარ უმეცარი, — გააწყვეტინა ბრუნომ, ყელში ამოუვიდა შეურაცხყოფა, — აპატიეთ ჩემს დას, ლეიტენანტო კოტლერ, — დაამატა ზრდილობიანად, — მაგრამ ის უიმედო შემთხვევაა. ვერაფრით დავეხმარებით. ექიმები ამბობენ, მისი გადარჩენა უკვე გვიანიაო.

— ხმა ჩაიწყვიტე! —ალისფერმა გადაჰკრა გრეტელს.

— თვითონ ჩაიწყვიტე ხმა, — ფართოდ გაიღიმა ბრუნომ.

— ბავშვებო, საკმარისია, — ხმას აუწია დედამ.

მამამ მაგიდაზე ჩანგლით დააკაკუნა და ყველა გაჩუმდა. ბრუნომ მისკენ გაიხედა. გაბრაზებულს არ ჰგავდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ამ კამათის შეწყვეტა სურდა.

—პატარაობაში ძალიან მიყვარდა ისტორია, — რამდენიმე წუთის შემდეგ სიჩუმე დაარღვია ლეიტენანტმა კოტლერმა, — და მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ლიტერატურის პროფესორი იყო უნივერსიტეტში, ხელოვნებას ყოველთვის სოციალური მეცნიერებები მერჩივნა.

— ეს არ ვიცოდი, კურტ, — მისკენ შებრუნდა დედა, — ახლაც ასწავლის მამაშენი?

— ასე მგონია, — უპასუხა ლეიტენანტმა კოტლერმა, — ზუსტად არ ვიცი.

— აბა, როგორ შეიძლება არ იცოდე? — დედამ შუბლი შეიკრა, — არ გაქვს მასთან ურთიერთობა?

ახალგაზრდა ლეიტენანტს პირი ცხვრის ხორცით ჰქონდა გამოტენილი და სანამ ღეჭავდა, საშუალება მიეცა, პასუხი კარგად მოეფიქრებინა. ბრუნოს ისე გადახედა, თითქოს ამ საუბრის წამოწყებას საყვედურობსო.

— კურტ, — გაუმეორადედამ, — მამასთან არ ურთიერთობ?

— სიმართლე გითხრათ, არა, — უპასუხა მან და დაბნეულად აიჩეჩა მხრები, თავი არც მიუბრუნებია, მისთვის რომ შეეხედა, — რამდენიმე წლის წინ დატოვა გერმანია. თუ არ ვცდები, ათას ცხრაას ოცდაცხრამეტში. მას შემდეგ აღარ მინახავს.

მამამ წუთით ჭამა შეწყვიტა და ოდნავ შუბლშეკრულმა ლეიტენანტ კოტლერს გახედა.

— სად წავიდა?

— უკაცრავად, ჰერ კომენდანტო, ვერ გავიგე? — თქვა ლეიტენანტმა კოტლერმა, თუმცა მამამ იდეალურად მკაფიოდ დაუსვა კითხვა.

— გკითხეთ, მამათქვენი სად წავიდა-მეთქი, — გაუმეორა მან, — ლიტერატურის პროფესორი. სად წავიდა მას შემდეგ, რაც გერმანია დატოვა?

ლეიტენანტი კოტლერი გაწითლდა და ბორძიკით ალაპარაკდა:

— მგონი... მგონი, ამჟამად შვეიცარიაშია, — თქვა ბოლოს, — მის შესახებ ბოლოს ის გავიგე, რომ ბერნში კითხულობს ლექციებს..

— ოჰ, შვეიცარია მშვენიერი ქვეყანაა, — სწრაფად ჩააურთო დედამ, — მართალია, უნდა ვაღიარო, რომ იქ არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ რაც მსმენია...

— მამათქვენი არც ისე ასაკოვანი უნდა იყოს, — მამას დაბალმა ხმამ ყველა ჩააჩუმა, — იმას ვგულისხმობ, რომ თქვენ მხოლოდ... რამდენი წლის ხართ? ჩვიდმეტის? თუ თვრამეტის?

— ახლახან ცხრამეტის გავხდი, ჰერ კომენდანტო.

— შესაბამისად, მამათქვენი უნდა იყოს... ორმოცამდე, არა?

ლეიტენანტ კოტლერს აღარაფერი უთქვამს, ჭამას აგრძელებდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მადა დაკარგა.

— უცნაურია, რომ სამშობლოში დარჩენას წასვლა არჩია, — თქვა მამამ.

— მე და მამას ახლო ურთიერთობა არ გვაქვს, — სწრაფად უპასუხა ლეიტენანტმა კოტლერმა და მაგიდასთან მსხდომებს თვალი მოავლო, თითქოს ყველას წინაშე თავის მართლებას ცდილობდა, — მართლაც წლებია, აღარ გვისაუბრია.

— შეიძლება ვიკითხო, რა მიზეზი დაასახელა, გერმანიიდან გასამგზავრებლად ქვეყნის დიდებისა და სასიცოცხლო მნიშვნელობის პერიოდში, როდესაც თითოეული ჩვენგანისთვის სავალდებულოა, ჩვენი წვლილი შევიტანოთ ერის აღორძინებაში? ჭლექიანია?

ჩიხში მოქცეულმა ლეიტენანტმა მამას შეხედა.

— უკაცრავად?

— შვეიცარიაში ჰაერის გამოსაცვლელად წავიდა? — აუხსნა მამამ, — ან რამე განსაკუთრებული მიზეზი ჰქონდა გერმანიის დასატოვებლად? თანაც — ათას ცხრაას ოცდაცხრამეტში, — დაამატა წუთის შემდეგ.

— სამწუხაროდ, არ ვიცი, ჰერ კომენდანტო, ალბათ, ეს თვითონ მას უნდა ჰკითხოთ.

— რაც საკმაოდ რთულია, არ მეთანხმებით? ის ხომ შორსაა. მაგრამ, ალბათ, ასე იქნებოდა. შესაძლოა ავად იყო, — მამა შეყოყმანდა, მერე ჩანგალი აიღო და ჭამა განაგრძო, — ან, შესაძლოა... განსხვავებული აზრი ჰქონდა.

— განსხვავებული აზრი, ჰერ კომენდანტო?

— მთავრობის პოლიტიკაზე. დროდადრო ჩვენამდე ხმები აღწევს ასეთი ადამიანების შესახებ. საინტერესო ხალხია, ჩემი წარმოდგენით. ზოგი მათგანი წუხს. სხვები მოღალატეები არიან. ლაჩრებიც. რასაკვირველია, ზემდგომები გაფრთხილებულები გყავთ მამათქვენის შეხედულებების შესახებ, არა, ლეიტენანტო კოტლერ?

ახალგაზრდა ლეიტენანტმა პირი გააღო, შემდეგ ნერწყვი გადაყლაპა, თუმცა აღარაფერს ჭამდა.

— სულერთია, — მხიარულად დაასრულა მამამ, — მგონი, ეს არც ისე შესაფერისი თემაა სადილზე სასაუბროდ. მოგვიანებით უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

— ჰერ კომენდანტო, — შეშფოთებული ლეიტენანტი კოტლერი მაგიდაზე გადაიხარა, — შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ...

— ეს არ არის შესაფერისი თემა სადილზე სასაუბროდ, — მკვეთრად გაიმეორა მამამ, რითაც მაშინვე გააჩუმა, ბრუნო კი ხან ერთს შესცქეროდა და ხან მეორეს, თანაც მაგიდასთან შექმნილი ატმოსფერო ერთდროულად სიამოვნებდა და აშინებდა.

— სიამოვნებით წავიდოდი შვეიცარიაში, — ხანგრძლივი დუმილის დარღვევა სცადა გრეტელმა.

— გრეტელ, ჭამე, — გააჩუმა დედამ.

— უბრალოდ, ვთქვი.

— ჭამე, — გაუმეორა დედამ და კიდევ რაღაცის დამატებას აპირებდა, მაგრამ მამის ხმამ გააწყვეტინა. პაველს ეძახდა.

— რა გჭირს ამ საღამოს? — ჰკითხა მან, სანამ პაველი ახალ ბოთლს საცობს აძრობდა, — მეოთხედ გიმეორებ, რომ ღვინო დამიმატო.

ბრუნომ შეშფოთებით შეათვალიერა პაველი, იმედი ჰქონდა, ავად არ იქნებოდა. მოხუცმა მოახერხა, კორპის საცობი უხიფათოდ ამოეძრო, მაგრამ როდესაც მამას სასმისი შეუვსო და ლეიტენანტი კოტლერისთვის შესავსებად მიტრიალდა, როგორღაც ბოთლი ხელიდან გაუსრიალდა და დაუვარდა. გაისმა „დღლუმპ-დღლუმპ-დღლუმპ“ და მთელი სასმელი მძიმედ გადაესხა ახალგაზრდა კაცს კალთაზე.

რაც შემდეგ მოხდა, მოულოდნელიც იყო და საშინელიც. ლეიტენანტი კოტლერი პაველზე განრისხდა და არავის — არც ბრუნოს, არც გრეტელს, არც დედას, მამასაც კი არა — არ შეუჩერებია ის, თუმცა ვერც ერთი ვერ უყურებდა მის საქციელს. ამის გამო ბრუნო ატირდა, გრეტელი კი გაფითრდა.

იმავე ღამეს, მოგვიანებით, დასაძინებლად მიმავალი ბრუნო გონებაში აანალიზებდა მომხდარს. ახსენდებოდა, რა კეთილად მოექცა პაველი იმ შუადღეს, როდესაც თავის გამართული საქანელიდან გადმოვარდა, როგორ შეუჩერა მუხლიდან სისხლდენა და რა მზრუნველად წაუსვა მწვანე საცხი. და მართალია, ბრუნომ იცოდა,რომ ჩვეულებრივ მამა კეთილი და მზრუნველი კაცი იყო, მაინც უსამართლობად ეჩვენებოდა, რომ არავინ შეაჩერა ლეიტენანტი კოტლერი, როდესაც მან მთელი ჯავრი პაველზე იყარა. თუ ასე ხდებოდა მთელ აუვიცში, აჯობებდა, აღარავისთან ეკამათა არც ერთ თემაზე; საერთოდაც, კარგი იქნებოდა, თუ პირს დამუწავდა და რაიმე ალიაქოთს არ გამოიწვევდა. ვინმეს შეიძლება ეს არ მოსწონებოდა.

ძველი, ბერლინური ცხოვრება უკვე შორეულ მოგონებად ეჩვენებოდა და ძლივსღა იგონებდა, როგორ გამოიყურებოდნენ კარლი, დანიელი და მარტინი, დანამდვილებით მხოლოდ ის ახსოვდა, რომ ერთი მათგანი წითური იყო.

ბრუნო დამაჯერებლად იტყუება

რამდენიმე კვირის განმავლობაში, როცა ჰერ ლისტი გაკვეთილებს ამთავრებდა და მიდიოდა, ხოლო დედას შუადღის თვლემა ერეოდა, ბრუნო სახლიდან იპარებოდა და ხანგრძლივ ლაშქრობას აწყობდა მესრის გასწვრივ შმუელთან შესახვედრად. იგი მიწაზე ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა და თავის წინ მტვერს მიჩერებული თითქმის ყოველ შუადღეს იქ ელოდებოდა.

ერთხელ შმუელი თვალჩალურჯებული დახვდა და როდესაც ბრუნომ ჰკითხა, რა დაგემართაო, უპასუხა, ამაზე საუბარი არ მსურსო. ბრუნომ დაასკვნა, რომ მთელ ქვეყანაზე არსებობდნენ ჩხუბისთავები, მარტო მის ბერლინის სკოლაში კი არა, და ერთ-ერთმა დაალურჯა ასე შმუელი. დიდი სურვილი ჰქონდა, მეგობარს დახმარებოდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა საიმისო, რომ მდგომარეობა ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა, თანაც დარწმუნებული იყო, შმუელსაც ერჩივნა, თავი მოეკატუნებინა, რომ ეს უსიამოვნება არასოდეს შემთხვევია.

ბრუნო ყოველდღე ეკითხებოდა შმუელს, არ შეიძლება, მავთულხლართის ქვემოდან გამოვცოცდე და ღობის მაგ მხარეს ერთად ვითამაშოთო, მაგრამ ბიჭი ყოველთვის უარზე იდგა.

— არ ვიცი, რატომ ხარ ასე ძალიან მოწადინებული, ამ მხარეს მოხვდე, — უთხრა ერთხელ შმუელმა, — არც ისე კარგი ადგილია.

— შენ ჩემს სახლში არ გიცდია ცხოვრება, — უპასუხა ბრუნომ, — ჯერ ერთი, ხუთი სართული არ აქვს, მხოლოდ სამი აქვს. როგორ შეიძლება ასეთ მოცუცქნულ სივრცეში არსებობა? — სულ დაავიწყდა შმუელის მონაყოლი თერთმეტ ადამიანზე, რომელიც ერთ ოთახში ცხოვრობდა, სანამ ბიჭის ოჯახი აუვიცში მოვიდოდა, იმ ჩხუბისთავი ლუკას ჩათვლით, რომელიც მას ყოველთვის სცემდა, მაშინაც კი, როდესაც შმუელი არაფერს აშავებდა.

ერთ დღეს ბრუნომ იკითხა, რატომ იყვნენ შმუელი და ყველა მესერს იქით მცხოვრები ერთსა და იმავე ზოლიან პიჟამასა და ნაჭრის ქუდში გამოწყობილები.

— ეს ტანსაცმელი აქ ჩამოსვლისას დაგვირიგეს, — აუხსნა შმუელმა, — ჩვენ რაც გვეცვა, ჩამოგვართვეს.

— მაგრამ დილით რომ გაიღვიძებ ხოლმე, სხვა რამის ჩაცმა არ გინდება? შენს გარდერობში რამე განსხვავებულიც ხომ უნდა იყოს.

შმუელმა თვალები დაახამხამა და პირიც გააღო, მაგრამ მერე გადაიფიქრა პასუხის გაცემა.

— არც კი მომწონს ზოლები, — თქვა ბრუნომ, თუმცა ეს სულაც არ იყო მართალი — სინამდვილეში ძალიანაც მოსწონდა ეს ზოლები და თანდათან თავს აბეზრებდა ის ფაქტი, რომ იძულებული იყო ჩაეცვა შარვლები, პერანგები, ყელსახვევები და ფეხსაცმელები, რომლებიც ძალიან უჭერდა, ეს მაშინ, როცა შმუელი და მისი ამხანაგები მთელ დღეებს ზოლებიანი პიჟამებით ატარებდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ამდენი ხნის განმავლობაში პირველად, ბრუნომ გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ თავსხმა წვიმა იყო. ეტყობოდა, ღამით დაწყებულიყო და ბიქჭმა ისიც კი იფიქრა, ალბათ, წვიმის ხმამ გამაღვიძაო, მაგრამ დარწმუნებით ვერ იტყოდა — უკვე გაღვიძებულმა ძნელია, დაადგინო, რამ გაგაღვიძა. წვიმა საუზმობისასაც გაგრძელდა. მთელი დილის გაკვეთილების განმავლობაში, რომლებსაც ჰერ ლისტი უტარებდა, არ გადაუღია. სამხრის დროს ისევ წვიმდა, შუადღეს, გეოგრაფიისა და ისტორიის გაკვეთილების დასასრულსაც წვიმდა და წვიმდა. ეს ძალიან ცუდი იყო, რადგან იმას ნიშნავდა, რომ სახლიდან ვერ გაიპარებოდა და შმუელს ვერ შეხვდებოდა.

იმ შუადღეს ბრუნო საწოლზე იყო წამოწოლილი წიგნით, მაგრამ გონების მოკრება უჭირდა. მოულოდნელად უიმედო შემ-

თხვევა მოვიდა მის სანახავად. ის იშვიათად შემოდიოდა ბრუნოს ოთახში, თავისუფალ დროს ყოველთვის ერჩივნა, გამუდმებით დაელაგებინა და გადაელაგებინა თავისი თოჯინების კოლექცია. თუმცა, წვიმიანმა ამინდმა როგორც ჩანს, მის განწყობაზე იმოქმედა — საყვარელ თამაშს ისიც ვეღარ უდებდა გულს.

— რა გინდა? — ჰკითხა ბრუნომ.

— როგორი სასიამოვნო მისალმებაა, — შენიშნა გრეტელმა.

— ვკითხულობ, — თქვა ბრუნომ.

— რას კითხულობ? — პასუხის ნაცვლად ბიჭმა უბრალოდ ყდა აჩვენა, რომ თვითონვე წაეკითხა.

გოგონამ ტუჩებით ისე გააპრუწუნა, ნერწყვის წვეთი ბრუნოსაც კი მოხვდა სახეზე.

— მოსაწყენია, — წაიღიღინა გრეტელმა.

— სულაც არ არის მოსაწყენი, — შეეკამათა ბრუნო, — სათავგადასავლოა. დარწმუნებული ბრძანდებოდე, თოჯინებს ნამდვილად სჯობს.

გრეტელმა წაკბენა არ შეიმჩნია.

— რას აკეთებ? — გააგრძელა მან, რითაც კიდევ უფრო გააღიზიანა ბრუნო.

— ხომ გითხარი, ვცდილობ ვიკითხო, — პირქუშად უპასუხა, — მაგრამ ზოგიერთები არ მაცდიან.

— საქმე არაფერი მაქვს, — შესჩივლა გრეტელმა, — ვერ ვიტან წვიმას.

ბრუნოს უჭირდა დისთვის გაეგო — გოგონა ხომ ისედაც არასოდეს არაფერს აკეთებდა, მისგან განსხვავებით, რომელსაც თავგადასავლები ჰქონდა, სხვადასხვა ადგილზე გამოძიებას ატარებდა და მეგობარიც გაიჩინა. გრეტელი სახლიდანაც იშვიათად გადიოდა. ისე გამოდიოდა, თითქოს იმიტომმოიწყინა, რომ ამ შემთხვევაში არჩევანის საშუალება აღარ რჩებოდა, საკუთარი ნებით დარჩენილიყო სახლში. მაგრამ მაინც, ხანდახან არსე-

ბობს წუთები, როდესაც ძმამ და დამ გვერდით უნდა გადადონ ერთმანეთის საწამებელი იარაღები და ცივილიზებული ადამიანებივით დაილაპარაკონ; ბრუნომ გადაწყვიტა, ეს დღე ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად ექცია.

— მეც მძულს წვიმა, — თქვა მან, — ახლა შმუელთან უნდა ვიყო. იფიქრებს, დავავიწყდიო.

სიტყვები მანამდე წამოსცდა, სანამ მათ შეჩერებას შეძლებდა; ამიტომ უეცრად მუცელში ტკივილი იგრძნო და საკუთარ თავზე გაცოფდა, საიდუმლო რომ გათქვა.

— ვისთან უნდა იყო? — ჰკითხა გრეტელმა.

— რაზე მეკითხები? — ბრუნომ უცოდველივით აახამხამა თვალები.

— ვისზე თქვი, მასთან ერთად უნდა ვიყოო? — გაუმეორა კითხვა გრეტელმა.

— მაპატიე, — ბრუნო ცდილობდა, სწრაფად ეაზროვნა, — შენი კარგად არ მესმის. შეგიძლია კიდევ გამიმეორო?

— ვისზე თქვი, რომ მასთან ერთად უნდა იყო? — დაუყვირა გრეტელმა, თან მისკენ გადაიხარა, ასე რომ, ამჯერად შეცდომა გამორიცხული იყო.

— არ მითქვამს, რომ ვინმესთან უნდა ვიყო, — უარყო ბრუნომ.

— დიახ, თქვი. ვიღაცაზე თქვი, იფიქრებს, რომ დამავიწყდაო.

— პარდონ?

— ბრუნო! — მუქარა შეერია გრეტელის ხმას.

— გაგიჟდი? — ბრუნო ცდილობდა, ისე მოქცეულიყო, თითქოს დას ყველაფერი მოესმა, მაგრამ არცთუ დამაჯერებლად გამოსდიოდა, რადგან ბებიასავით, ბუნებით მსახიობი არ იყო, ამიტომ გრეტელმა თავი გაიქნია და თითი მიუშვირა.

— რა თქვი, ბრუნო? — დაიჟინა მან, — შენ თქვი, რომ ვიღაცასთან ერთად უნდა იყო. ვისთან? მითხარი! აქ ხომ არავინაა, ვისაც ეთამაშები, ასე არაა?

ბრუნო შავ დღეში აღმოჩნდა: ერთი მხრივ, მას და მის დას ერთი მნიშვნელოვანი საერთო გააჩნდათ — ბავშვები იყვნენ. მართალია, თავი არასოდეს შეუწუხებია, გრეტელისთვის ამის შესახებ ეკითხა, მაგრამ ყველანაირი საფუძველი არსებობდა საიმისოდ, აუვიცში ისიც ბრუნოსავით მარტოსული ყოფილიყო. ბოლოსდაბოლოს, ბერლინში მას ჰყავდა ჰილდა, იზაბელი და ლუიზა, რომლებთანაც თამაშობდა; ისინი შეიძლება თავის მომაბეზრებელი გოგონები იყვნენ, მაგრამ მის დასთან მეგობრობდნენ. აქ კი არავინ გააჩნდა უსიცოცხლო თოჯინების გარდა. ვინ იცის, იქნებ სულაც გიჟდებოდა? იქნებ ეჩვენებოდა, რომ თოჯინები ელაპარაკებოდნენ ხოლმე?

მაგრამ მეორე მხრივ უდავო იყო, რომ შმუელი მისი, ბრუნოს მეგობარი იყო და არა — გრეტელის; ბიჭს არ სურდა, გრეტელისთვის გაეყო იგი. ერთი გამოსავალიღა დარჩენოდა — უნდა ეცრუა.

— ახალი მეგობარი მყავს, — დაიწყო მან, — მეგობარი, რომლის სანახავადაც ყოველდღე დავდივარ. და ახლა წესით უნდა მელოდებოდეს. მაგრამ არავის უთხრა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ის წარმოსახვითი მეგობარია, — ბრუნო მონდომებით ცდილობდა, ლეიტენანტ კოტლერის მსგავსად დაერცხვინა, როდესაც იგი მამამისისა და შვეიცარიის ამბის მოყოლისას მახეში გაება, — ყოველდღე ერთად ვთამაშობთ.

გრეტელი პირდაღებული მიაჩერდა, შემდეგ კი სიცილი აუტყდა.

— წარმოსახვითი მეგობარი! — წამოიძახა, — ცოტა დიდი ხომ არ ხარ წარმოსახვით მეგობართან სათამაშოდ?

ბრუნო ცდილობდა, შერცხვენილი და შეცბუნებული გამოჩენილიყო, რომ თავისი ამბისთვის მეტი დამაჯერებლობა შეემატებინა — საწოლზე წრიალებდა და ცდილობდა, დისთვის თვალებში

არ შეეხედა. როგორც ჩანს, გამოუვიდა კიდეც. იქნებ, არც ისეთი ცუდი მსახიობი იყო, როგორიც ეგონა. ძალიან უნდოდა, საკუთარი თავი ეიძულებინა, გაწითლებულიყო კიდეც, მაგრამ ეს რთული აღმოჩნდა; ამის მისაღწევად ყველა ის სამარცხვინო შემთხვევა გაიხსენა, რაც კი წლების განმავლობაში შემთხვევია, თან ინტერესი კლავდა, თუ იმოქმედებდა ეს ხერხი.

გაახსენდა, ერთხელ სააბაზანოს კარის ჩაკეტვა რომ დაავიწყდა, ბებიამ შეუსწრო და ყველაფერი დაუნახა; გაიხსენა ის დღე, როცა სკოლაში ხელი აიწია და მასწავლებელს შემთხვევით „დედა“ დაუძახა, კლასმა კი დასცინა. ის მომენტიც გაიხსენა, როცა განსაკუთრებული მანევრის შესრულების მცდელობისას გოგოების ჯგუფის წინ ველოსიპედიდან გადმოვარდა, მუხლი იტკინა და აღრიალდა.

რომელიღაც მოგონებამ შედეგი გამოიღო — იგრძნო, რომ სახე აუჭარხლდა.

— ნეტავ საკუთარი თავისთვის შეგახედა, — დაუდასტურა შეგრძნება გრეტელის სიტყვებმა, — სულ გაწითლდი.

— იმიტომ, რომ არ მინდოდა შენთვის გამემხილა.

— წარმოსახვითი მეგობარი! ბრუნო, მართლა უიმედო შემთხვევა ხარ.

ბრუნოს გაეღიმა. საამისოდ ორი მიზეზი ჰქონდა: პირველი ის, რომ ტყუილი გაუვიდა, მეორე კი ის, რომ თუ ახლომახლო ვინმე უიმედო შემთხვევა იყო, ბრუნო კი არა, სწორედ გრეტელი გახლდათ.

— ახლა მარტო დამტოვე, — თქვა მან, — მინდა, წიგნი წავიკითხო.

— არ გინდა წამოწვე, თვალები დახუჭო და შენს წარმოსახვით მეგობარსსთხოვო, წიგნი წაგიკითხოს? — გრეტელს სიამოვნებდა, ბრუნოს გამოსაჯავრებელი მიზეზი რომ უპოვა და ასე სწრა-

ფად არ აპირებდა ამ თემაზე საუბრის დასრულებას, — თავს რატომ იწუხებ?

— იქნებ შენს ოთახში გავგზავნო, ყველა თოჯინა რომ ფანჯრიდან გადაგიყაროს?

— სცადე და ნახავ რაც მოგივა, — ხმა გაუმკაცრდა გრეტელს და ბრუნო დარწმუნებული იყო,რომ ასეც იქნებოდა, — კარგი, ერთი მითხარი, ბრუნო, რას აკეთებთ შენ და ეს შენი წარმოსახვითი მეგობარი ისეთს, რომ ის შენთვის განსაკუთრებულია?

ბრუნო დაფიქრდა. მიხვდა, რომ მართლა უნდოდა ვინმესთვის ცოტა მაინც მოეყოლა შმუელზე და ვინ იცის, იქნებ ახლა საამისო დრო იყო; თანაც აუცილებლობას არ წარმოადგენდა, მეგობარზე ყველაფერი დაწვრილებით გაემხილა.

— ჩვენ ყველაფერზე ვსაუბრობთ. მე მას ვუყვები ჩვენს ძველ, ბერლინის სახლზე, კიდევ სხვა სახლებზე, ქუჩებზე, ხილისა და ბოსტნეულის დახლებზე; კაფეებზე და რომ არ უნდა ისეირნო ქალაქში შაბათ შუადღეს, თუ არ გინდა, რომ ერთი ბოლოდან მეორემდე გაგიტაცოს ხალხის ნაკადმა; ვუამბობ კარლზე, დანიელსა და მარტინზე და რატომ იყვნენ ისინი ჩემი საუკეთესო მეგობრები.

— რა საინტერესოა, — სარკასტულად თქვა გრეტელმა. ცოტა ხნის წინ დაბადების დღე ჰქონდა, ცამეტი წლის გახდა და მას შემდეგ ეგონა, რომ სარკაზმი გონებამახვილობის მწვერვალი იყო, — ის რაღას გიყვება?

— ის თავისი ოჯახის შესახებ მიყვება: საათების მაღაზიაზე, რომლის თავზეც ცხოვრობდა და აქ ჩამოსვლისას თავს გადამხდარ თავგადასავლებზე, თავის მეგობრებზე და ხალხზე, რომელსაც აქ იცნობს; ბიჭებზე, რომლებთანაც თამაშობდა ხოლმე, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელია, რადგან ისინი მასთან დაუმშვიდობებლად გაუჩინარდნენ სადღაც.

— ერთი სიტყვით, პირდაპირ სიცილით გაგხეთქავს! ნეტავ ჩემი წარმოსახვითი მეგობარი ყოფილიყო.

— გუშინ მითხრა, ჩემი ბაბუა რამდენიმე დღეა აღარ გამოჩენილა და არავინ იცის, სადაა, ხოლო როცა მამას მის შესახებ ვეკითხები, ტირილს იწყებს და ისე მაგრად მეხუტება, მეშინია, არ შემოვეჭყლიტოო.

ბრუნომ წინადადება დაასრულა და უცებ მიხვდა, რომ ხმა უწყდებოდა. ეს ყველაფერი შმუელმა უამბო, მაგრამ რატომღაც მას აქამდე არ გაუაზრებია, როგორ დაასევდიანებდა ეს ყველაფერი მის მეგობარს. როცა ამ ისტორიას თვითონ მოჰყვა, ბრუნომ უცებ თავი საშინლად იგრძნო — რომ არ უცდია, რამით გაემხნევებინა შმუელი და ამის ნაცვლად ისეთ სისულელეზე გაუბა საუბარი, როგორიც გამოძიება იყო. ხვალ ვეტყვი, რომ ვწუხვარ, გადაწყვიტა გულში.

— მამამ რომ გაიგოს შენი წარმოსახვითი მეგობრის შესახებ, გაგიბრაზდება, — უთხრა გრეტელმა, — ჩემი აზრით, მასთან მეგობრობა უნდა შეწყვიტო.

— რატომ?

— იმიტომ რომ ეს არაჯანსაღია — სიგიჟის პირველი ნიშანი.

ბრუნომ თავი დაუქნია.

— არა მგონია, შემეძლოს, — თქვა მან ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, — არა მგონია, ეს მინდოდეს.

— ყოველ შემთხვევაში, — გრეტელი თითქოს ყოველ წამს უფრო გულკეთილი ხდებოდა, — შენს ადგილას ამას საიდუმლოდ შევინახავდი.

— ჰო, — ბრუნომ სცადა, სევდიანი სახე მიეღო, — ალბათ, მართალი ხარ. შენ ხომ არავის ეტყვი?

დამ თავი გააქნია.

— არავის. ჩემი წარმოსახვითი მეგობრის გარდა.

ბრუნომ პირი დააღო.

— შენც გყავს? — ჰკითხა და სცადა, წარმოედგინა ღობესთან, თავისტოლა გოგოსთან მოსაუბრე გრეტელი — ალბათ, ორივე მათგანი საათობით აფრქვევდა სარკაზმს.

— არა, — გაეცინა მას, — ღვთის გულისათვის, მე ცამეტი წლის ვარ! შენგან განსხვავებით, არ შემიძლია, თავს უფლება მივცე, ბავშვივით მოვიქცე.

ამ სიტყვებით მხიარულად გავარდა ოთახიდან და ცოტა ხანში ბრუნოს მოესმა, როგორ ესაუბრებოდა თოჯინებს დერეფნის გადაღმა ოთახში —ეჩხუბებოდა, როგორც კი თვალი მოგაცილეთ ოთახი აურიეთ და ახლა სხვა გზა აღარ მაქვს, ხელახლა უნდა გადაგალაგოთ. თქვენ რა, გგონიათ ამის მეტი საქმე არ მაქვსო?

— ზოგიერთების გასაგონად ვამბობ! — დაიძახა ხმამაღლა, სანამ საქმეს შეუდგებოდა.

ბრუნომ სცადა, კითხვა გაეგრძელებინა, მაგრამ გული ვეღარ დაუდო და გარეთ წვიმას მიაჩერდა. აინტერესებდა, სადაც უნდა ყოფილიყო ახლა, შმუელი თუ ფიქრობდა მასზე და ბრუნოსავით თუ ენატრებოდა მათი საუბრები.

ცუდი საქციელი

რამდენიმე კვირის მანძილზე ხან წვიმდა და ხან გადაიღებდა, ამიტომ ბრუნო და შმუელი ერთმანეთს ისე ხშირად ვეღარ ხვდებოდნენ, როგორც უნდოდათ. შეხვედრებისას ბრუნო სულ უფრო ნერვიულობდა მეგობარზე, რომელიც თანდათან იკლებდა წონაში, სახე კი მეტად და მეტად უნაცრისფრდებოდა. ზოგჯერ სახლიდან ბლომად პური და ყველი მიჰქონდა შმუელისთვის. ხანდახან ჯიბეში შოკოლადის ნამცხვრის ნაჭრის გადამალვასაც ახერხებდა, მაგრამ საკმაოდ შორი გზა ედო თავისი სახლიდან იმ ადგილამდე, სადაც ბიჭები ერთმანეთს ხვდებოდნენ ხოლმე - ზოგჯერ ბრუნოს გზაში შივდებოდა, ამიტომ ნამცხვარს მოაკბეჩდა, მერე ერთ ლუკმას მეორე მიჰყვებოდა და ბოლოს, როდესაც აღმოაჩენდა, რომ ერთი ლუკმა ნამცხვარიღა შემორჩენოდა, ხვდებოდა, სწორი არ იქნებოდა შმუელისთვის ამ ნატეხის შეთავაზება. ეს შიმშილს ვერ მოუკლავდა და მხოლოდ მადას გაუღვიძებდა.

მალე მამას დაბადების დღე მოდიოდა და მართალია, განაცხადა, დიდი აურზაური არ მინდაო, მაგრამ დედამ წვეულების მოწყობა გადაწყვიტა აუვიცში მომსახურე ყველა ოფიცრისათვის და ამისთვის მზადებას სწორედაც რომ დიდი აურზაური დასჭირდა. ყოველთვის, როდესაც დედა წვეულებისთვის დამატებითი გეგმების დასაწყობად ჩამოჯდებოდა, ლეიტენანტი კოტლერი მის გვერდით ჩნდებოდა დასახმარებლად და, როგორც ჩანდა, ერთად უფრო ვრცელ სიებს ადგენდნენ, ვიდრე სინამდვილეში დასჭირდებოდათ.

ბრუნომ გადაწყვიტა, საკუთარი სია შეედგინა. იმ მიზეზების სია, რატომ არ მოსწონდა ლეიტენანტი კოტლერი.

ფაქტი იყო, რომ ის არასოდეს იღიმოდა და ყოველთვის ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ცდილობდა, აღმოეჩინა ვინმე, ვისაც საკუთარი ანდერძიდან ამოშლიდა.

იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ბრუნოსთან დალაპარაკებას იკადრებდა, „პატარა კაცოო“ მიმართავდა, ეს კი სრული სისაძაგლე იყო. ერთხელ დედამ ბრუნოს აუხსნა, შენთვის გამაღლება ჯერ ადრეაო.

მარტო ის რად ღირდა, რომ მუდამ სასტუმრო ოთახში ტრიალებდა დედასთან ერთად, ეხუმრებოდა და აცინებდა მას. დედაც მის ხუმრობებზე უფრო მეტს იცინოდა, ვიდრე მამისებზე.

ერთხელ, როდესაც ბრუნო საძინებლის ფანჯრიდან ბანაკს გაჰყურებდა, დაინახა, როგორ მოუახლოვდა მესერს ძაღლი, რომელიც ხმამაღლა ყეფდა; ლეიტენანტი კოტლერი მაშინვე ძაღლისკენ გაიქცა, ესროლა და მოკლა.

კიდევ, გრეტელის გამო, რომელიც უამრავ სისულელეს აკეთებდა, როდესაც ახლომახლო ლეიტენანტი ეგულებოდა.

ბრუნოს არც პაველთან დაკავშირებული საღამო დავიწყებოდა — ოფიციანტთან, რომელიც სინამდვილეში ექიმი იყო — როგორ განურისხდა მას ლეიტენანტი.

გარდა ამისა, როცა მამას ბერლინში გამოიძახებდნენ ხოლმე და ღამით მიემგზავრებოდა, ლეიტენანტი ისე დააბოტებდა სახლში, თითქოს უფროსი ყოფილიყო: მათთან იყო, როდესაც ბრუნო დასაძინებლად მიდიოდა და როცა იღვიძებდა, მაშინაც იქ ხვდებოდა.

კიდევ ბევრი მიზეზიყს გამო არ მოსწონდა ბრუნოს ლეიტენანტი კოტლერი, მაგრამ ამაზე რომ ფიქრობდა, გონებაში უკვე ჩამოთვლილები ამოუტივტივდა.

საიუბილეო წვეულების წინა დღეს ბრუნო კარღია ოთახში იყო, როდესაც სახლში ვიღაცასთან მოსაუბრე ლეიტენანტი კოტლერის ხმა შემოესმა, მაგრამ მეორე ადამიანის პასუხი არ გაუგია. რამდენიმე წუთში, კიბეებზე ჩასვლისას ყური მოჰკრა, რომ დედა ინსტრუქციებს იძლეოდა იმის შესახებ, რა უნდა გაეკეთებინათ და ლეიტენენატი კოტლერი პასუხობდა — ნუ ღელავთ,

მშვენივრად იცის, რომელ მხარეს უსვია მის პურს კარაქიო, — და ვიღაცას დასცინოდა.

ბრუნო დაბლა დაეშვა, სასტუმრო ოთახისკენ, თან მამის ნაჩუქარი „განძის კუნძული“ ჩაებღუჯა, აპირებდა ერთი-ორი საათით იქ ჩამომჯდარიყო და წაეკითხა, მაგრამ დერეფანში გასვლისთანავე ლეიტენანტ კოტლერს გადააწყდა — ის სწორედ მაშინ სამზარეულოდან გამოდიოდა.

— გამარჯობა, პატარა კაცო, — როგორც ყოველთვის, დამცინავად მიესალმა ჯარისკაცი.

— გაგიმარჯოს, — მოიღუშა ბრუნო.

— საით გაგიწევია?

ბრუნომ შეხედა და კიდევ ბევრი ახალი მიზეზი აღმოაჩინა საიმისოდ, რომ არ მოსწონებოდა.

— იქით, — მიუთითა სასტუმრო ოთახზე, — წიგნის წაკითხვას ვაპირებ.

კოტლერმა ხმის ამოუღებლად გამოსტაცა წიგნი ხელიდან და გადაფურცლა.

— „განძის კუნძული“, — ამოიკითხა მან, — რაზეა?

— კუნძულზე, — ნელა უპასუხა ბრუნომ, მისი აზრით, ჯარისკაცი ადვილად ვერ გაიგებდა საქმის არსს, — რომელზეც საგანძურია.

— ამას თვითონაც მივხვდებოდი, — კოტლერმა ისე შეხედა, ცხადი იყო, კარგი არაფერი მოელოდა, ბიჭი რომ მისი შვილი ყოფილიყო და არა კომენდანტის, — რამე ისეთი მითხარი, რასაც ვერ გამოვიცნობ.

— მანდ ერთი მეკობრეა, — განაგრძო ბრუნომ, — აყლაყუდა ჯონ სილვერსეძახიან. და ბიჭი, სახელად ჯიმ ჰოკინზი.

— ინგლისელი ბიჭი? — იკითხა კოტლერმა.

— დიახ.

— ღრუტ, — დაიღრუტუნა კოტლერმა.

ბრუნო ინტერესით აკვირდებოდა მას. ცდილობდა გამოეცნო, რამდენ ხანს არ დაუბრუნებდა წიგნს. ლეიტენანტი დიდად დაინტერესებული არ ჩანდა წიგნით, მაგრამ როცა ბრუნომ წინ წაიწია გამოსართმევად, უკან დაიხია.

— უკაცრავად, — კოტლერმა წიგნი გაუწოდა და როდესაც ბრუნომ მისკენ ნაბიჯი გადადგა, მეორედ დაიხია უკან, — ოჰ,ძალიან ვწუხვარ, — გაიმეორა და კიდევ ერთხელ გაუწოდა. ამჯერად ბრუნომ იმარჯვა და ხელიდან გამოსტაცა, სანამ ისევ უკან წაღებას მოასწრებდა.

— რა სწრაფი ხარ, — კბილებში გამოსცრა ლეიტენანტმა კოტლერმა.

ბრუნომ სცადა, მისთვის გვერდი აეარა, მაგრამ თითქოს რაღაც მიზეზით, ლეიტენანტ კოტლერს დღეს მასთან საუბარი სურდა.

— წვეულებისთვის ყველა მზადაა, ხომ? — იკითხა მან.

— მე მზად ვარ, — ბრუნო ბოლო დროს მეტ ხანს ატარებდა გრეტელთან და თანდათან უფრო მოსწონდა სარკაზმი, — შენზე კი ვერაფერს ვიტყვი.

— ბევრი სტუმარი მოვა, — მძიმედ ამოისუნთქა ლეიტენანტმა კოტლერმა და ისე მიმოიხედა, თითქოს თავის სახლში ყოფილიყო და არა ბრუნოსი, — უნდა ვეცადოთ, კარგად მოვიქცეთ, არა?

— მე მოვახერხებ და შენი არ ვიცი.

— ასეთი პატარა კაცის კვალობაზე საკმაოდ ენაგატლეკილი ხარ, — შენიშნა ლეიტენანტმა კოტლერმა.

ბრუნომ თვალები მოჭუტა და ინატრა უფრო მაღალი, ძლიერი და რვა წლით უფროსი ყოფილიყო. ისე უცებ განრისხდა, თითქოს მუცელში ბრაზის ყუმბარა აუფეთქდა; უნდოდა გამბედაობა ჰქონოდა, პირში მიეხალა ის, რისი თქმაც სურდა. მისი აზრით, ერთი იყო დედ-მამას დაერიგებინა, როგორ მოქცეულიყო — ეს სრულიად გონივრული და მოსალოდნელი საქციელი იყო — მაგრამ სრუ-

ლიად სხვა საქმედ მიაჩნდა, ვიღაც სხვა მოქცეულიყო ასე. თუნდაც ისეთი ახირებული ტიტულის მქონე, როგორიცაა „ლეიტენანტი“.

— ოჰ, კურტ, ძვირფასო, ისევ აქ ხართ? — დედა სამზარეულოდან გამოვიდა და მათ მიუახლოვდა, — ცოტა თავისუფალი დრო მაქვს და... უი! —შეამჩნია ბიჭუნა, — ბრუნო! აქ რას აკეთებ?

— სასტუმრო ოთახში მივდიოდი წიგნის წასაკითხად, — უპასუხა ბრუნომ, — ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი.

— კარგი, მაშინ ცოტა ხნით სამზარეულოში შეირბინე, — უთხრა დედამ, — ლეიტენანტ კოტლერს რაღაც მინდა ვუთხრა.

უფროსები სასტუმრო ოთახში შევიდნენ და ლეიტენანტმა კოტლერმა ბრუნოს კარი ცხვირწინ მოუკეტა.

სიბრაზისგან ადუღებული ბრუნო სამზარეულოში შევიდა და იქ თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდი სიურპრიზი დახვდა. მაგიდასთან, მესრისგან ძალიან, ძალიან მოშორებით, შმუელი იჯდა. ბრუნო თვალებს არ უჯერებდა.

— შმუელ! აქ რას აკეთებ?

შმუელმა თავი ასწია და როდესაც მეგობარი დაინახა დამფრთხალი სახე ფართო ღიმილმა გაუნათა.

— ბრუნო!

— აქ რას აკეთებ? — გაუმეორა ბრუნომ. მართალია, აქამდე ვერ გაერკვია, რა ხდებოდა მესერს იქით, მაგრამ რატომღაც გრძნობდა, რომ იქაურებს მის სახლში არაფერი ესაქმებოდათ.

— მან მომიყვანა.

— მან? — იკითხა ბრუნომ, — შენ რა, ლეიტენანტ კოტლერზე ამბობ?

— ჰო. თქვა, საშენო საქმე მაქვსო.

ბრუნომ მაგიდას დახედა და დაინახა, რომ მასზე სამოცდაოთხი პატარა ჭიქა ჩააემწკრივებინათ, სწორედ ისინი, რომლებითაც დედა სამკურნალო ნაყენს სვამდა ხოლმე. ჭიქების გვერდით კი

საპნიანი თბილი წყლით სავსე თასი და უამრავი ქაღალდის ხელსახოცი დაეხვავებინათ.

— ღვთის გულისათვის, რას აკეთებ?

— ჭიქების გაპრიალება მიბრძანეს, — აუხსნა შმუელმა, — ასე თქვეს, ციცქნათითებიანი ვინმე გვჭირდებაო.

თითქოს იმის დასამტკიცებლად, რაც ბრუნომ ისედაც იცოდა, მან ხელი წინ გაიშვირა და ბიჭმა ვერ გაუძლო ცდუნებას, გულში მისი ხელი ხელოვნური ჩონჩხის ხელისთვის არ შეედარებინა, რომელიც ერთხელ ჰერ ლისტმა მოიტანა, ადამიანის ანატომიას რომ სწავლობდნენ.

— აქამდე არ შემიმჩნევია, — ურწმუნო ხმით, თითქმის თავისთვის თქვა.

— რა არ შეგიმჩნევია? — ჰკითხა შმუელმა.

პასუხად ბურნომ თავისი ხელი გაუწოდა ისე, რომ მათი შუა თითების წვერები თითქმის შეეხო ერთმანეთს.

— ჩვენი ხელები, — უთხრა მან, — ძალიან განსხვავდება. შეხედე!

ორივე ბიჭმა ერთდროულად დახედა ხელისგულებს. განსხვავებას იოლად შეამჩნევდით. მართალია, ბრუნო თავისი ასაკისთვის პატარა და არც ისე მსუქანი იყო, მაგრამ მისი ხელი ჯანმრთელი და სიცოცხლით სავსე გამოჩნდა. კანის სიღრმიდან სისხლძარღვები არ ჩანდა, თითები გამხმარ წკირებს არ მიუგავდა. შმუელის ხელი კი სრულიად საპირისპიროდ გამოიყურებოდა.

— ასეთი როგორ გახდა? — ჰკითხა ბრუნომ.

— არ ვიცი, — უპასუხა შმუელმა, — შენნაირი ხელი მქონდა, არც კიშემიმჩნევია, როდის შემეცვალა. ჩემს მხარეს ახლა ყველა ასე გამოიყურება.

ბრუნომ შუბლი შეიკრა. ზოლიან პიჟამებში გამოწყობილ ხალხზე დაფიქრდა. მაინც, რა ხდებოდა ასეთი აუვიცში? როგორც ჩანს, კარგი არაფერი უნდა ყოფილიყო, თუ მის გამო ადა-

მიანები ასე არაჯანსაღად გამოიყურებოდნენ. ვერ ხვდებოდა, რა აზრი ჰქონდა ასეთ ბანაკს. შმუელის ხელისთვის თვალის ასარიდებლად ბრუნომ მაცივარი გამოაღო და საჭმელის საძებნელად შიგნით შეძვრა. სამხრიდან სატენიანი წიწილის ნახევარი დარჩენილიყო. ბრუნოს სიამოვნებისგან თვალები გაუბრწყინდა — ცხოვრებაში ხახვითა და სალბით გამოტენილი ცივი წიწილასავით ძალიან ცოტა რამ უყვარდა. მან უჯრიდანდანა ამოიღო და რამდენიმე მადისაღმძვრელი ნაჭერი მოიჭრა, ზემოდან სატენის ნაწილი მოაყარა და მეგობრისკენ მიბრუნდა.

— ძალიან მიხარია შენი აქ ყოფნა, — უთხრა პირგამოტენილმა, — ჭიქები რომ არ გქონდეს გასაპრიალებელი, ჩემს ოთახს გიჩვენებდი.

— მითხრა, ადგილიდან არ გაინძრე, თორემ ცუდი დღე დაგადგებაო.

— მისი ნებართვა არ მჭირდება, — ბრუნომ სცადა, ეს უფრო უშიშრად ეთქვა, ვიდრე სინამდვილეში გრძნობდა თავს, — ეს მისი სახლი არ არის, ჩემია და როცა მამა წასულია, მე ვარ აქ უფროსი. წარმოგიდგენია, „განძის კუნძულიც“ კი არ აქვს წაკითხული.

შმუელი, როგორც ჩანს, არ უსმენდა. ის თვალებით ჭამდა წიწილისა და სატენის ლუკმებს, რომლებსაც ბრუნო პირში გაიქანებდა ხოლმე. წუთის შემდეგ ბრუნო მიხვდა, რაშიც იყო საქმე და თავი დამნაშავედ იგრძნო.

— მაპატიე, შმუელ, — სწრაფად მოუბოდიშა მან, — შენთვისაც უნდა შემომეთავაზებინა. გშია?

— ჩემთვის მაგ კითხვის დასმა ყოველთვის ზედმეტია, — უპასუხა შმუელმა, რომელიც, მართალია, გრეტელს არასოდეს შეხვედროდა, მაგრამ, როგორც ჩანს, სარკაზმი მისთვისაც არ იყო უცხო.

— დაიცა, ახლავე მოგიჭრი, — უთხრა ბრუნომ, მაცივარი გამოაღო და კიდევ სამი მოზრდილი ნაჭერი ჩამოჭრა.

— არა, რომ დაბრუნდეს... —შმუელმა თავი გაიქნია და სწრაფად შეხედა კარს.

— ვინ რომ დაბრუნდეს? ლეიტენანტი კოტლერი?

— მე მხოლოდ ჭიქები უნდა გავაპრიალო, — სასოწარკვეთილმა ბიჭმა ჯერ თავის წინ მდგარ საპნიანი წყლის თასს შეხედა, შემდეგ კი ბრუნოს გაწვდილ წიწილის გემრიელ ნაჭრებს.

— არ გაბრაზდება, — ბრუნო შეაცბუნა შმუელის წუხილმა, — ეს ხომ მხოლოდ საჭმელია.

— არ შემიძლია, — შმუელმა ისეთი გამომეტყველებით გაიქნია თავი, თითქოს სადაცაა ატირდებაო, — დაბრუნდება. ვიცი, რომ დაბრუნდება, — აგრძელებდა სხაპასხუპით, — მაშინვე უნდა მეჭამა, როცა შემომთავაზე, ახლა ძალიან გვიანია, რომ გამოგართვა, ის შემომისწრებს და...

— შმუელ! აიღე! — ბრუნომ ნაბიჯი წინ გადადგა და მეგობარს საჭმელი ხელში ჩაუდო, — უბრალოდ, შეჭამე. ჩვენ კიდევ ბევრი დაგვრჩა ჩაისთვის, ამაზე ნუ ინერვიულებ.

ბიჭი წამით საჭმელს მიაჩერდა, რომელიც ხელში ეჭირა და შემდეგ ბრუნოს ახედა ფართოდ გახელილი მადლიერი, მაგრამ შეშინებული თვალებით. კიდევ ერთხელ ესროლა მზერა კარს და ეტყობა, გადაწყვეტილება მიიღო, რადგან ერთი ხელის მოსმით სამივე ნაჭერი პირში ჩაიტენა და ოციოდე წამში გადასანსლა.

— ასე სწრაფად ნუ ჭამ, — უთხრა ბრუნომ, — ავად გახდები.

— ეგ არ მადარდებს, — სუსტად გაუღიმა შმუელმა, — გმადლობ, ბრუნო.

ბრუნომაც გაუღიმა და ის იყო, კიდევ აპირებდა საკვების შეთავაზებას, რომ ლეიტენანტი კოტლერი შემობრუნდა სამზარეულოში. როცა დაინახა, რომ ორი ბიჭი ერთმანეთს ესაუბრებოდა, გაჩერდა. ბრუნომ მას შეხედა და იგრძნო, როგორ დამძიმდა ატ-

მოსფერო, როგორ ჩამოყარა შმუელმა მხრები, ხელი მომდევნო ჭიქისკენ გაიწოდა და გაპრიალება დაუწყო. ბრუნოსთვის ყურადღება არც მიუქცევია, ლეიტენანტი კოტლერი პირდაპირ მისკენ გაქანდა და დაუყვირა:

— რას აკეთებ! არ გითხარი, ჭიქები გააპრიალე-მეთქი?

შმუელმა სწრაფად დაუქნია თავი, აკანკალებულმა ახალი ხელსახოცი აიღო და წყალში ჩაუშვა.

— ვინ მოგცა ამ სახლში ვინმესთან გამოლაპარაკების უფლება? — აგრძელებდა კოტლერი, — შენ რა, ჩემს ურჩობას ბედავ?

— არა, ჰერ, — წყნარად თქვა შმუელმა, — მაპატიეთ, ჰერ.

მან ახედა მოღუშულ ლეიტენანტ კოტლერს, რომელიც მისკენ ოდნავ დახრილიყო და გვერდზე ყთავგადაწეული ბიჭის სახეს სწავლობდა.

— ჭამდი, არა? — ისე ხმადაბლა ჰკითხა, თითქოს თვითონაც არ სჯეროდა, რასაც ამბობდა.

შმუელმა თავი გაიქნია.

— შენ რაღაცას ჭამდი, — ჩააცივდა ლეიტენანტი კოტლერი, — მაცივრიდან მოიპარე რამე?

შმუელმა პირი გააღო და ისევ დახურა. კიდევ გააღო და სცადა, სიტყვები ეპოვა, მაგრამ ვერ მოახერხა. ბრუნოს შეხედა, თვალებით დახმარებას ევედრებოდა.

— მიპასუხე! — დაუყვირა ლეიტენანტმა კოტლერმა, — ამ მაცივრიდან მოიპარე რამე?

— არა, ჰერ. მან მომცა, — თქვა შმუელმა და თვალებიდან ღაპაღუპით წამოსული ცრემლების მიღმა გვერდულად გახედა ბრუნოს, — ჩემი მეგობარია, — დაამატა შემდეგ.

— შენი...? — შეცბუნებულმა ლეიტენანტმა კოტლერმა ბრუნოს გახედა. შეყოყმანდა, — რას გულისხმობ, საიდანაა შენი მეგობარი? იცნობ ამ ბიჭს, ბრუნო?

ბრუნოს პირი ღია დარჩა და სცადა, გაეხსენებინა, როგორ უნდა აემოძრავებინა ტუჩები სიტყვა „დიახ“-ის სათქმელად. არასოდეს უნახავს შმუელივით შეშინებული ადამიანი და სურდა, სიმართლე ეთქვა, რათა ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო, მაგრამ უცებ მიხვდა — ამას ვერ შეძლებდა, იმიტომ, რომ თვითონაც სწორედ ისევე ეშინოდა.

— იცნობ ამ ბიჭს? — უფრო ხმამაღლა გაუმეორა კოტლერმა, — შენ რა, პატიმრებს ელაპარაკები?

—მე... ის აქ იყო, როცა შემოვედი, — ძლივს ამოიღო ხმა ბრუნომ, — ჭიქებს აპრიალებდა.

— ეგ არ მიკითხავს, — გაღიზიანდა კოტლერი, — აქამდე გინახავს? დალაპარაკებიხარ? რატომ ამბობს, რომ შენი მეგობარია?

ბრუნოს გაქცევა მოუნდა. სძულდა ლეიტენანტი კოტლერი, მაგრამ ახლა, როცა ის მის პასუხს ელოდა, თავში მხოლოდ ის სცენა უტრიალდებდა, როცა ლეიტენანტმა ძაღლს ესროლა და კიდევ ის, როცა პაველმა განარისხა და მან...

— მითხარი ბრუნო, — დაუყვირა სიბრაზისგან აჭარხლებულმა კოტლერმა, — მესამედ არ გკითხავ.

— არასოდეს მილაპარაკია მასთან, — მაშინვე უპასუხა ბრუნომ, — ცხოვრებაში არ მინახავს. არ ვიცნობ.

ლეიტენანტმა კოტლერმა თავი დაუქნია. პასუხით ნასიამოვნები ჩანდა. ძალიან ნელა მიაბრუნდა შმუელისკენ. იგი აღარ ტიროდა, მხოლოდ იატაკს დასცქეროდა ისე, თითქოს საკუთარ სულს არწმუნებდა, ამ გამხდარ სხეულში აღარ გაჩერებულიყო, გარეთ გამსხლტარიყო, კარიდან გალივლივებულიყო და ცაში ამაღლებულიყო, ღრუბლებში ესრიალა, სანამ ამ ადგილს დიდი მანძილით არ მოშორდებოდა.

— ამ ჭიქების გაპრიალებას დაასრულებ, — წყნარად უთხრა ლეიტენანტმა, ისე ხმადაბლა, რომ ბრუნომ ძლივს გაიგო მისი ხმა. თითქოს მთელი მისი ბრაზი რაღაც სხვამ შეცვალა. კარგმა

კი არა, რაღაც მოულოდნელმა და შემაძრწუნებელმა, — შემდეგ მოვალ და ბანაკში წაგიყვან. იქ მე და შენ დავილაპარაკებთ, იმის შესახებ, რა მოსდით ქურდბაცაცა ბიჭებს. გასაგებია?

შმუელმა თავი დაუქნია და კიდევ ერთი ხელსახოცი აიღო მორიგი ჭიქის გასაპრიალებლად; ბრუნო უყურებდა როგორ უკანკალებდა თითები და იცოდა, რომ იმისაც ეშინოდა, არ გაეტეხა. გული ჩასწყდა, მაგრამ დიდი სურვილის მიუხედავად, თვალის არიდება არ შეეძლო.

— წამოდი, პატარა კაცო, — ლეიტენანტი კოტლერი მიუახლოვდა და უხეშად მოხვია ხელი მხარზე, — სასტუმრო ოთახში შედი და იკითხე შენი წიგნი, აცადე ამ პატარა... — მან იგივე სიტყვა გამოიყენა, რაც ადრე პაველს უწოდა, როცა საბურავის მოსაძებნად გზავნიდა, — საქმის დამთავრება.

ბრუნომ თავი დაუქნია, შებრუნდა და უკანმოუხედავად გავიდა სამზარეულოდან. მუცელი აუბუყბუყდა და წუთით იფიქრა, ავად გავხდიო. ასეთი შერცხვენილი ცხოვრებაში არასოდეს ყოფილა; ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ასეთი სისასტიკის ჩადენა შეეძლო. საკუთარ თავს ეკითხებოდა, როგორ შეეძლო ისეთ კარგ ადამიანს, როგორადაც თავს მიიჩნევდა, ასე სულმოკლედ მოქცეოდა მეგობარს? რამდენიმე საათის განმავლობაში იჯდა სასტუმრო ოთახში, მაგრამ წიგნისკენ გონების მიმართვას ვერ ახერხებდა და ვერც იმას ბედავდა, სამზარეულოში დაბრუნებულიყო, სანამ საღამოს ლეიტენანტმა კოტლერმა შმუელს არ მოაკითხა და არ წაიყვანა.

მომდევნო შუადღეს ბრუნო მესერთან მივიდა, იმ ადგილას, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ხოლმე, მაგრამ შმუელი იქ არ დახვდა. მთელი კვირის განმავლობაში რწმუნდებოდა ბრუნო, რომ საშინლად მოიქცა და მეგობარი არასოდეს აპატიებდა. მეშვიდე დღეს კი სიხარულისგან გაბრწყინებულმა დაინახა შმუელი, რომელიც მის ლოდინში კვლავ ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა

მიწაზე და, როგორც ყოველთვის, თავის წინ მტვერს მისჩერებოდა.

— შმუელ! — წამოიძახა, მისკენ გაექანა და სწრაფად დაჯდა. ლამის ატირებულიყო ერთდროულად შვებისა და სინანულისაგან, — ძალიან ვწუხვარ, შმუელ. არ ვიცი, ასე რატომ მოვიქეცი. მითხარი, რომ მაპატიებ.

— არაუშავს, — შმუელმა თვალი გაუსწორა. სახეზე ცემა-ტყეპის კვალი ეტყობოდა. ბრუნოს სახე დაემანჭა, წუთით საკუთარი ბოდიშიც კი გადაავიწყდა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა, მაგრამ პასუხი არ დააცადა, — ველოსიპედიდან ჩამოვარდი? ასეთი რამ მეც შემემთხვა ბერლინში რამდენიმე წლის წინ. ძალიან სწრაფად მიმყავდა, ჩამოვვარდი და რამდენიმე კვირა სულ შავი და ლურჯი ვიყავი. გტკივა?

— უკვე ვეღარ ვგრძნობ.

— მტკივნეული ჩანს.

— მე უკვე ვეღარაფერს ვგრძნობ, — გაიმეორა შმუელმა.

— ჰო, ვწუხვარ გასული კვირის გამო, — განაგრძო ბრუნომ, — მძულს ლეიტენანტი კოტლერი. თავი დიდი ვინმე ჰგონია, მაგრამ ასე არ არის, —წუთით შეყოყმანდა, აზრები აერია. გრძნობდა, რომ საჭირო იყო ერთხელ კიდევ გულწრფელად მოებოდიშებინა, — მართლა ძალიან ვწუხვარ, შმუელ, — გარკვევით წარმოთქვა მან, — არც კი მჯერა, რომ სიმართლე ვერ ვაღიარე. აქამდე მეგობრისთვის ასე არასოდეს მიღალატია. შმუელ, საკუთარი საქციელის მრცხვენია.

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ შმუელმა გაიღიმა და თავი დაუქნია. ბრუნო მიხვდა, რომ აპატიეს. შემდეგ შმუელმა ისეთი რამ გააკეთა, რაც მანამდე არასოდეს უქნია. მან მავთულხლართის ქვედა ნაწილი ასწია, როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა ბრუნოს მისთვის საჭმელი მოჰქონდა. ამჯერად ხელი გამოიწოდა და და-

იცადა, სანამ ბრუნოც ასე არ მოიქცა. შემდეგ ბიჭებმა გაიღიმეს და ხელი ჩამოართვეს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი პირველად შეეხნენ ერთმანეთს.

თავის გადაპარსვა

თითქმის მთელმა წელმა გაირბინა მას შემდეგ, რაც სახლში დაბრუნებულმა ბრუნომ აღმოაჩინა მარია, რომელიც მის ნივთებს ალაგებდა. ბიჭის მოგონებები ბერლინის შესახებ გაიცრიცა და თითქმის გაქრა. წარსულზე დაფიქრებისას იხსენებდა, რომ კარლი და მარტინი მისი ორი საუკეთესო მეგობარი იყო სამიდან, მაგრამ რამდენიც უნდა ემტვრია თავი, ვერაფრით იხსენებდა მესამეს. შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რის გამოც ორი დღით აუვიციდან წასვლა და ძველ სახლში დაბრუნება შეძლო: ბებია გარდაიცვალა და ოჯახს დაკრძალვაზე გამგზავრება მოუხდა.

იქ ყოფნისას ბრუნომ შეამჩნია, რომ ადრინდელივით დაბალი აღარ იყო, რადგან ზემოდან დაჰყურებდა ისეთ ნივთებს, რომლებსაც ადრე ვერ სწვდებოდა, ხოლო როცა ძველ სახლში ღამე გაათიეს, სახურავზე მდებარე ფანჯრიდან ბერლინს თითებზე აწევის გარეშე გახედა.

ბრუნოს ბერლინიდან გამგზავრების შემდეგ აღარ უნახავს ბებია, მაგრამ მასზე ყოველდღე ფიქრობდა. მის შესახებ ახსოვდა მხოლოდ წარმოდგენები, რომლებსაც ბებია, თვითონ და გრეტელი დგამდნენ ხოლმე შობასა და დაბადების დღეებზე და ისიც, რომ ის ყოველთვის იდეალურ კოსტიუმს იგონებდა ყველა როლისთვის, რაც ბიჭს უნდა შეესრულებინა. როცა წარმოიდგინა, რომ ვეღარასოდეს ითამაშებდნენ პიესებს, მართლაც ძალიან დასევდიანდა.

ბერლინში გატარებული ორი დღეც ძალიან ნაღვლიანი იყო. დაკრძალვაზე ბრუნო, გრეტელი, მამა, დედა და ბაბუა სკამების წინა რიგში ისხდნენ, მამას ყველაზე შთამბეჭდავი უნიფორმა ეცვა, გახამებული და გაუთოებული, უამრავი ორდენით. იგი განსაკუთრებით დამწუხრებული იყო — როგორც დედამ აუხსნა — იმი-

ტომ, რომ ბებიას ეჩხუბა და სიკვდილამდე ერთმანეთს არ შერიგებიანო.

ეკლესიაში ურიცხვი გვირგვინი მოიტანეს; ერთ-ერთი მათგანი თვით ფიურიმ გამოგზავნა და მამა ძალიან ამაყობდა, მაგრამ როდესაც დედამ ეს გაიგო, თქვა, ბებია საფლავში გადაბრუნდებოდა, ეს რომ ცოდნოდაო.

ბრუნოს ლამის უხაროდა კიდეც აუვიცში დაბრუნება. ახლა იქაური სახლი მის სახლად ქცეულიყო და აღარ ნერვიულობდა იმაზე, რომ ის მხოლოდ სამი სართულისგან შედგებოდა ხუთის ნაცვლად. დიდად აღარც ის აწუხებდა, რომ ჯარისკაცები ისე მიმოდიოდნენ, თითქოს იქაურობის ბატონ-პატრონები ყოფილიყვნენ. თანდათან მისთვის ნათელი გახდა, რომ ყველაფერი არც ისე ცუდი იყო, როგორიც ეჩვენებოდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შმუელს შეხვდა. იცოდა, რომ საკმაოდ ბევრ რამეს შეეძლო გაეხარებინა, მაგალითად იმას, რომ დედა და მამა ახლა უფრო მხიარულები ჩანდნენ და დედას აღარ სჭირდებოდა იმდენი შუადღის ძილი და სამკურნალო ნაყენი. გრეტელი კი გარდატეხის ასაკში შედიოდა (დედას სიტყვებით) და ცდილობდა, ძმისთვის თავი აერიდებინა.

ამას გარდა, ლეიტენანტი კოტლერი აუვიციდან გაიწვიეს და ბრუნოს თვალებში აღარ ეჩხირებოდა, რომ წამდაუწუმ გაებრაზებინა და გული ეტკინა მისთვის (მისი გამგზავრება ძალიან მოულოდნელად მოხდა და დედას და მამას შორის შუაღამისას დიდი ჩხუბისა და აყალმაყალის გარეშე არ ჩაუვლია. მადლობა ღმერთს, ის წავიდა. ეს ნამდვილად ასე იყო და აღარ დაბრუნდებოდა; გრეტელი უნუგეშოდ გრძნობდა თავს). კიდევ ერთი რამ უხაროდა — აღარავინ ეძახდა „პატარა კაცს“.

მაგრამ ყველაზე უკეთესი ის იყო, რომ მას მეგობარი ჰყავდა, სახელად შმუელი.

ბიჭი ტკბებოდა ყოველ შუადღეს მესრის გასწვრივ სეირნობით და სიამოვნებდა იმის დანახვა, რომ მისი მეგობარი ამ დღეებში ცოტა უფრო ხალისიანი ჩანდა, თვალებიც ისე აღარ ჩასცვენოდა, მიუხედავად იმისა, რომ სხეული ისევ სასაცილოდ გაჩხიკული ჰქონდა, სახე კი — უსიამოვნოდ ნაცრისფერი.

ერთ დღეს, თავიანთ ჩვეულ ადგილას შმუელის პირისპირ მჯდარმა ბრუნომ შენიშნა:

— ეს ჩემი ყველაზე უცნაური მეგობრობაა.

— რატომ? — იკითხა შმუელმა.

— იმიტომ, რომ ყველა სხვა მეგობარ ბიჭს ვეთამაშებოდი ხოლმე, — უპასუხა მან, — ჩვენ კი არასოდეს ვთამაშობთ, უბრალოდ ვსხედვართ აქ და ვსაუბრობთ.

— მე მომწონს აქ ჯდომა და ლაპარაკი, — თქვა შმუელმა.

— არა, რა თქმა უნდა, მეც მომწონს, — განაგრძო ბრუნომ, — მაგრამ საწყენია, რომ ხანდახან მაინც არ შეგვიძლია რამე უფრო ამაღელვებელი გავაკეთოთ. მაგალითად, ცოტა გამოძიება ჩაავატაროთ. ან ფეხბურთი ვითამაშოთ. ერთმანეთიც კი არასოდეს გვინახავს შუაში გაჩხერილი ამ მავთულხლართის გარეშე.

ბრუნო ხშირად წამოიძახებდა ხოლმე რამე მსგავსს, რადგან ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, თითქოს რამდენიმე თვის წინ ის შემთხვევა არ მომხდარიყოს, როცა შმუელთან მეგობრობა უარყო. ეს ამბავი ჯერ კიდევ გონებაში უტრიალებდა და საშინლად აწუხებდა, თუმცა შმუელმა, მისდა სასახელოდ, ჩანდა, რომ ეს ამბავი დაივიწყა.

— იქნებ ერთხელაც შევძლოთ, — წაიოცნება შმუელმა, — თუ ოდესმე გაგვათავისუფლებენ...

ბრუნო სულ უფრო მეტს ფიქრობდა მესრის ორ მხარეზე დაუპირველესად, მისი იქ აშენების მიზეზზე. გონებაში წონიდა, რამდენად გონივრული იყო ამის შესახებ მამას ან დედას დალაპარაკებოდა,მაგრამ ეჭვი ჰქონდა, რომ ისინი ან გაუბრაზდებოდნენ,

ან რამე უსიამოვნოს ეტყოდნენ შმუელსა და მის ოჯახზე. ასე რომ, ამის ნაცვლად, გადაწყვიტა, უჩვეულო რამ ჩაედინა. გადაწყვიტა, უიმედო შემთხვევას დალაპარაკებოდა.

ბრუნოს უკანასკნელი სტუმრობის შემდეგ გრეტელის ოთახი საგრძნობლად შეცვლილიყო. ჯერ ერთი, არც ერთი თოჯინა აღარსად ჩანდა. ერთ შუადღეს, ერთი თვის ან ცოტა მეტი ხნის წინ, დაახლოებით იმ პერიოდში, როდესაც ლეიტენანტმა კოტლერმა აუვიცი დატოვა, გრეტელმა გადაწყვიტა, რომ თოჯინები აღარ მოსწონდა. ოთხ უშველებელ ჩანთაში ჩაყარა ისინი და თავიდან მოიშორა. მათ ადგილას მამას ნაჩუქარი ევროპის რუკები ჩამოკიდა. ზედ ყოველდღე პატარა ჭიკარტებს ამაგრებდა და გაზეთის წაკითხვის შემდეგ ამ ჭიკარტებს ადგილს უცვლიდა. ბრუნო ფიქრობდა, მგონი გაგიჟდაო. სამაგიეროდ, ძველებურად აღარ აღიზიანებდა და აღარ აშინებდა ხოლმე, ამიტომ ბიჭმა იფიქრა, მასთან დალაპარაკებით არაფერი დაშავდებაო.

— გამარჯობა, — ზრდილობიანად დააკაკუნა მან გოგონას კარზე, რადგანაც იცოდა, როგორ ბრაზდებოდა მისი და, როდესაც პირდაპირ შედიოდნენ მის ოთახში.

— რა გინდა? — ჰკითხა გრეტელმა. ტუალეტის მაგიდასთან იჯდა და თმაზე ექსპერიმენტებს იტარებდა.

— არაფერი, — უპასუხა ბრუნომ.

— მაშინ წადი.

ბრუნომ თავი დაუქნია, მაგრამ მაინც შევიდა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. გრეტელმა გვერდულად გამოხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

— გრეტელ, — გაბედა ბოლოს ბიჭუნამ, — შეიძლება რაღაც გკითხო?

— ოღონდ ჩქარა, — ბედს შეურიგდა გრეტელი.

— აქ, აუვიცში, ყველაფერი... — დაიწყო ბრუნომ, მაგრამ დამ მაშინვე გააწყვეტინა.

— აუვიცი არ ჰქვია, ბრუნო, — ისე გაუბრაზდა, თითქოს მსოფლიო ისტორიაში ამაზე საშინელი შეცდომა არასოდეს არავის დაეშვას, — სწორად რატომ არ წარმოთქვამ?

—აუვიცი ჰქვია, — შეეწინააღმდეგა ბიჭი.

— არა, — დაიჟინა დამ და მის გასაგონად, სწორად წარმოთქვა ბანაკის სახელი.

ბრუნომ შუბლი შეიკრა და მხრები აიჩეჩა:

— ეგრე არ ვთქვი?

— არა. ყოველ შემთხვევაში, შენთან კამათს არ ვაპირებ, — გრეტელმა უკვე მოთმინება დაკარგა, რადგან თავიდანვე გაღიზიანებული იყო, — რა გინდა? რისი გაგება გაინტერესებს?

— მინდა, მესრის შესახებ გკითხო, — მტკიცედ თქვა ბრუნომ. მისი აზრით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი თემა იყო და ამით უნდა დაეწყო, — მინდა ვიცოდე, რატომაა აქ.

გრეტელი სკამზე შემობრუნდა და გაკვირვებულმა შეხედა:

—გინდა თქვა, რომ არ იცი? — ჰკითხა მან.

— ჰო, — თქვა ბრუნომ, — ვერ ვხვდები, რატომ არ გვიშვებენ იქით. რა გვჭირს ისეთი, რომ არ შეგვიძლია მეორე მხარეს გადასვლა და თამაში?

გრეტელი მიაჩერდა და უცებ ახარხარდა; მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როცა მიხვდა, რომ ბრუნო ცნობისმოყვარეობით კვდებოდა.

— ბრუნო, — ენა მოუჩლიქა მან, თითქოს პასუხი თავისთავად ცხადი უნდა ყოფილიყო, — მესერი იქ ჩვენს შესაჩერებლად არ არის. ის მათ შესაკავებლადაა, რომ აქეთ არ გადმოვიდნენ.

ბრუნომ გაიაზრა ნათქვამი, მაგრამ მაინც გაურკვევლობაში რჩებოდა.

— კი მაგრამ, რატომ? — იკითხა მან.

— იმიტომ, რომ ისინი ერთად მოგროვებულები უნდა იყვნენ, — აუხსნა გრეტელმა.

— ოჯახებთან ერთად, ამას გულისხმობ?

— ჰო, ალბათ, ოჯახებთან ერთადაც. მაგრამ უფრო — მათნაირებთან.

— მათნაირები რას ნიშნავს?

გრეტელმა ამოიოხრა და თავი გაიქნია.

— სხვა ებრაელებს, ბრუნო. არ იცოდი? ამიტომ ყავთ ერთად შეკრებილი. ჩვენ არ უნდა შეგვერიონ.

— ებრაელები, — გაიმეორა ბრუნომ, თითქოს სიტყვას აგემოვნებდა. მოსწონდა მისი ჟღერადობა, — ებრაელები, — ისევ გაიმეორა, — მესერს იქით მოგროვებული ხალხი სულ ებრაელები არიან...

— მართალია, — თქვა გრეტელმა.

— ჩვენც ებრაელები ვართ?

გრეტელს პირი ღია დარჩა, თითქოს სახეში შემოულაწუნესო.

— არა ბრუნო, ჩვენ ნამდვილად არ ვართ ებრაელები. ასეთი რამ აღარასოდეს გაიმეორო.

— კი მაგრამ, რატომ? მაშინ ვინ ვართ?

— ჩვენ ვართ... — წამოიწყო გრეტელმა და შემდეგ შეჩერდა, რომ მოეფიქრებინა, — ჩვენ ვართ... — გაიმეორა მან, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რა უნდა ეპასუხა ამ კითხვაზე, — ჩვენ ებრაელები არ ვართ, — თქვა ბოლოს.

— გავიგე, რომ არ ვართ, — გაღიზიანდა ბრუნო, — იმას გეკითხები, თუ ებრაელები არ ვართ, მაშინ ვინ ვართ-მეთქი?

— საპირისპიროები, — სწრაფად უპასუხა გრეტელმა, ხმაზე ეტყობოდა, საკუთარი მოსაზრებით კმაყოფილი დარჩა, — დიახ, სწორედ ასეა. ჩვენ საპირისპიროები ვართ.

— კარგი, — თქვა ბრუნომ, ნასიამოვნებმა, რომ როგორც იქნა, ყველაფერი დაალაგა გონებაში, — და საპირისპიროები მესერს აქეთ ცხოვრობენ, ებრაელები კი — იქით.

— მართალია, ბრუნო.

— ებრაელებს საპირისპიროები არ მოსწონთ?

— არა, ეს ჩვენ არ მოგვწონს ისინი, სულელო.

ბრუნო მოიღუშა. გრეტელს სულ უმეორებდნენ, მისთვის სულელი არ დაეძახა, მაგრამ ის მაინც ჯიუტობდა.

— კარგი, რატომ არ მოგვწონს?

— იმიტომ, რომ ებრაელები არიან, — უპასუხა გრეტელმა.

— გასაგებია. და საპირისპიროები და ებრაელები ერთად არ ცხოვრობენ.

— არა, ბრუნო, — ეს კი საკმაოდ ნელა წარმოთქვა გრეტელმა, რადგან თმაში რაღაც უჩვეულო აღმოაჩინა და მას აკვირდებოდა დიდი სიფრთხილით.

— შეიძლება ვინმემ ისინი ერთმანეთს შეახვედროს და...

სიტყვა გრეტელის ყურისწამღებმა კივილმა გააწყვეტინა; ამ ხმამ დედაც კი გამოაღვიძა შუადღის ძილისაგან და სირბილით მოიყვანა ქალიშვილის საძინებელ ოთახში, რათა გამოერკვია, მისმა რომელმა შვილმა მოკლა მეორე.

გრეტელმა დედას საკუთარი თმის თვალიერებისას ნაპოვნი ციცქნა კვერცხი უჩვენა, რომელიც ქინძისთავის წვერზე დიდი არ იქნებოდა; დედამ თმა გაუქექა, თან ერთ კულულს სწრაფად ანაცვლებდა სხვას, შემდეგ ბრუნოს მიეჭრა და მასაც შეუმოწმა თავი.

— ოჰ, არც კი მჯერა, — გაბრაზდა ბოლოს, — ვიცოდი, რომ ამ საშინელ ადგილას რამე ასეთი მოხდებოდა.

თურმე გრეტელსაც და ბრუნოსაც ტილები ჰყავდათ. ამიტომ გრეტელს სპეციალური შამპუნით სარგებლობა მოუწევდა, რომელიც საშინლად ყარდა; დაბანის შემდეგ გოგონა საათობით იჯდა თავის ოთახში, გარეთ ცხვირს არ ჰყოფდა და ტირილით თვალებს ისიებდა.

ბრუნოც იმავე შამპუნს იყენებდა, მაგრამ მერე მამამ გადაწყვიტა, უკეთესი გამოსავალი იქნება, ნულიდან დაიწყოსო, ამიტომ სამართებელი აიღო და მთლიანად გადაპარსა თავი. ამაზე

ბიჭმა ბევრი იტირა. მის გაკრეჭას დიდი ხანი არ დასჭირვებია. ბრუნო ვერ იტანდა იმის ყურებას, როგორ ცვიოდა მისი თმა იატაკსა და მისივე ფეხებზე, თუმცა მამამ თქვა, ასეა საჭიროო.

გადაპარსვის შემდეგ ბრუნო შეწუხებული იყურებოდა სააბაზანო ოთახის სარკეში. თავი ულამაზო უჩანდა, თვალები კი სახესთან შედარებით ზედმეტად დიდი. საკუთარმა ანარეკლმა ლამის იყო, შეაშინა კიდეც.

— ნუ ნერვიულობ, — არწმუნებდა მამა, — მალე გაგეზრდება. სულ რამდენიმე კვირაში.

— სულ ამ სიბინძურის ბრალია, ირგვლივ რომ ტრიალებს, — ჩიოდა დედა, — ვინმე რომ ხედავდეს, რას დაგვამსგავსა ამ ადგილმა!

სარკეში ჩახედვისას ბრუნო უნებურად ფიქრობდა, როგორ ჰგავდა ახლა შმუელს. აინტერესებდა, მესერს იქით მცხოვრებლებს თუ ჰყავდათ ტილები; ნეტავ ამიტომ იყვნენ თავგადაპარსულები?

მეორე დღეს, მეგობართან შეხვედრისას, მის დანახვაზე შმუელს სიცილი აუტყდა, რამაც სულაც არ არგო ბრუნოს ისედაც გამქრალ თვითრწმენას.

— ახლა შენ გგავარ, — სევდიანად თქვა ბრუნომ, თითქოს ეს რაღაც საშინელება ყოფილიყო.

— ოღონდ, უფრო მსუქანი ხარ, — შენიშნა შმუელმა.

დედამ თავისი გაიტანა

მომდევნო კვირებში დედა სულ უფრო უკმაყოფილო ჩანდა აუვიცით და ბრუნოს შესანიშნავად ესმოდა ამის მიზეზი. თავდაპირველად, აუვიცში გადმოსვლისას თვითონაც ხომ სძულდა აქაურობა, რომელიც სულაც არ ჰგავდა მშობლიურ სახლს და აკლდა უმნიშვნელოვანესი რამ: სამი საუკეთესო მეგობარი. დროთა განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა შმუელის დამსახურებით, რომელიც ბრუნოსთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვან ადამიანად იქცა, ვიდრე კარლი, დანიელი ან მარტინი ოდესმე ყოფილან. მაგრამ დედას თავისი შმუელი არ ჰყავდა. არავისთან შეეძლო დალაპარაკება და ერთადერთი ადამიანი, რომელთანაც აქამდე მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა — ახალგაზრდა ლეიტენანტი კოტლერი — სადღაც სხვაგან გადაგზავნეს.

მართალია, ბრუნო ყოველთვის ცდილობდა, არ დამსგავსებოდა იმ ბიჭებს, რომლებიც დროს უმეტესად გასაღების ღრიჭოებსა და ბუხართან ყურის გდებაში ატარებენ, მაგრამ ერთხელ, მამის კაბინეტთან ჩავლისას, შემთხვევით მდშობლების დიალოგი გაიგონა. მიყურადებას არ აპირებდა, მაგრამ იმდენად ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, რომ უნებურად მოისმინა.

— ეს საშინელებაა, — ამბობდა დედა, — უბრალოდ, საშინელებაა. მეტი აღარ შემიძლია ამის ატანა.

— არჩევანი არ გვაქვს, — ეუბნებოდა მამა, — ეს არის ჩვენი მოვალეობა და ჩვენ...

— არა, ეს შენი მოვალეობაა, — უპასუხა დედამ, — შენი, და არა ჩვენი. დარჩი, თუ ასე გინდა.

— მერე, ხალხი რას იფიქრებს, თუ შენ და ბავშვებს ბერლინში უჩემოდ დაბრუნების ნებას დაგრთავთ? დაიწყებენ კითხვების დასმას, რამე ხომ არ დავაშავე აქ, სამსახურში.

— სამსახურში? — დაიყვირა დედამ, — შენ ამას სამსახურს ეძახი?

ბრუნოს მეტი აღარ გაუგონია, რადგან ხმები კარს უახლოვდებოდა და შესაძლებელი იყო, მოულოდნელად დედა გამოვარდნილიყო სამკურნალო ნაყენის საძებნელად, ამიტომ კიბე აირბინა. მიუხედავად ამისა, საკმარისი მოისმინა საიმისოდ, რომ მიმხვდარიყო — არსებობდა შანსი, რომ საცხოვრებლად უკან, ბერლინში დაბრუნებულიყვნენ და თავის გასაკვირად, ვერ გარკვეულიყო, როგორ უნდა მიეღო ეს ამბავი.

მისი არსების ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ახსოვდა, რომ უყვარდა თავისი ძველი ცხოვრება, მაგრამ მას შემდეგ იმდენი რამ შეიცვალა! კარლს და მის ორ საუკეთესო მეგობარს, რომლების სახელებსაც ვეღარ იხსენებდა, უკვე დაავიწყდებოდათ იგი. ბებია გარდაიცვალა, ბაბუასგან კი არაფერი ისმოდა, მხოლოდ ერთხელ შენიშნა მამამ — მოტყდა მოხუციო.

მეორე მხრივ, უკვე მიეჩვია აუვიცში ცხოვრებას: ჰერ ლისტის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მარიასთან უფრო მეგობრული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, ვიდრე ბერლინში, გრეტელი კვლავ გარდატეხის ასაკში იყო და თავს არიდებდა (და ხშირად ძველებურად უიმედო შემთხვევადაც აღარ ეჩვენებოდა ხოლმე), ხოლო შუადღის საუბრები შმუელთან ბიჭს ბედნიერებით ავსებდა.

ბრუნომ არ იცოდა, გახარებოდა თუ არა ეს ამბავი და გადაწყვიტა — მოხდეს, რაც მოსახდენია, მშობლების გადაწყვეტილებას წუწუნის გარეშე დავემორჩილებიო.

რამდენიმე კვირის მანძილზე არაფერი შეცვლილა; ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში გრძელდებოდა. მამა მთელ დროს ან თავის კაბინეტში ატარებდა, ან — მესრის მეორე მხარეს. დედა მთელი დღის განმავლობაში ჩუმად იყო და აუტანლად მოუმატა შუადღის თვლემებს, რომლებიც ზოგჯერ სამხრამდე გრძელდებოდა. ბრუ-

ნო ძალიან ღელავდა მის ჯანმრთელობაზე, რადგან არასოდეს ენახა, ადამიანს ამდენი სამკურნალო ნაყენი დაელია. გრეტელი ოთახიდან არ გამოდიოდა, მთელი ყურადღება სხვადასხვა სახის რუკებზე ჰქონდა გადატანილი, რომლებითაც მთელი კედლები დაფარა და საათობით იღებდა კონსულტაციებს გაზეთებიდან ჭიკარტების ცოტათი მაინც გადაადგილებამდე (ჰერ ლისტი მისი ამ ქცევით განსაკუთრებით კმაყოფილი იყო).

ბრუნო სწორედ ისე იქცეოდა, როგორც მოეთხოვებოდა: სრულიად აღარ იწვევდა არეულობას და ტკბებოდა საიდუმლო მეგობრის ყოლით, რომლის შესახებაც არავინ იცოდა.

ერთ დღესაც მამამ ბრუნო და გრეტელი კაბინეტში დაიბარა და მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ აცნობა.

— დასხედით, ბავშვებო, — თქვა მან და ორ ფართო ტყავის საავარძელზე მიუთითა, რომლებში ჩასხდომასაც მათ, ჩვეულებრივ, იმ იშვიათ შემთხვევებშიც უკრძალავდნენ, როდესაც მამას კაბინეტში უშვებდნენ, რადგან შეიძლებოდა ჭუჭყიანი თითებით დაესვარათ. მამა თავის საწერ მაგიდას მიუჯდა. — გადავწყვიტეთ, რაღაცეები შევცვალოთ, — განაგრძო მან. საუბრისას ცოტა სევდიანი ჩანდა, — მითხარით, აქ თავს ბედნიერად გრძნობთ?

— დიახ, მამა, რასაკვირველია, — უპასუხა გრეტელმა.

— უდავოდ, მამა, — თქვა ბრუნომ

— ბერლინი სულ არ გენატრებათ?

ბავშვები წუთით გაჩუმდნენ და ერთმანეთს გადახედეს, ორივეს აინტერესებდა, რომელი გაბედავდა პასუხის გაცემას.

— ჰო, მე საშინლად მენატრება, — თქვა საბოლოოდ გრეტელმა, —წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, მეგობრები ისევ მყოლოდა.

ბრუნოს თავისი საიდუმლო გაახსენდა და გაეღიმა.

— მეგობრები, — თავის დაქნევით დაეთანხმა მამა, — ჰო, მე ხშირად მიფიქრია ამაზე. ალბათ, ზოგჯერ თავს მარტოსულად გრძნობთ.

— ძალიან მარტოსულად, — მტკიცე ხმით დაეთანხმა გრეტელი.

— შენ, ბრუნო, — ახლა მას შეხედამამამ, — შენი მეგობრები მოგენატრნენ?

— მე მგონი, კი, — ფრთხილად შეარჩია ბიჭმა პასუხი, — მაგრამ, ჩემი აზრით, ხალხი ყოველთვის მომენატრება, სადაც უნდა წავიდე.

ეს არაპირდაპირი მინიშნება იყო შმუელზე, მაგრამ უფრო ნათლად ამ თემაზე საუბარი არ უნდოდა.

— შესაძლებელი რომ იყოს, ბერლინში დაბრუნებას ისურვებდი? — ჰკითხა მამამ.

— ყველანი ვბრუნდებით? — კითხვაზე კითხვითყ უპასუხა ბრუნომ.

მამამ ღრმად ამოიოხრა და თავი გააქნია.

— დედა, გრეტელი და შენ. ჩვენს ძველ სახლში, ბერლინში. გენდომებოდა?

ბრუნო დაფიქრდა.

— მგონი, არა, შენც თუ ჩვენთან ერთად არ წამოხვიდოდი, — მართლა ასე ფიქრობდა.

— ჩემთან დარჩენა გირჩევნია?

— მე მირჩევნია, ოთხივე ერთად ვიყოთ, — ბრუნომ სიას უხალისოდ მიამატა გრეტელი, — სადაც გინდა ვიყოთ — ბერლინში თუ აუვიცში.

— ოჰ, ბრუნო! — ბრაზით დაიყვირა გრეტელმა და ბრუნო ვერ მიხვდა, რამ გააჯავრა: იმიტომ გაუბრაზდა, რომ დის აზრით ბერლინში დაბრუნების გეგმას ხელს უშლიდა, თუ იმიტომ, რომ ისევ არასწორად წარმოთქვამდა ახალი სახლის სახელს.

— ჰო, საუბედუროდ, ეს დროებით შეუძლებელია, — თქვა მამამ, — ფიური ჯერ არ გამათავისუფლებს აქაურობის ხელმძღვანელობისგან. დედა კი ფიქრობს, რომ სწორედ დროული იქნება

თქვენ სამნი უკან დაბრუნდეთ და სახლი მოაწესრიგოთ, და თუ დავუფიქრდებით... — ცოტა ხნით გაჩუმდა და თავის მარცხნივ, ფანჯარაში გაიხედა, იმ ფანჯარაში, რომლიდანაც მესერს გადაღმა ბანაკის ხედი მოჩანდა. — თუ დავუფიქრდებით, შესაძლოა, მართალიც იყოს. შესაძლოა, აქ ბავშვების ადგილი არ არის.

— აქ ასობით ბავშვია, — დაუფიქრებლად წამოსცდა ბრუნოს, — ოღონდ, მესრის მეორე მხარეს.

ამ შენიშვნას დუმილი მოჰყვა, მაგრამ ეს არ იყო ჩვეულებრივი დუმილი, რომელიც მაშინ წარმოიქმნება ხოლმე, როდესაც არავინ ლაპარაკობს. ეს დუმილი თითქოს ძალიან ხმაურიანი იყო. მამა და გრეტელი მას მიაჩერდნენ და ბრუნომ გაკვირვებისაგან თვალები აახამაამა.

— რას გულისხმობ, როდესაც ამბობ, იქ ასობით ბავშვიაო? — ჰკითხა მამამ, — შენ რა იცი, იქ რა ხდება?

ბრუნომ პირი გააღო საპასუხოდ. ნერვიულობდა, რადგან თუკი ზედმეტად ბევრს გაამჟღავნებდა, უსიამოვნებაში გაეხვეოდა.

— ჩემი საძინებლის ფანჯრიდან ვხედავ, — თქვა ბოლოს, — რასაკვირველია, ისინი ძალიან შორს არიან, მაგრამ ეტყობა, რომ ასობით უნდა იყვნენ. ყველას ზოლიანი პიჟამა აცვია.

— ზოლიანი პიჟამა... დიახ... — მამამ თავი დაუქნია, — შენ კი თვალს ადევნებ, არა?

— ჰო, დამინახავს ისინი, — თქვა ბრუნომ, — არა მგონია, ეს ერთი და იგივე იყოს.

მამად გაეღიმა.

— ძალიან კარგი, ბრუნო. მართალი ხარ, ეს ერთი და იგივე არ არის, — ისევ შეყოყმანდა და შემდეგ თავი ისე დაიქნია, თითქოს საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოო.

— არა, ის მართალია, — ხმამაღლა თქვა, ისე რომ არც გრეტელისთვის შეუხედავს და არც ბრუნოსთვის, — ის აბსოლუტურად

მართალია. ისედაც საკმარისად დიდხანს იყავით აქ. დროა, სახლში დაბრუნდეთ.

ასე გადაწყვიტა მამამ. ბერლინში შეუთვალეს, სახლი გაეწმინდათ, ფანჯრები — გაეპრიალებინათ, კიბის მოაჯირი — გაელაქათ, თეთრეული — გაეუთოებინათ, ლოგინები დაეგოყთ; მამამ გამოაცხადა, რომ დედა, გრეტელი და ბრუნო ბერლინში იმავე კვირის განმავლობაში დაბრუნდებოდნენ.

ბრუნომ აღმოაჩინა, რომ ამ ამბავს სულაც არ მოელოდა ისეთი სიხარულით, როგორითაც ეგონა. თანაც, გული უსკდებოდა იმის წარმოდგენაზე, როგორ გაუმხელდა შმუელს ამ სიახლეს.

მეგობრები გეგმას აწყობენ

მამასგან ბრუნოსთვის ბერლინში დაბრუნების ამბის შეტყობინებიდან მეორე დღეს შმუელი მესერთან არ გამოჩენილა. არც მომდევნო დღეს. მესამე დღეს, როცა ბრუნო მივიდა, მიწაზე ჯერ კიდევ არავინ იჯდა ფეხებგადაჯვარედინებული. ბიჭმა ათი წუთი დაიცადა და ის იყო, სახლში დაბრუნება დააპირა, უკიდურესად აღელვებულმა, აუვიციდან გამგზავრება საუკეთესო მეგობრის უნახავად მომიხდებაო, რომ მოშორებით წერტილი გამოჩნდა, რომელიც ლაქასავით გაიზარდა, შემდეგ ნელ-ნელა ბლანტი წვეთის სახე მიიღო, მერე ფიგურად გაიდღაბნა, ბოლოს კი იქცა ბიჭად ზოლიან პიჟამაში.

ბრუნოს ღიმილმა სახე გაუბრწყინა, როცა მისკენ მომავალი ეს ფიგურა შეამჩნია, და მიწაზე დაჯდა, თან ჯიბიდან პურის ნაჭერი და ვაშლი ამოიღო, რომელიც შმუელისთვის ჩუმად წამოეღო სახლიდან. მაგრამ შორიდანაც კი არჩევდა, რომ მისი მეგობარი ჩვეულებრივზე ბევრად უბედური ჩანდა და მესერთან მოსული საჭმელსაც არ წასტანებია ძველებური აღფრთოვანებით.

— მეგონა, აღარასოდეს მოხვიდოდი, — უთხრა ბრუნომ, — გუშინაც და გუშინწინაც გელოდი, მაგრამ არ დამხვდი.

— მაპატიე, — თქვა შმუელმა, — უბედურება შემემთხვა.

ბრუნომ თვალებმოჭუტულმა შეხედა, ცდილობდა, გამოეცნო რა ხდებოდა. აინტერესებდა, შმუელსაც ხომ არ გამოუცხადეს, სახლში ბრუნდებიო; ბოლოსდაბოლოს, ისეთივე დამთხვევა შეიძლება მომხდარიყო, როგორც ბრუნოსა და შმუელის ერთ დღეს დაბადება.

— აბა? — იკითხა ბრუნომ, — რა მოხდა?

— მამა... მამას ვერ ვპოულობთ.

— ვერ პოულობთ? რა უცნაურია... იმის თქმა გინდა, რომ დაიკარგა?

— ასე მგონია. ორშაბათს აქ იყო, მერე კი სხვა კაცებთან ერთად სავალდებულო სამუშაოზე წავიდა და იქიდან აღარც ერთი აღარ დაბრუნებულა.

— წერილი არ დაუტოვებია? — იკითხა ბრუნომ, — ან ბარათი, რომელშიც გაგაფრთხილებდათ, როდის დაბრუნდება?

— არა.

— რა უცნაურია, — გაიმეორა ბრუნომ, — ეძებეთ?

— რა თქმა უნდა, ვეძებეთ, — ამოიოხრა შმუელმა, — მე ისეც კი მოვიქეცი, შენ რომ ამბობ ხოლმე... გამოძიება ჩავატარე.

— და კვალი ვერ იპოვე?

— ვერანაირი.

— ჰო, ეს ძალიან უცნაურია... მაგრამ, ჩემი აზრით, რამე მარტივი ახსნა უნდა ჰქონდეს.

— მაგალითად? — ჰკითხა შმუელმა.

— ჩემი აზრით, კაცები სხვა ქალაქში წაიყვანეს სამუშაოდ და რამდენიმე დღე იქ მოუწევთ დარჩენა, სანამ საქმეს დაასრულებენ. ფოსტაც არ მუშაობს აქ მაინცდამაინც კარგად. ვიმედოვნებ, რომ მალე დაბრუნდება.

— მეც ამის იმედი მაქვს, — შმუელი სადაც იყო, ატირდებოდა, — არც კი ვიცი, მის გარეშე რა უნდა ვქნათ.

— თუ გინდა, შემიძლია მამას ვკითხო, — ფრთხილად შეაპარა ბრუნომ, თან იმედი ჰქონდა, რომ შმუელი არ დასთანხმდებოდა.

— არა მგონია, ეგ კარგი აზრი იყოს, — ბრუნოს მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ეს მის შეთავაზებაზე პირდაპირი უარის თქმა არ იყო.

— რატომ? — ჰკითხა მან, — მამა კარგადაა გათვითცნობიერებული მესრის მეორე მხარეს მიმდინარე ცხოვრებაში.

— არა მგონია, ჯარისკაცებს გულზე ვეხატებოდეთ, — თქვა შმუელმა, — დიახ, — დაამატა მან რაღაც ძალდატანებითი, ღიმილის

მსგავსი გამომეტყველებით, — მე ვიცი, რომ მათ არ მოვწონ-ვართ. მათ ჩვენ ვძულვართ.

ბრუნო განცვიფრებისგან შეხტა.

— დარწმუნებული ვარ, რომ არ სძულხართ, — თქვა ბოლოს.

— კი, — შმუელი წინ გადმოიხარა, თვალები მოჭუტა და ტუჩები ბრაზით მოკუმა, — მაგრამ არა უშავს, მეც მეჯავრებიან. მე მძულს ისინი, — გაიმეორა მტკიცედ.

— მამა არ გძულს, ხომ? — ჰკითხა ბრუნომ.

ფშმუელმა ტუჩი მოიკვნიტა და არაფერი თქვა. მას ბევრჯერ ენახა ბრუნოს მამა და ვერაფრით გაეგო, როგორ შეიძლებოდა ამ კაცს ასეთი მეგობრული და კეთილი შვილი ჰყოლოდა.

— უი, მართლა, — განაგრძო ბრუნომ პაუზისთვის საკმარისი დროის გასვლის შემდეგ, რადგან არ უნდოდა, ამ საკითხის განხილვა გაეგრძელებინათ, — მეც მაქვს შენთვის ახალი ამბავი.

— ახალი ამბავი? — იმედიანად შეხედა შმუელმა.

— ჰო. ბერლინში ვბრუნდები.

შმუელმა გაოცებისგან პირი დააღო.

— როდის? — ხმაჩამწყდარმა იკითხა მან.

— დღეს ხუთშაბათია. ჩვენ კი შაბათს მივემგზავრებით. სამ-ხრის შემდეგ.

— რამდენი ხნით?

— მგონი, სამუდამოდ. დედას არ მოსწონს აუვიცი — ამბობს, ეს შესაფერისი ადგილი არ არის ორი შვილის აღსაზრდელადო. მართალია, მამა აქ რჩება სამუშაოდ, რადგან ფიურის დიდი გეგ-მები აქვს მის მიმართ, მაგრამ დანარჩენები სახლში ვბრუნდე-ბით.

ბრუნომ სიტყვა „სახლი“ წარმოთქვა, მაგრამ უკვე თვითონაც ეჭვი ეპარებოდა, სად იყო მისთვის სახლი.

— ესე იგი, ვეღარასოდეს გნახავ? — ჰკითხა შმუელმა.

— ალბათ, ოდესმე, — დაიწყო ბრუნომ, — არდადეგებზე ჩამოხვალ ბერლინში. ბოლოსდაბოლოს, აქ სამუდამოდ ხომ არ დარჩები, არა?

შმეულმა თავიგაიქნია.

— არა მგონია, — მოწყენით თქვა მან, — როცა შენ წახვალ, ხმის გამცემი აღარავინ მეყოლება, — დაამატა მან.

— ასე გამოდის, — თქვა ბრუნომ.

ძალიან უნდოდა, ეთქვა „მომენატრები, შმუელ“, მაგრამ ცოტა არ იყოს, რცხვენოდა ამის აღიარება.

— ესე იგი, ხვალ უკანასკნელად ვნახავთ ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით... — განაგრძო მან, — ერთმანეთს უნდა დავემშვიდობოთ. ვეცდები, ამის აღსანიშნავად რამე განსაკუთრებით გემრიელი წამოგიღო.

შმუელმა თავი დაუქნია. სიტყვები არ ჰყოფნიდა მწუხარების გამოსახატავად.

— როგორ მინდა, ერთხელ მაინც ერთად ვითამაშოთ, — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ თქვა ბრუნომ, — რომ დაგვამახსოვრდეს.

— მეც მინდა.

— უკვე წელიწადზე მეტია, ერთმანეთს ვესაუბრებით, მაგრამ ერთხელაც არ გვითამაშია. და იცი, კიდევ რა? — დაამატა მან, — მთელი ამ ხნის განმავლობაში ფანჯრიდან ვუყურებდი შენს საცხოვრებელს და არასოდეს მინახავს ახლოდან.

— არ მოგეწონებოდა, — უთხრა შმუელმა, — შენი ბევრად ლამაზია.

— და მაინც, მინდა, რომ ვნახო, — თქვა ბრუნომ.

შმუელმა რამდენიმე წუთი იფიქრა, შემდეგ დაიხარა, ხელი მავთულხლართის ქვეშ შეაცურა და ოდნავ ასწია, იმ სიმაღლეზე, რომ ქვეშ ბრუნოს ზომისა და ფორმის პატარა ბიჭი გატეულიყო.

— აბა, — თქვა შმუელმა, — თუ ეგრეა, ხომ არ წამოხვალ?

ბრუნომ თვალები დაახამხამა და დაფიქრდა.

— არა მგონია, ნება დამრთონ, — თქვა დაეჭვებით.

— ჰო, თუმცა, შენ, ალბათ, არც იმის ნებას გაძლევენ, რომ აქ მოხვიდე და ყოველდღე მე მესაუბრო, — თქვა შმუელმა, — მაგრამ მაინც მოდიხარ, არა?

—თუ გამომიჭერენ, დამსჯიან, — ბრუნო დარწმუნებული იყო იმაში, რომ არც დედა და არც მამა მის საქციელს არ გაამართლებდა.

— მართალია, — შმუელმა მავთული ისევ დაუშვა და მიწას ცრემლიანი თვალებით დახედა, — მაშინ, ხვალ გნახავ გამოსამშვიდობებლად.

წუთით ორივე ჩუმად იყო. უცებ ბრუნოს დიდებული აზრი მოუვიდა.

— თუმცა... — დაიწყო ცოტა ხნის დაფიქრებისა და გონებაში გეგმის შემუშავების შემდეგ. მერე ხელი ასწია და თავზე იმ ადგილას გადაისვა, სადაც თმა ჰქონდა ხოლმე, ახლაკი მხოლოდ მოკლედ ამოწვეროდა ღერები და ჯერ კიდევ არ გაზრდოდა ძველებურად, — გახსოვს, რომ თქვი, მგავხარო? როცა თმა გადამპარსეს?

— ოღონდ უფრო მსუქანი ხარ-მეთქი, — გაიხსენა შმუელმა.

— ჰოდა, მაშინ, — თქვა ბრუნომ, — მე რომ ზოლიანი პიჟამაც მქონდეს, შენთან სტუმრობას შევძლებდი და ვერავინაც ვერ მიხვდებოდა.

შმუელს ფართო ღიმილმა სახე გაუნათა.

— ასე გგონია? მართლა ასე მოიქცეოდი?

— რასაკვირველია, — დაარწმუნა ბრუნომ, — დიდებული თავგადასავალი იქნებოდა. ჩვენი უკანასკნელი თავგადასავალი. ბოლოსდაბოლოს, გამოძიებას ჩავატარებდით.

—მამას მოძებნაში დამეხმარებოდი, — თქვა შმუელმა.

— რატომაც არა? ყველგან დავათვალიერებდით და ვნახავდით, რამე სამხილს ვიპოვიდით თუ არა. ყოველთვის ჭკვიანურია გამოძიების ჩატარება. პრობლემა მხოლოდ თავისუფალი ზოლიანი პიჟამის შოვნაა.

შმუელმა თავი გაიქნია და თქვა:

— ეგ ადვილია, — თქვა მან, — ტანსაცმელს ერთ ქოხში ინახავენ. შემიძლია ჩემი ზომისა ავიღო და წამოვიღო. შემდეგ შენ გამოიცვლი და ერთად მოვძებნით მამას.

— შესანიშნავია, —აღფრთოვანდა ბრუნო, — ეს უკვე გეგმაა!

— ხვალ იმავე დროს შევხვდეთ, — თქვა შმუელმა.

— აღარ დააგვიანო, — ბრუნო წამოდგა და მტვერი ჩამოიფერთხა, — და ზოლიანი პიჟამა არ დაგავიწყდეს.

ორივენი ამაღლებული განწყობით გაბრუნდნენ სახლებში. ბრუნო ცდილობდა წარმოედგინა, რა საოცარი თავგადასავალი ელოდა — როგორც იქნა, შესაძლებლობა მიეცემოდა, ბერლინში წასვლამდე ენახა, რა ხდებოდა სინამდვილეში მესერს იქით, რომ აღარაფერი ვთქვათ პატარა, მაგრამ სერიოზული გამოძიების ჩატარებაზე; შმუელი კი ფიქრობდა იმ შანსზე, რომ ბრუნო მამის ძებნაში დაეხმარებოდა. მთლიანობაში, გეგმა ძალიან გონივრული ჩანდა და მეგობართან დასამშვიდობებლად ხომ უკეთესს ვერც ინატრებდი.

რა მოხდა მეორე დღეს

მეორე დღე — პარასკევი — მორიგი სველი დღე იყო. დილით გაღვიძებულმა ბრუნომ ფანჯარაში გაიხედა და იმედი გაუცრუვდა, როცა დაინახა, როგორ ასხამდა წვიმა. შმუელთან შეხვედრის უკანასკნელი შანსი რომ არ ჰქონოდა (რომ აღარაფერი ვთქვათ მოსალოდნელ, დიდად ამაღელვებელი თავგადასავალზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გადაცმა დაგეგმეს) ხელს ჩაიქნევდა და შემდეგი კვირის რომელიმე შუადღემდე დაიცდიდა, როდესაც არაფერი განსაკუთრებული არ ექნებოდა მოფიქრებული.

მაგრამ საათი წიკწიკებდა და ბრუნო ვერაფერს იზამდა. თანაც, ბოლოსდაბოლოს, ჯერ მხოლოდ დილა იყო და უამრავი რამ შეიძლებოდა შეცვლილიყო გვიან შუადღემდე, როცა ბიჭები ერთმანეთს ხვდებოდნენ ხოლმე. მანამდე წვიმა აუცილებლად გადაიღებდა.

ჰერ ლისტთან დილის გაკვეთილების დროს სულ ფანჯარაში იყურებოდა, მაგრამ წვიმის გადაღების არავითარი ნიშანი არ ჩანდა, პირიქით, თანდათან უფრო ხმაურიანად უკაკუნებდა ფანჯარას. სამხრის დროს სამზარეულოდან აკვირდებოდა, როგორ დაიწყო ნალექმა შემცირება და მზის სხივები ოდნავ გამოჩნდა შავ ღრუბლებს მიღმა. უყურებდა ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილების დროსაც, შუადღეს, როცა წვიმამ ყველაზე მძლავრად წამოუშინა, თითქოს ფანჯარაში შემოჭრით იმუქრებაო.

საბედნიეროდ, როცა ჰერ ლისტი წასასვლელად მოემზადა, წვიმამაც გადაიღო, ასე რომ ბრუნომ ჩაიცვა ბოტები, თავისი მძიმე საწვიმარი ლაბადა, მოიცადა გზის გათავისუფლებამდე და სახლიდან გავიდა.

ბოტები ტალახში ჭყაპუნებდა და თანდათან იმაზე მეტად სიამოვნებდა სეირნობა, ვიდრე ოდესმე. თითოეულ ნაბიჯზე თით-

ქოს წაქცევისა და დაცემის საშიშროება ემუქრებოდა, მაგრამ არ დაცემულა. როგორღაც წონასწორობის შენარჩუნებას ახერხებდა. გზის განსაკუთრებით ცუდ ნაწილშიც კი ეაშეძლო ეს, როდესაც მარცხენა ფეხის გადადგმისას ფეხი ამოუცურდა, ბოტი კი ტალახში ჩარჩა.

ბრუნომ ცას ახედა. მართალია, მას ჯერ კიდევ მუქი ღრუბლები ფარავდა, მაგრამ ბიჭმა იფიქრა, ერთი დღისთვის საკმარისი იწვიმა და ამ შუადღეს აღარაფერი მემუქრებაო. რასაკვირველია, მოგვიანებით გაუჭირდებოდა იმის ახსნა, რატომ იყო ასეთი ტალახიანი, მაგრამ დედას შეახსენებდა, შენ არ ამბობ ხოლმე, რომ ჩვეულებრივი ბიჭი ვარო (თანაც, ბოლო დღეებში დედა განსაკუთრებით ბედნიერი ჩანდა, რადგანაც მათი კუთვნილი თითოეული ყუთი დაელუქათ და უკვე ჩაელაგებინათ სატვირთო მანქანაში, რომელსაც ბერლინში უნდა წაეღო)?!

შმუელი უკვე ელოდებოდა. მათი გაცნობიდან პირველად არ იჯდა მიწაზე ფეხებგადაჯვარედინებული და არ მისჩერებოდა მტვერს თავის წინ, მესრისკენ დახრილი.

— გამარჯობა, ბრუნო, — მიესალმა ის მიახლოებულ მეგობარს.

— გამარჯობა, შმუელ, — უპასუხა ბრუნომ.

— აღარ მეგონა, თუ ისევ შევხვდებოდით ერთმანეთს —ამ წვიმის და სხვა რამეების გამო, — თქვა შმუელმა, — მეგონა, სახლიდან არ გამოგიშვებდნენ.

— ჰო, საკმაოდ საეჭვო სიტუაცია იყო, — დაეთანხმა ბრუნო, — ამინდმა კინაღამ ყველაფერი ჩაგვიშალა.

შმუელმა თავი დაუქნია და ხელები გაუწოდა. ბრუნომ აღტაცებისგან პირი დააღო. ბიჭს სწორედ ისეთი ზოლიანი პიჟამის შარვალი, პერანგი და ქუდი წამოეღო, როგორიც თვითონ ეცვა. არც ისე სუფთა ჩანდა, მაგრამ შესანიღბად სჭირდებოდათ, ბრუნომ კი იცოდა, რომ კარგ გამომძიებლებს ყოველთვის შესაფერისად აცვიათ.

— ისევ გინდა, მამას მოძებნაში დამეხმარო? — ჰკითხა შმუელმა. ბრუნომ სწრაფად დაუქნია თავი.

— რასაკვირველია, — უპასუხა მან, ყთუმცა შმუელის მამის პოვნაზე მნიშვნელოვნად მესრის მეორე მხარეს არსებული სამყაროს აღმოჩენა მიაჩნდა, — იმედს არ გაგიცრუებ.

შმუელმა მიწიდან მავთულხლართის ძირი ასწია და ბრუნოს ტანსაცმელი გამოაწოდა, ძალიან ფრთხილობდა, რომ ტალახით არ მოესვარა.

— გმადლობ, — ბრუნომ ოდნავ ამოწვერილთმიანი თავი მოიფხანა. გაოცებული იყო, როგორ ვერ მოიფიქრა თავისი ტანსაცმლისთვის ჩანთა წამოეღო. მიწა ისე დასვრილიყო, ტანსაცმელს გააფუჭებდა, თუ იქ დაალაგებდა. არჩევანი არ ჰქონდა: ან უნდა შეგუებოდა იმ აზრს, რომ აქ დატოვებული ტანსაცმელი ტალახში ამოვლებული დახვდებოდა, ან უნდა გადაედო მთელი თავგადასავალი, რაც, ნებისმიერი გამომძიებლისთვის გაუგონარი სიმხდალე იქნებოდა. ეს შეუძლებელი იყო.

— კარგი, შებრუნდი, — სთხოვა გვერდით უხერხულად მდგარ მეგობარს, — არ მინდა გამოცვლისას მიყურო.

შმუელი შებრუნდა. ბრუნომ ლაბადა გაიხადა და რაც შეიძლებოდა ფრთხილად დააფინა მიწაზე. შემდეგ პერანგი გაიხადა და სანამ პიჟამისას გადაიცვამდა, ცივი ჰაერისგან გააჟრჟოლა. თავზე რომ იცვამდა, შეცდა და ჩაისუნთქა — ნაჭერს ძალიან უსიამოვნო სუნი ასდიოდა.

— ბოლოს როდის გარეცხეს? — წამოიძახა. შმუელი მობრუნდა.

— არ ვიცი, საერთოდ ოდესმე თუ გაურეცხავთ, — თქვა შმუელმა.

— შებრუნდი, — დაიყვირა ბრუნომ და შმუელი დაემორჩილა. ბრუნომ მარჯვნივ და მარცხნივაც გაიხედა, მაგრამ ისევ არავინ ჩანდა, ამიტომრთული საქმე წამოიწყო —ბოტჩაცმულ ცალ ფეხზე

დგომით შაარვლის გახდა. უცნაური იყო ქუჩაში შარვლის გახდა და წარმოდგენაც არ შეეძლო, რას იფიქრებდნენ, ვინმეს ასე რომ დაენახა, მაგრამ ბოლოს, დიდი ძალისხმევით, მოახერხა ამოცანის შესრულება.

— აი,— თქვა მან, — ახლა შეგიძლია შემობრუნდე.

შმუელი სწორედ მაშინ მოტრიალდა, როცა ბრუნო ჩაცმულობას უკანასკნელ დეტალს ჰმატებდა — ზოლიან ქუდს იხურავდა. შმუელმა თვალები აახამხამა და თავი გადაიქნია. ძალიან უჩვეულო სანახაობა იყო, სრულიად წარმოუდგენელი! მართალია, ბრუნო არც ისეთი გაძვალტყავებული ჩაანდა, როგორებიც ბიქჭები მესერს იქიდან და არც მათსავით ფერმკრთალი, მაგრამ მაინც ვერ გაარჩევდით შმუელისგან, თითქოს (ყოველ შემთხვევაში, შმუელის აზრით) მართლაც ერთნაირები იყვნენ.

— იცი, რა გამახსენდა? — ჰკითხა ბრუნომ და შმუელმა თავი გააქნია.

— რა?

— ბებია. გახსოვს? მის შესახებ გიყვებოდი. რომ მოკვდა.

შმუელმა თავი დაუქნია; ახსოვდა, რადგან მთელი წლის განმავლობაში ბრუნო მასზე ხშირად ლაპარაკობდა. ეუბნებოდა, როგორ უყვარდა ბებია და როგორ ნანობდა, რომ დრო არ გამონახა და გარდაცვალებამდე მეტი წერილი არ მისწერა.

— ის სპექტაკლები მომაგონდა, ჩემთან და გრეტელთან ერთად რომ დგამდა, — თქვა ბრუნომ და შმუელიდან მზერა სივრცეზე გადაიტანა, რადგან ბერლინში გატარებული დღეები გაახსენდა, იმ რამდენიმე მოგონების ნაწილი, რომლებიც არ გაჰქრობოდა, —ყოველთვის შესაფერის კოსტიუმს მირჩევდა. მეუბნებოდა ხოლმე, თუ სწორად გაცვია, თავს იმ ადამიანად გრძნობ, რომელსაც განასახიერებო. მგონი, სწორედ ასე ვიქცევი, არა? თავს ვაჩვენებ, თითქოს მესერს იქით მცხოვრებთაგან ერთ-ერთი ვარ.

— ებრაელს გულისხმობ, — შენიშნა შმუელმა.

— ჰო, — ყთქვა ბრუნომ და ფეხი უხერხულად მოინაცვლა, — მართალია.

შმუელმა ბრუნოს ფეხებზე დახედა და სახლიდან წამოღებულ მძიმე ბოტებზე მიუთითა.

— ეგენიც აქ უნდა დატოვო.

ბრუნოს თავზარი დაეცა.

— მაგრამ ტალახი? ფეხშიშველი ხომ არ წამოვალ?

— მაშინ გიცნობენ, — დაარწმუნა შმუელმა, — სხვა გზა არ გაქვს.

ბრუნომ ამოიოხრა. იცოდა, რომ მისი მეგობარი მართალი იყო, ამიტომ ბოტები და წინდები გაიხადა და ტანსაცმლის გროვის გვერდით დატოვა მიწაზე. თავიდან საშინელი შეგრძნება იყო შიშველი ფეხის ამხელა ტალახში ჩადგმა; ყოველ ნაბიჯზე კოჭებამდე ეფლობოდა და ფეხის აწევისას სულ უფრო უარესად გრძნობდა თავს, მაგრამ მალე შეეჩვია და თითქმის ესიამოვნა კიდეც.

შმუელი დაიხარა და მავთულხლართის ძირი ასწია, მაგრამ ეს მხოლოდ გარკვეულ სიმაღლემდე მოხერხდა, ამიტომ ბრუნოს არჩევანი არ დარჩა — უნდა გაწოლილიყო და მავთულხლართის ქვეშ შეგორებულიყო; ზოლიანი პიჟამა მთლიანად გაუტალახიანდა და როცა ტანზე დაიხედა, გაეცინა — ასეთი ბინძური ხომ ცხოვრებაში არ ყოფილა.

შმუელმაც გაიცინა და მესრის ერთ მხარეს ყოფნას მიუჩვეველი ბიჭები წუთით უხერხულად გაჩერდნენ გვერდიგვერდ.

ბრუნოს უნდოდა, შმუელს ჩახუტებოდა, რომ მისთვის ეგრძნობინებინა, როგორ უყვარდა და სიამოვნებდა მთელი გასული წლის განმავლობაში მასთან საუბარი.

შმუელსაც სურდა, ბრუნოს ჩახუტებოდა, რათა მადლობა გადაეხადა უამრავი სიკეთისათვის, მოტანილი საჭმლისა და იმის გამოც, მამის მოძებნაში დახმარებას რომ დაპირდა.

და მაინც, ერთმანეთს არ ჩახუტებიან; ამის ნაცვლად მესერს მოშორდნენ და ბანაკისკენ გასწიეს. მიაბიჯებდნენ გზაზე, რომელსაც ბოლო წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღე გადიოდა შმუელი მას შემდეგ, რაც ერთხელ ჯარისკაცების მზერისგან მიფარებული ადგილი აღმოაჩინა აუვიცის იმ ნაწილში, რომელსაც, როგორც ჩანს, გამუდმებით არ იცავდნენ, ნაწილში, რომელშიც იღბალმა ბრუნოსნაირ მეგობარს შეახვედრა.

დიდხანს არ უვლიათ იმ ადგილამდე, საითაც გეზი ჰქონდათ. ბრუნო გაფართოებული თვალებით აკვირდებოდა ყველაფერს, რასაც ხედავდა. თავის წარმოდგენაში იგი ამ ქოხებს ბედნიერი ოჯახებით სავსეს ხატავდა, რომელთა ზოგიერთი წევრიც საღამოობით გარეთ, სარწეველა სავარძლებში იჯდა და ყვებოდა ამბებს, რა კარგი დრო იყო მაშინ, როდესაც ისინი ბავშვები იყვნენ და უფრო მეტად სცემდნენ პატივს უფროსებს, ვიდრე ახლანდელი ბავშვები. ბრუნოს ეგონა, რომ ბიჭები და გოგონები აქ სხვადასხვა ჯგუფებად იცხოვრებდნენ, ითამაშებდნენ ჩოგბურთს ან ფეხბურთს, ლახტზე იხტუნავებდნენ ან კლასობანასთვის ოთხკუთხედებს დახატავდნენ მიწაზე.

მისი აზრით, ცენტრში მაღაზია უნდა ყოფილიყო. იქნებ — ბერლინში რომ იყო, ისეთი პატარა კაფეც; აინტერესებდა, იდგებოდა თუ არა იქ ხილისა და ბოსტნეულის დახლები.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი, რაც მისი აზრით ბანაკში უნდა ყოფილიყო, იქ არ არსებობდა.

ზრდასრულები არ ისხდნენ ტერასაზე, სარწეველა სკამებში.

ბავშვები არ თამაშობდნენ ჯგუფებად.

და არა მხოლოდ ხილისა და ბოსტნეულის დახლები, არამედ ბერლინისმსგავსი პატარა კაფეც კი არ აღმოჩნდა.

ამის ნაცვლად დაინახა ერთად შეგროვილი ხალხი, რომლებიც, გვერდიგვერდ მსხდარნი, საშინლად სევდიანი გამომეტყველებით დაჰყურებდნენ მიწას; მათ ერთი საერთო ჰქონდათ: ყვე-

ლა საშინლად გაჩხიკული და თვალებჩაცვენილი იყო და ყველას თავი ჰქონდა გადაპარსული, რაც, ბრუნოს აზრით, იმას ნიშნავდა, რომ ბანაკში ტილების ეპიდემია მძვინვარებდა.

ერთ კუთხეში ბრუნომ სამი ჯარისკაცი შენიშნა, რომლებიც, როგორც ჩანდა, პასუხს აგებდნენ ზოლიან ტანსაცმელში გამოწყობილთა დაახლოებით ოცკაციანჯგუფზე — უყვიროდნენ მათ. ჯგუფიდან ზოგიერთი კაცი მუხლებზე დაეცა და ასე დარჩა, თავზე ხელებშემოჭერილი.

სხვა კუთხეში კიდევ უფრო მეტი ჯარისკაცი იდგა. იცინოდნენ და საკუთარი იარაღების ლულებს დასცქეროდნენ, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებით უმიზნებდნენ, მაგრამ არ ისროდნენ.

სინამდვილეში, საითაც უნდა გაეხედა, მხოლოდ ორ, განსხვავებული ტიპის ადამიანებს ხედავდა: ან ბედნიერ, მოცინარ, მყვირალა ჯარისკაცებს სამხედრო ფორმებში, ან უბედურ, აცრემლებულ ადამიანებს ზოლიან პიჟამებში, რომელთა უმეტესობაც სივრცეს ისე მისჩერებოდა, თითქოს ზეზეულად ეძინათ.

— არ მომწონს აქაურობა, — თქვა ბრუნომ ცოტა ხანში.

— არც მე, — უპასუხა შმუელმა.

— ჯობია, სახლში წავიდე.

შმუელი გაჩერდა და შეხედა.

— კი მაგრამ, მამა? ხომ მითხარი, მის მოძებნაში დაგეხმარებიო?

ბრუნო დაფიქრდა. ის მართლაც დაჰპირდა ამას და იმ ადამიანებს არ მიეკუთვნებოდა, ვინც მეგობრებთან დადებულ პირობებს არღვევენ, განსაკუთრებით უკანასკნელი შეხვედრისას.

— კარგი, — თქვა მან, თუმცა ახლა უფრო მეტად ეთანაღრებოდ გული, ვიდრე მანამდე — მაგრამ სად უნდა მოვძებნოთ?

— შენ თქვი, რამე სამხილი უნდა ვიპოვოთო, — გაახსენა შმუელმა. გულნატკენი ფიქრობდა, თუ ბრუნოც ვერ დამეხმარება, მაშინ ამას ვიღა შეძლებსო?

— სამხილები, ჰო, — ბრუნომ თავი დაუქნია, — მართალი ხარ. მოდი, მოვძებნოთ.

ბრუნომ სიტყვა შეასრულა — ბიჭები საათ-ნახევრის განმავლობაში ეძებდნენ სამხილებს მთელ ბანაკში. წარმოდგენა არ ჰქონდათ, კონკრეტულად რას ეძებდნენ, მაგრამ ბრუნო ამტკიცებდა, კარგი გამომძიებელი სამხილს მაშინვე იცნობს, როგორც კი დაინახავსო.

სამწუხაროდ, ისეთი არაფერი უპოვიათ, რაც შმუელის მამის გაუჩინარებას ნათელს მოჰფენდა, თანაც ნელ-ნელა ჩამობნელდა.

ბრუნომ ცას ახედა და შეამჩნია, რომ ისევ წვიმას აპირებდა.

— მაპატიე, შმუელ. ვწუხვარ, რომ სამხილი ვერ ვიპოვეთ.

შმუელმა სევდიანად დაუქნია თავი. არ გაჰკვირვებია. თავიდანვე არ ჰქონია დიდი იმედი. მაგრამ მაინც სასიამოვნო იყო, რომ მეგობარი აქ ჰყავდა და მის საცხოვრებელ ადგილს ათვალიერებდა.

— ახლა კი ნამდვილად უნდა წავიდე სახლში, — თქვა ბრუნომ, — მესერამდე გამომყვები?

შმუელმა ის იყო, საპასუხოდ პირი გააღო, რომ სწორედ იმ წამს ხმამაღლა დაუსტვინეს და ათი ჯარისკაცი — მეტი, ვიდრე ბრუნოს ოდესმე ერთად შეგროვილი უნახავს — ბანაკის ნაწილს გარს შემოერტყა, სწორედ იმ მონაკვეთს, სადაც ბრუნო და შმუელი იდგნენ.

— რა ხდება? — დაიჩურჩულა ბრუნომ, — რა ხდება?

— ზოგჯერ ასე ხდება ხოლმე, — დაამშვიდა შმუელმა, — ისინი ხალხს მწყობრად სიარულს აიძულებენ.

— მწყობრად სიარულს! — შეძრწუნდა ბრუნო, — არ შემიძლია მწყობრად სიარული. სადილისათვის სახლში უნდა ვიყო. შემწვარი ძროხის ხორცი გვაქვს.

-შშშ! — შმუელმა ტუჩებზე თითი მიადო, — არაფერი თქვა, თორემ გაბრაზდებიან.

ბრუნომ შუბლი შეიკრა, თუმცა მალე შვებით ამოისუნთქა, რადგან დაინახა, რომ მთელი ბანაკის ამ მონაკვეთში მყოფი ზოლიან პიჟამებში გამოწყობილი ხალხი ერთად გროვდებოდა (უმეტესობას ჯარისკაცები უბიძგებდნენ წინ). ის და შმუელი ხალხის შუაგულში დაიმალნენ და მათ ვერავინ შეამჩნევდა. არ იცოდა, რატომ გამოიყურებოდა ყველა ასე დაზაფრულად (ბოლოს და ბოლოს, მწყობრად სიარული არც ისეთი საშინელი რამ იყო). უუნდოდა, ეჩურჩულა მათთვის, ყველაფერი კარგადაა, მამაჩემი კომენდანტია და თუ მას სურს, რომ ხალხი ასე იქცეოდეს, ე. ი. ყველაფერი რიგზეაო.

ისევ გაისმა სასტვენების ხმა და ამჯერად ხალხის ჯგუფმა, დაახლოებით ასამდე ადამიანმა, ნელა დაიწყო მწყობრად სვლა, ბრუნო და შმუელი ისევ მათ შუაგულში იყვნენ მოქცეულები. უკან რაღაც არეულობა შეიქნა, ალბათ, ზოგიერთს სიარული არ სურდა, მაგრამ ბრუნო ძალიან პატარა იყო და ვერ ხედავდა, რა ხდებოდა, მხოლოდ ხმაური ესმოდა (იარაღის გასროლას ჰგავდა) და ვერაფერს ხვდებოდა.

— დიდხანს გრძელდება ხოლმე მწყობრად სიარული? — უჩურჩულა შმუელს, რადგან უკვე ძალიან შიოდა.

— არ ვიცი, — უპასუხა შმუელმა, — ვინც ასე დადის ხოლმე, მერე აღაარასოდეს მინახავს. მაგრამ არა მგონია.

ბრუნო მოიღუშა. ცას ახედა და სწორედ მაშინ კიდევ ერთხელ მოესმა ძლიერი ხმაური — ამჯერად მის თავს ზემოთ დაიქუხა, ცა კიდევ უფრო დაბნელდა, თითქმის გაშავდა და წვიმამ დილანდელზე ძლიერად დასცხო. ბრუნომ წუთით თვალები დახუჭა. როცა ისევ გაახილა, განა მწყობრად მიდიოდა — უფრო ხალხის ნაკადს გაეტაცებინა და მხოლოდ ტანზე მიგლესილ ტალახს გრძნობდა, წვიმისგან გალუმპული პიჟამა კანზე ეკვროდა. ერთი

სული ჰქონდა, შინ ყოფილიყო და ამ ყველაფრისთვის შორიდან ეცქირა და არა აურზაურის შუაგულიდან.

— საკმარისია, — უთხრა შმუელს, — გავცივდები აქ. სახლში უნდა წავიდე.

თქვა თუ არა ეს, ფეხებმა თავისთავად აატარეს რამდენიმე საფეხური და წინ წაწეულმა აღმოაჩინა, რომთავზე წვიმა აღარ დასდიოდა — ყველანი საოცრად თბილ, გრძელ ოთახში გროვდებოდნენ, რომელიც ძალიან საიმედოდ აშენებულს ჰგავდა, რადგან შიგნიყუთ წვიმა არსაიდან აღწევდა. ჰერმეტულად იყო დახურული.

— ჰო, ეს უკვე სხვა საქმეა, — თქვა კმაყოფილმა, რომ ავდარს ცოტა ხნით მაინც დააღწია თავი, — მგონი, აქ დავიცდით, სანამ გადაიღებს. მერე სახლში წავალ.

შმუელი ბრუნოს ლამის მიეკრო და შეშინებულმა შეხედა.

— ვწუხვარ, რომ მამაშენი ვერ ვიპოვეთ, — კიდევ ერთხელ უთხრა ბრუნომ.

— არა უშავს, — თქვა შმუელმა.

— ცუდია, რომ, როგორც წესია, ისე ვერ ვითამაშეთ, მაგრამ როცა ბერლინში ჩამოხვალ, ამას გამოვასწორებთ. და მე შენ გაგაცნობ... ოჰ, ნეტა რა ერქვათ?! — გაღიზიანებულმა ჰკითხა თავის თავს, ისინი ხომ მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ მთელი ცხოვრების განმავლობაში, არადა, უკვე გამქრალიყვნენ მისი მეხსიერებიდან. ვეღარც ერთის სახელს იხსენებდა, აღარც რომელიმეს სახის წარმოდგენა შეეძლო.

— თუმცა, — გადახედა შმუელს, — ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ისინი მაინც აღარ არიან ჩემი საუკეთესო მეგობრები, — შემდეგ, თავისდა მოულოდნელად, ისეთი რამ გააკეთა, რაც სულაც არ სჩვეოდა — შმუელის გამხდარი ხელი აიღო და თავისი მაგრად მოუჭირა.

— შენ ხარ ჩემი საუკეთესო მეგობარი, შმუელ! ჩემი საუკეთესო მეგობარი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

შმუელმა პირი გააღო და, ალბათ, რაღაც უპასუხა კიდეც, მაგრამ ბრუნოს არ გაუგია, რადგან სწორედ იმ წამს ოთახში შეგროვილმა ადამიანებმა ერთხმად ამოიოხრეს. წინა კარი მოულოდნელად დაიკეტა და გარედან ლითონის მაღალი ხმა გაისმა.

ბრუნომ წარბი ასწია, ვერაფრით გაეგო ამ ყველაფრის აზრი, მაგრამ ბოლოს დაასკვნა, ამას უთუოდ რამე კავშირი ექნება წვიმის გარეთ შეკავებასა და ხალხის გაცივებისაგან დაცვასთანო.

შემდეგ ოთახში უკუნი ჩამოწვა და, მიუხედავად იმ ქაოსისა, რაც ამას მოჰყვა, ბრუნო როგორღაც მიხვდა, რომ ისევ შმუელისთვის ჩაეკიდა ხელი და დედამიწის ზურგზე ვერაფერი აიძულებდა გაშვებას.

უკანასკნელი თავი

ბრუნო გაუჩინარდა.

რამდენიმე დღეში, მას შემდეგ, რაც ჯარისკაცებმა სახლის ყველა კუთხე-კუნჭული გადაჩხრიკეს და ყველა მახლობელი ქალაქი თუ სოფელი მოიარეს პატარა ბიჭის სურათებით, ერთმა მათგანმა გროვად დაყრილი ტანსაცმელი და ბოტები აღმოაჩინა, ბრუნომ რომ დატოვა მესერთან. ჯარისკაცს მათთვის ხელი არ უხლია, მაშინვე კომენდანტის დასაძახებლად წავიდა. კომენდანტმა მიდამო შეამოწმა და ბრუნოსავით მარჯვნივ და მარცხნივ გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ რამდენიც არ ეცადა, მაინც ვერაფრით მიხვდა, რა შეემთხვა მის ვაჟს. თითქოს მიწამ ჩაყლაპა და ტანსაცმელი აქ დარჩაო.

დედა ვეღარ დაბრუნდა ბერლინში ისე სწრაფად, როგორც იმედი ჰქონდა. კიდევ რამდენიმე თვეს დარჩა აუვიცში, რომ ბრუნოს შესახებ რაიმე ახალი გაეგო, სანამ ერთ დღეს უეცრად აზრად არ მოუვიდა, იქნებ სახლში მარტო წავიდაო. სასწრაფოდ გაემგზავრა ძველ სახლში; წარმოდგენილიც კი ჰქონდა, როგორ დახვდებოდა კიბეზე მჯდარი მომლოდინე ბიჭუნა.

რასაკვირველია, ბრუნო იქ არ დახვედრია.

გრეტელი დედასთან ერთად დაბრუნდა ბერლინში და უმეტეს დროს კვლავ საკუთარ ოთახში, ტირილში ატარებდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ თავისი თოჯინები გადაყარა; არც იმიტომ, რომ ყველა რუკა აუვიცში დატოვა; არამედ იმიტომ, რომ ძალიან ენატრებოდა ბრუნო.

მამა კიდევ ერთი წელი დარჩა აუვიცში და უმოწყალო ბრძანებებით თანდათან ყველა ჯარისკაცს შეაძულა თავი. ყოველ დღე ბრუნოზე ფიქრით იძინებდა და ბრუნოზე ფიქრით იღვიძებდა. ერთხელაც მან ჩამოაყალიბა ვერსია, რა შეიძლება მომხდარიყო იმ

ადგილას, მესერთან, სადაც ერთი წლის წინ ტანსაცმლის გროვა აღმოაჩინეს.

აამ ადგილას განსაკუთრებული ან განსხვავებული თითქოს არაფერი ჩანდა, მაგრამ მან პატარა პირადი გამოძიება ჩაატარა და აღმოაჩინა, რომ მესერთან მავთულხლართის ძირი სხვა ადგილებივით მყარად არ იყო დამაგრებული მიწაზე და თუ მას აწევდი, საკმაოდ მოზრდილ გასაძრომს ქმნიდა მომცრო ადამიანისთვის (მაგალითად, პატარა ბიჭისთვის). მამამ ჰორიზონტს გახედა და ლოგიკურად, ნაბიჯ-ნაბიჯ აღადგინა მომხდარი; და როცა ყველაფერს მიხვდა, აღმოაჩინა, რომ მუხლები ეკვეთებოდა — თითქოს მისი სხეულის სიმძიმეს ვეღარ უძლებდნენ — და თითქმის ისევე ჩაჯდა მიწაზე, როგორც ბრუნო იჯდა ხოლმე ყოველ შუადღეს მთელი წლის განმავლობაში, იმ განსხვავებით, რომ მას ფეხები არ გადაუჯვარედინებია.

რამდენიმე თვის შემდეგ აუვიცში სხვა ჯარისკაცები მოვიდნენ და მამას უბრძანეს, მათ გაჰყოლოდა. ისიც ყოველგვარი ჩივილის გარეშე დაემორჩილა, ბედნიერიც კი იყო, რომ ასე მოხდა, რადგან დიდი ხანია აღარ აინტერესებდა, რას უზამდნენ.

ასე დამთავრდა ბრუნოსა და მისი ოჯახის ისტორია. რასაკვირველია, ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ მოხდა და სხვა დროს მსგავსი აღარაფერი განმეორდება.

არა ჩვენს დროსა და საუკუნეში.